C M Y K

`qarTuli ocneba~ - saerTo ocneba mTeli saqarTvelosTvis!

საერთო მაზანი

№51 (180) • 10-13.XII, 2011 წელი • გამოდის ოთხშაბათს და შაბათს • E-mail: saertogazeti@yahoo.com; www.saertogazeti.net • ფასი 1 ლარი

„ქართული ოცნება“ ჩემთვის, როგორც უმრავლესი ქართველისათვის, ესაა გამთლიანებული, გაძლიერებული, დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობა; ამ ბოლო დროს ეს ოცნება მე ვალდებულებად ვიქციე; ეს არის ჩვენი ვალდებულება წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე, რომ ჩვენ ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული ყველასთვის საოცნებო საქართველო.

„მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად.“

„ამ ბრძოლაში ჩვენ ყველანი თანაბარნი და თანასწორუფლებიანი ვართ და ყველას თანაბრად გვაწევს პასუხისმგებლობა ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე.“

Cven er Tad unda avixdinoT `qarTuli ocneba~ _ es aris erTiani, mTliani, Zlieri, samarTliani saqarTvelo!

კვირას, 11 დეკემბერს, 15.00 საათზე, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში საზოგადოებრივი მოძრაობა

„ქართული ოცნების“

პრეზენტაცია გაიმართება. „თბილისი ივენთ ჰოლში“, ასევე ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდება მხარდამჭერთა რეგისტრაცია. ამას გარდა, „თბილისი ივენთ ჰოლში“ დამონტაჟდება დიდი სატელევიზიო ეკრანი, რათა დარბაზში ადგილების სიმცირის გამო გარეთ დარჩენილ მხარდამჭერებს მიეცეთ ღონისძიების ნახვის საშუალება.

რედაქტორის სვეტი

ხვალ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაა.

შეიძლება ითქვას, ხვალინდელი დღე ქართველი ხალხის ზეიმია.

ამდენი ხნის დუმილის და უსიტყვო პროტესტის შემდეგ ხვალ ქართველი ხალხი ხმამაღლა განაცხადებს, რომ ის მონობას, ჩაგვრას, შეურაცხყოფას, ღირსების შელახვას არც არასდროს შეგუებია და არც არასდროს შეეგუება.

ხვალ იმედის დაბადების და ამ იმედის რეალობად ქცევისთვის ბრძოლის დასაწყისის დღეა.

ხვალ ისიც გამოჩნდება, რა ფორმას აირჩევს ხელისუფლება ამ ახალ ძალასთან ურთიერთობისთვის — კვლავ რეპრესიების, დაშინების, დევნის გზას მიმართავს თუ ბოლოს-დაბოლოს გაახსენდება მის მიერვე ათასგზის დეკლარირებული განცხადება, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც ყველას აქვს თავისი აზრის გამოთქმის და თავისი არჩევანის გაკეთების უფლება?

დრო დაგვანახებს რა იგულისხმებოდა მიხეილ სააკაშვილის სიტყვებში — ივანიშვილის გამოჩენა ჩვენთვის კარგიცაა, ფორმის შენარჩუნებაში დაგვეხმარებაო.

ფორმის შენარჩუნებაში კუნთების ვარჯიში, ხელკეტების ტრიალი, ადამიანების ცემა იგულისხმება, თუ ცივილიზებული ურთიერთობა ოპონენტებთან?

დრო იმასაც დაგვანახებს, მიხვდება თუ არა ხელისუფლება, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა მათთვისაც მაშველი რგოლია და ამ რგოლისთვის ხელის კვრა ადრე თუ გვიან აუცილებლად ფატალური შედეგით დამთავრდება.

მიხვდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნება და მისთვის პოლიტიკურ ასპარეზზე თავისუფლად მოქმედების მიცემა პირადად სააკაშვილისთვის და მთელი ნაცმოძრაობისთვის გაცილებით მომგებიანია, ვიდრე ივანიშვილთან და მის მრავალრიცხოვან მომხრეებთან ძალისმიერი მეთოდებით დაპირისპირება.

ხვალ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაა.

ხვალ საქართველოსთვის ახალი რეალობა დაიწყება!

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში, კვირას, 11 დეკემბერს, 15.00 საათზე გაიმართება საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია. „თბილისი ივენთ ჰოლში“, ასევე ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდება მხარდამჭერთა რეგისტრაცია. ამას გარდა, „თბილისი ივენთ ჰოლში“ დამონტაჟდება დიდი სატელევიზიო ეკრანი, რათა დარბაზში ადგილების სიმცირის გამო გარეთ დარჩენილ მხარდამჭერებს მიეცეთ ღონისძიების ნახვის საშუალება.

ბატონო რეზო, გილოცავთ დაბადების დღეს!

ჩემთვის დიდი პატივია, დაბადების დღე მივულოცო შემოქმედს, რომლის შედევრებითაც ჩემს ქვეყანას არაერთხელ გაუხარია და უამაყია იმით, რომ მსოფლიო აალაპარაჯა ქართველი ჯაცის ნიჭიერებამ.

გისურვებთ მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

მჯერა, თქვენი შემოქმედება არასოდეს დაბერდება.

დიდი პატივისცემით ბიძინა ივანიშვილი

რევაზ ამაშუკელი:

მოვუწოდებ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, გადავარჩინოთ „ქართული ოცნება“. დავუდგეთ გვერდით ივანიშვილის იდეას და ნუ ვიცხოვრებთ მხოლოდ დღევანდელი დღით. დავფიქრდეთ, საქართველო ნელ-ნელა ილევა, როგორც სანთელი, ჩვენი სამშობლო თანდათან ქრება...

გავერთიანდეთ ივანიშვილის გვერდით და იმ ოცნებას და იმედს, რაც ამ კაცმა მოიტანა, გავუფრთხილდეთ. ამ კაცმა საქართველოს დაუბრუნა რწმენა, ჩაგვისახა იმედი. მთელი საქართველო რომ ნევროზით იტანჯება, იმ საღამოს, ინტერვიუს შემდეგ, მთელი ქვეყანა იყო მშვიდი და იმედიანი, ამიტომაც შუაზე იხევიან ესენი.

ქართველებო, ერთად დავდგეთ, რადგან დღეს „არა პურითა, ქართველობით განვიცდი შიმშილს“...

ეკა ეკიზაძე სალღობანი:

biZina ivaniSvili s mxolod samebis taZari ar auSenebia _ mis mier gadarCenili TiToeuli adamiani gana TiTo taZari ar aris?!





გია ჟორჟოლიანი:

ჩემის აზრით, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს ერთ პოლუსს, ანუ ბიძინა ივანიშვილის გაერთიანებას. ჩვენთან არის ორი ტიპის არჩევნები: პროპორციული და მაჟორიტარული. ხალხი რომ არ დაიბნეს, პროპორციულ არჩევნებში ყველა რეალურად ოპოზიციურმა პარტიამ სასურველია მხარი დაუჭიროს ივანიშვილის გაერთიანებას, დამოუკიდებლად იმისა, ამ პარტიის წარმომადგენლები იქნებიან თუ არა ამ გაერთიანებაში.

ზაზა ფირალიშვილი:

...ივანიშვილის ირგვლივ ჩამოყალიბებულ ახალ ძალას გასათვლელი აქვს ბევრი რამ; გასათვლელია, რა პორტრეტით უნდა წარსდგე საზოგადოების წინაშე, რომ მას ისევ ნიჰილიზმი არ დაეუფლოს. გასათვლელია ყველა კონტრნაბიჯი, რასაც ხელისუფლება გადადგამს შენს წინააღმდეგ. კარგად ვიცით, როგორი გაწაფულია ხელისუფლება თავისი ოპონენტების ჩაძირვაში. გასათვლელია, რომ შენ არ უნდა ჩაჰყვე დისკუსიაში ხელისუფლებას ძალიან ბევრი თემის ირგვლივ;

არ უნდა მეტყველებდე იგივე ენაზე, რა პოლიტიკურ ენაზეც მეტყველებს ხელისუფლება და ა.შ. მაგრამ როგორი კარგი გამთვლელიც არ უნდა იყო, თუ არ არსებობს საზოგადოებრივი მოლოდინი და ნდობის კრედიტი შენს მიმართ, არაფერი არ გამოვა. მთავარი კაპიტალი არის მოლოდინი და ნდობის კრედიტი, რისი მატარებელიც არის დღეს ბიძინა ივანიშვილი.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

biZina ivaniSvilis Riawerili

saqarTvelos xelisuflebas, politikosebs da politikur partiebs, masmediis warmomadgenlebs, saqarTvelos yvela moqalaqes (fragmentebi werilidan)

რატომ მოვედი პოლიტიკაში

ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა?

ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია იმიტომ, რომ ვხედავ სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას.

ეს სიტყვები ჩვენს კომფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში შეიძლება ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს და სწორედ ამაშია ჩვენი ყოფის უბედურება. არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა.

ვისაც არ სჯერა შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორც დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს – შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო.

ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.

მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადასწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

მე შევძელი მეჯობნა საკუთარი თავისთვის, დამეძლია ჩემს თავში შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი, ახლა კი ჯერი თქვენზეა.

ახლა თითოეულმა თქვენგანმა, ამ ქვეყნის თითეულმა მოქალაქემ, უნდა შესძლოს საკუთარ თავზე გამარჯვება და საერთო საქვეყნო საქმის გარშემო დარაზმვა.

ამ ბრძოლაში ჩვენ ყველანი თანაბარნი და თანასწორუფლებიანი ვართ და ყველას თანაბრად გვაწევს პასუხისმგებლობა ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე.

პოლიტიკაში იმიტომ მოვდივარ, რომ მივხვდი, მხოლოდ ქველმოქმედებით, ფინანსური დახმარებით და სპონსორობით, ცალკეულ სფეროებში ინვესტიციების ჩადებით და ლოკალური ღონისძიებებით, ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას და საერთო მდგომარეობას ვერ შეცვლი, თუ ყოველივე ამას ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა არ უმაგრებს ზურგს.

მე მივხვდი ჩემს შეცდომებს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია პირველყოვლისა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში.

მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად.

საქართველოს დასაკარგი კაცი არ ჰყავს, თითოეული ადამიანის პოტენციალი უნდა იქნეს სათანადოდ გამოყენებული და დაფასებული, ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, მე ყველას ვუწვდი ხელს სათანამშრომლოდ, მათ შორის ჩემს ოპონენტებსაც, ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, მაგრამ სანამ გავერთიანდებოდეთ, ყველას და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას, ყველა უნდა წარვდგეთ ერთმანეთის წინაშე არა ნიღბით, არამედ ჩვენი ნამდვილი სახით, ყველა უნდა გავთავისუფლდეთ ნებსით თუ უნებლიეთ წამოკიდული ტვირთისაგან.

მე მზად ვარ საზოგადოებისგან წამოსულ ნებისმიერ კითხვას გავცე ამომწურავი პასუხი და ამასვე მოვითხოვ სხვებისგანაც.

და ბოლოს, ისევ ჩემს შესახებ...

არ მინდა ამ მიმართვის წაკითხვის შემდეგ საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ, აი, მოვედი მე, ვიღაც უცოდველი კრავი და სხვებს განვიკითხავ და მორალს ვუკითხავ.

არა, ეს ასე არ არის, მეც ბევრი შეცდომა დამიშვია და ბევრჯერ შემშლია, რაც ხმამაღლა მიღიარებია და საკუთარი თავი გამიკიცხავს.

ჩვენ ყველანი თანაბარუფლებიანი და თანასწორი მოქალაქეები ვართ ამ ქვეყნისა და მე არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს მიფიქრია, რომ მე ჩემი სიმდიდრით ვინმეზე, მატერიალურად თუნდაც ხელმოკლე ადამიანზე რაიმეთი მეტი ვარ.

არც ის მიფიქრია ოდესმე, რომ მე უფრო მეტ საქმეს ვაკეთებ ამ ქვეყნისთვის, ვიდრე უბრალო გლეხი, რომელიც ვაზს უვლის, კალატოზი, რომელიც აგურს აგურზე აწყობს, პოეტი, რომელიც ლექსს წერს, სპორტსმენი, რომელიც სპორტში მოღვაწეობს.

მთავარია ყველამ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვავლინოთ და ბოლომდე დავიხარჯოთ საქვეყნო საქმისათვის.

მიმართვის დასაწყისში ვთქვი და ახლაც გავიმეორებ,

წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვუარყოფდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში. და მეორე, ქართულ პრესაში გამოქვეყნდა „ვედომოსტში" დაბეჭდილი ინტერვიუს გაგრძელება, სადაც მე ჩამოვაყალიბე ჩემი დამოკიდებულება ქველმოქმედებასთან, რომელშიც ჩემი მსოფლმხედველობა იყო ასახული, პოლიტიკაში მოსვლით კი, ამ მსოფლმხედველობას მთლიანად ვანგრევდი.

მაგრამ დიდი სულიერი ჭიდილის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვცდებოდი, აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი იმის აღიარებამდე, რომ რასაც აქამდე ვაკეთებდი, ზოგი რამ შეცდომა იყო.

მე ვაპირებ გამოვასწორო ეს შეცდომა და სრულიად ახლებური მიდგომით და პერსპექტივაზე ორიენტირებული გათვლებით ცხოვრება გავუადვილო საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

შეცდომა იყო, მე ვიტყოდი, ღალატის ტოლფასი შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?

როგორც გითხარით, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ვძლიეთ.

შიშის და ჩურჩულის დრო დამთავრდა – ახლა ხმამაღლა, მთელი ხმით, მთელი საქართველოს და მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკის დროა, რომ მთელ საქართველოს, მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ ჩვენი სიმართლე.

ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება" – ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო!

`Cven erTad unda avixdinoT `qarTuli ocneba~ _ es aris erTiani, mTliani, Zlieri, samarTliani saqarTvelo!~

`qarTuli ocnebis~ asaxdenad mTeli saqarTveloS viwvevT!

გვესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი ზაზა გოგსაძე:

— თუ გვინდა ქვეყანა მართლა სიკეთისკენ წავიდეს, მოისპოს ავტორიტარული რეჟიმი, ამისათვის ამ ხელისუფლების შეცვლაა აუცილებელი. არჩევნების გზით უნდა წავიდეთ და ერთხელ და სამუდამოდ შევქმნათ პრეცედენტი — თუ ხელისუფლება არ ივარგებს, ის არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გვეშველება. ეს რომ მოხდეს, შინაგანადაც მოტივირებული უნდა ვიყოთ, ჩვენ ნიჰილიზმი გვღუპავს — ხალხი ფიქრობს ხელისუფლება არჩევნებს მაინც გააყალბებს და რა აზრი აქვს ჩვენს ხმასო.

— ხალხის განწყობა შეიძლება ლოგიკას არც იყოს მოკლებული. ხელისუფლება საარჩევნო კანონს არ ცვლის და გაყალბების მექანიზმებიც არამგონია შეიცვალოს.

— მოგახსენებთ, არსებობს გარკვეული პროცენტი, რომლის ზევით ხელისუფლება არჩევნებს ვერ აყალბებს. ასეთ დროს ნებისმიერ ქვეყანაში ბუნებრივი და არა მოდელირებული რევოლუცია ხდება, როგორც ეს არაბულ სამყაროში მოხდა. ახლახან „აირაის“ კვლევებს გავეცანი, რის მიხედვითაც ხალხში საკმაოდ მაღალი აქტივობაა. მოკლედ რომ გითხრათ, ამ კვლევით, დაახლოებით, 82 პროცენტი არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. საქართველოში არჩევნებზე ხალხის მასიურად გასვლის პრეცედენტები გვქონდა. თუ 80-85 პროცენტი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ხელისუფლება უმრავლესობაში ვერ დარჩება. ხალხში ამის განწყობა არის, თითოეულმა უნდა ირწმუნოს, რომ არჩევნებზე მივიდეს. ეს არის გამოსავალი. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი დაფუძნებით სწორედ ეს უნდა განახორციელოს. დღეს ასეთი ვითარება გვაქვს — კი, მართალია ბიზნესი ფუძნდება, მაგრამ რა ხდება შემდეგ — იგი ვეღარ ვითარდება და იხურება, ან თავად ხურავენ. საშუალო კლასი არ არსებობს საქართველოში და, ბუნებრივია, ამ ფონზე ბიზნეს-გარემოს განვითარებაზე საუბარიც ზედმეტია. ამ მხრივ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ მნიშვნელოვანი მუხტი შემოიტანა. ქველმოქმედის, პოზიტიური პიროვნების პოლიტიკაში შემოსვლა თავისთავად დადებითი ფაქტია. მაგრამ გარდა ამისა, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში გებელსის ტოტალური პროპაგანდა მოქმედებს — რაც უფრო დიდ ტყუილს იტყვი, მით უფრო დაგიჯერებს მოსახლეობა, ივანიშვილის გამოჩენამ ჩაჭრა ის მცირეოდენი ეჭვიც, რაც შეიძლება ხალხს ჰქონოდა. ხალხში გაიღვიძა განცდამ, რომ პროფესიონალი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ბიზნესი საკმაოდ მაღალ დონეზე ესმის, სიმართლეს გვეუბნება.

— რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მოსახლეობის ინტერესი საკმაოდ დიდია. რა ფორმით შეძლებს თქვენი გულშემატკივარი მოძრაობის დაფუძნებაზე მოხვედრას?

— მოძრაობის დაფუძნებაზე მოხვედრა მოსაწვევებითაა შესაძლებელი. შევეცადეთ ყველას ინტერესი გაგვეთვალისწინებინა, ვიცით, რომ ინტერესი ძალიან დიდია, მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტის სასახლის დათმობაზე უარი გვითხრეს, მიუხედავად იმისა, რომ განცხადება ერთი თვით ადრე შევიტანეთ. პასუხად მოიგონეს, თითქოს ამ რიცხვში სპორტის სასახლე დაკავებულია. ვინმემ იცის, რატომ არის სპორტის სასახლე დაკავებული, ტარდება რაიმე ღონისძიება?! შევთავაზეთ თარიღს გადავწევთქო, მაგრამ მაინც არ დაგვითმეს შენობა. იცით, რაშია საქმე? — საკაშვილს არ უნდა ამ მოძრაობის დაფუძნებაზე ბევრი ხალხი დაფიქსირდეს, უნდა ეს მოვლენა მიაფუჩეჩოს და შექმნას განცდა, ვითომ არაფერი ხდება. ამ დროს ძალიან დიდი რამ ხდება. „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების სათავეში რომ მოდიოდა, სპორტის სასახლეში ჩაატარეს დიდი აღლუმი. სააკაშვილს არ უნდა მასზე დიდი აღლუმი ჩაატაროს ვინმემ, ეჭვიანობს. მას ეშინია, მაგრამ მინდა ვუთხრა, რომ მაინც მოუწევს დათმობა. თუ სპორტის სასახლეში ვერ შევალთ, სტადიონზე შევკრიბავთ ხალხს. უბრალოდ, ამ ეტაპზე ამის დრო არ არის. რაც შეეხება ხალხს, რომელიც დარბაზში ვერ მოხვდება, ფოიედან შეძლებს თვალი ადევნოს მოვლენებს, სადაც მათთვის დიდი ტელეეკრანი დამონტაჟდება. შიგნით თუ გარეთ — ყველა ერთად ვიქნებით.

— ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ ქართველი ხალხისთვის ფუძნდება. მხარდამჭერთა არმია მრავალრიცხოვანი იქნება, შენობის მიღმა ჩაწერა მათში იმედგაცრუებას, გულგატეხილობას ხომ არ გამოიწვევს? ვინც ვერ შემოვა, მათი ოცნებაც ხომ არის „ქართული ოცნება“?

— ხალხმა, ალბათ უნდა გაგვიგოს. გვინდა ყველაფერი მოვაგვაროთ, მაგრამ რა ვქნათ, როცა წინააღმდეგობებს, ხელოვნურ ბარიერებს გვიქმნიან? ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ჩვენ ერთნი ვართ, არავის არ ვყოფთ იმის მიხედვით, ვინ უნდა შემოვიდეს და ვინ — არა. ფოიეშიც ძალიან ბევრ ცნობილ სახეს დაინახავთ, ასევე გარეთაც. ასე არ მოხდება, რომ ვინც შიგნით შევა, მხოლოდ ის იქნება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი. ვეცდებით, გავაიოლოთ ფოიეში ყოფნა, ყველას დიდ მადლობას ვუხდით. რასაკვირველია, არავინ უნდა იფიქროს, თუ დარბაზში ვერ შევა, ე.ი. „ქართული ოცნება“ მისთვის არ არის. პირიქით, პირადად მე, სადაც ხალხი იქნება, იქ ვიქნები — გარეთ, ფოიეში, პრინციპში არც შევალ შიგნით.

— ვიცით, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ „ქართული ოცნების“ გვერდით არიან, მაგრამ მხოლოდ ისინი არ გამოხატავენ ქართველი ხალხის ინტერესებს. ვისი ოცნებაა ეს — ვის იწვევთ ამ ოცნების ასასრულებლად?

— „ქართული ოცნების“, ასახდენად მთელს საქართველოს ვიწვევთ, მაგრამ ადგილების სიმცირის გამო თითო-ორიოდ კაცს ვიწვევთ სხვადასხვა წარმომადგენლობითი ჯგუფებიდან, ამიტომ ნაწყენი არავინ არ უნდა დაგვრჩეს. ჩვენ ყველასთან ერთად ვართ და შემდგომ მუშაობაშიც დარწმუნდებით, რომ ეს ასეა. ჩვენ ვართ ხალხოსნები. „ქართული ოცნება“ სახალხო-საზოგადოებრივი მოძრაობაა. „ქართულ ოცნებაში“ შედის „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“, რომლებიც ახლო პარტნიორები ვართ, მაგრამ თანამშრომლობა სხვებთანაც შეიძლება. ეს არ არის დახურული ერთობა — ხალხისთვის ჩვენი კარი ღიაა.



— რაც შეეხება თანამშრომლობას, თუ არის ცნობილი რომელი პოლიტიკური პარტიები გაერთიანდებიან „ქართულ ოცნებაში“. ბატონმა ბიძინამ თავის პირველსავე განცხადებაში სადემარკაციო ხაზი გაავლო — რომელ პარტიებთან ითანამშრომლებდა და რომელთან არა, შეეხება თუ არა ეს „ქართულ ოცნებასაც“? რამდენად დასაშვებია, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე ვიხილოთ „ქართულ ოცნებაში“?

— მოდით, კონკრეტიკას მოვეშვათ. ბატონმა ბიძინამ აღნიშნა, რომ პარტნიორობას აპირებს, „თავისუფალ დემოკრატებთან“ და „რესპუბლიკელებთან“. ასევე დაასახელა ისინიც, ვინც ფსევდოოპოზიციად მიაჩნია — ბუნებრივია, ასეთ პარტიებს „ქართულ ოცნებაში“ არ განვიხილავთ, მაგრამ დანარჩენებისთვის ყველასთვის კარი ღიაა. კარი ღია იქნება ყველა იმ პარტიისთვის, რომელიც არის ნამდვილი ოპოზიცია, ხოლო ფსევდოოპოზიციური პარტიებისთვის კარი ღია არ იქნება. თუ ვინ არის ასეთი — ამას დრო გვიჩვენებს.

— რა ვითარებაა რეგიონებთან დაკავშირებით. „ქართული ოცნება“ ხომ მხოლოდ თბილისელების არ იქნება?

— რეგიონებიდან სპეციალურად გვყავს ხალხი მოწვეული. რა თქმა უნდა „ქართული ოცნება“ მხოლოდ თბილისელების კი არა, არამედ მთელი საქართველოს ხალხისაა. რეგიონებთან მჭიდრო კონტაქტები გვაქვს.

— როგორი იქნება „ქართული ოცნება“, რამდენად იქნება მასში თითოეული ქართველის ოცნება ასახული?

—„ქართული ოცნების“ დაფუძნების შემდეგ პრაქტიკულად, ხორცშესხმა უნდა მოხდეს იმ მოლოდინის, რაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი პოლიტიკაში მოსვლით გაჩინა. ფრთა უნდა შეისხას ხელისუფლების შეცვლამ, იმ მანკიერებების დაძლევამ, რასაც არადამოუკიდებელი სასამართლო, შიში, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ. ჰქვია. უნდა შეიქმნას საშუალო კლასი, რომელიც ავტოკრატიის პრობლემას მოხსნის, საშუალო კლასის მქონე ქვეყანა დიქტატორს ვერ იტანს.

— რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს. იქნება თუ არა მათთვის „ქართული ოცნების“ კარი ღია?

— რასაკვირველია, ისინი ქართული სინამდვილის ნაწილი არიან. ჩვენ განუყოფელნი ვართ ერთმანეთის მიმართ. ისინი ჩვენი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. პირიქით, საზოგადოებაში მათი მეტი ინტეგრაციაა საჭირო. მათი სრული ინტეგრაციის კუთხით უნდა გადაიდგას ნაბიჯები.

— თქვენი „ქართული ოცნება“ როგორია?

— ნამდვილად მინდა დემოკრატიულ საქართველოში ვიცხოვრო, სადაც არავის შეეშინდება მართალი სიტყვის თქმის იმის გამო, რომ სამსახურს დაკარგავს, ან დაიჭერენ და გაასამართლებენ. არ მინდა ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც პოლიცია რეზინის ხელკეტებს ფარს ურტყამს და პრეზიდენტის სახელს გაჰყვირის — ეს ნამდვილად არ არის ჩემი ოცნება. ეს ტოტალური პროპაგანდაა. ავიღოთ თუნდაც რუსეთის თემა — ეს მისავიწყებელი თემა, რა თქმა უნდა, არ არის, ჩვენი ინტერესი უნდა დავიცვათ, მაგრამ თუ რუსეთთან მიმართებაში რაიმე პრაგმატული, პოზიტიური თქვი, ე.ი. საქართველოს მტერი ხარ. მაშინვე მოგაკერებენ პრორუსული ორიენტაციის იარლიყს. მთელი ცხოვრება პროდასავლური ვიყავი. იცით, ელჩის წოდება სად მივიღე? — ეუთომ სტამბულის ცნობილ სამიტზე, როცა რუსეთის ბაზები გავიყვანეთ აქედან — იმ მოსამზადებელ ჯგუფში ვიყავი. ეს საკითხი პოზიტიურად გადაწყდა და მაშინ მომანიჭეს სწორედ ელჩის წოდება. რუსეთზე პრაგმატულად რომ ვიმსჯელო, ეს რატომ ნიშნავს პრორუსულ განწყობას არ მესმის? მიუხედავად იმისა, რომ ნაბიჯების გადადგმა ძალიან რთული იქნება, ურთიერთობების მოგვარება უნდა დაიწყოს. დასავლეთსა და რუსეთს შორის უთანხმოების ობიექტი უნდა გავხდეთ. დღეს მთავარი ღერძი დაზიანებულია, გინების მეტი არაფერი ხდება, გაყინულია ურთიერთობა, ვერ ვვითარდებით, სწორედ ეს იწვევს ინვესტიციების დაბლოკვას, ეკონომიკის დამუხრუჭებას. ლაკმუსის ტესტს გვიტარებს ხელისუფლება — თუ საპირისპირო აზრი გამოთქვი, მაშინვე გკითხავენ — აბა, თქვი ოკუპანტი არის თუ არა რუსეთიო. ვითომ ამის თქმით რამე ეშველება საქმეს. ბატონმა ბიძინამაც თქვა და ყველა აღნიშნავს, რომ რუსეთი ოკუპანტია. რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი. რიგი ქვეყანა გაეროს რეზოლუციაში ოკუპანტადაა მოხსენიებული, მაგრამ რა მერე? რუსეთის ოკუპანტ ქვეყნად მოხსენიებაა მთავარი?! — კი, ბატონო ოკუპანტია, მაგრამ ამას გასაღები ხომ უნდა მოუძებნო, ხომ უნდა შეხვიდე რაღაც ფორმით ურთიერთობაში, ყინული ხომ უნდა დაიძრას, როდემდე უნდა ვიძახოთ ოკუპანტიაო?

— ისევ „ქართულ ოცნებას“ დავუბრუნდეთ. ხელისუფლებიდან მოსალოდნელი პროვოკაციების შემთხვევაში მზადყოფნა თუ არის?

— გვესმის, რომ შეიძლება პროვოკაციები იყოს, რამდენადაც შეგვიძლია ამის განმუხტვა, იმ დონეზე ვემზადებით. ერთი რამეც მინდა ვთქვა, ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი ოპონენტია და არა მტერი. ოპონენტთან სულ სხვა ურთიერთობები ყალიბდება. როცა ოპონენტს აღიქვამ, მაშინ ვითარდება სახელმწიფო. ხოლო თუ მტრად აღიქვამ, მაშინ სახელმწიფო იღუპება. რაც შეეხება ქვეყნის განვითარების გზებს — საზოგადოებას უნდა შევუთანხმდეთ, საზოგადოებასთან გვექნება დიალოგი ამ კუთხით და არა ისე, როგორც იქცევა ხელისუფლება — როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ.

თამარ შველიძე

`bera, genacvale qartulad mag qartul sulSi~

bera ivaniSvilis klipma axal gazrdoba gamoaRviZa!

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელესივრცემ დაბლოკა ბერა ივანიშვილის კლიპი „ქართული ოცნება“, რომელსაც კარგა ხანია ელოდება საზოგადოება. სამაგიეროდ იგი მაშინვე იქცა სოციალური ქსელებს ბესტსელერად. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ კლიპმა გამოაღვიძა ახალგაზრდობა, რომელიც სრულიად ინფანტილური გახდა.

ანა გელენიძე: ”ქართულ ოცნებას” ძალიან ბევრი ახალგაზრდა სჭირდება, რომ ოცნება რეალობად იქცეს! როცა ამ კომენტარებს ვკითხულობ, ვხვდები, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდაა, რომლებიც მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ “ქართული ოცნების” ასრულებისთვის და ძალიან მიხარია. მეც ერთ–ერთი თქვენგანი ვარ და მთელი გულით თქვენს გვერდით ვარ! დროა, ავიხდინოთ “ქართული ოცნება”. თავიდან ფეხებამდე ქართველი ხარ, ბერა .

შმაგი მეძმარიაშვილი: მივმართავ სრულიად საქართველოს მოსახლეობას!!! იყავით რეალისტები და სულ მალე საქართველო ფეხზე დადგება... ნუ შეგეშინდებათ ნურაფრის, ერთობა და ერთი საერთო სიტყვა გადაარჩენს საქართველოს. დაფიქრდით, საით მივდივართ, და ბოლო რა იქნება ამ ყველაფრის. იფიქრეთ მომავალზე, დავდგეთ ერთად და გავიტანოთ ჩვენი სიმართლე. გავახილოთ თვალები და დავდგეთ ერთად. საქართველოს ერთიანობა გადარჩენს.

თეონა კეშელავა: ივანიშვილი პოლიტიკაში კი არა, სამშობლოს გადასარჩენად მოდის, ზოგჯერ პოლიტიკა ხელოვნებაა და ხელოვნება პოლიტიკა. რა თქმა უნდა, ამას თქვენ ვერ გაიგებთ, რადგან თქვენი მსოფლმხედველობა ხელოვნებაში ლექსენსა და გოგა ხაჩიძეს გულისხმობს მხოლოდ.

ინგა ლილუაშვილი: ღმერთმა დაგლოცოს შენს ოჯახთან ერთად და გაგაძლიეროს. თქვენს გვერდით ვიქნებით ყველაა რადგან ჩვენს ათასჯერ გაყიდულს და ტანჯულ ქვეყანას შველა უნდა, უფალი გფარავდეთ მუდამ.

გიორგი გერგაია: ყველაფერი ქართული, ნამდვილი ქართული, გაგება ქართული, თავიდან ფეხებამდე ქართული, ქართული, ქართულიიი.... ბრავო ბერა!!! ოღონდ ქართული აქცენტით!!!

მარიამ ნაჭოფია: ნამდვილი პატრიოტი ამას ქვია:)) ძაან მაგარია ყოჩაღ:**.

რუსა მუმლაძე-ავალიანი: თუ რამე ვისწავლე, ვისწავლე ტკივილით. – გაუშვით ბატონო ბიძინა ეს ბიჭი პირამენეჯერად.... მაგარია... მონატრებული სულისკვეთებაა. ——— ვამაყობ წარსულით, თავიდან ფეხებამდე ქართულით..... სანამ ვარ ქართველი – საქართველო იქნება. – მიშას კედელზე უნდა ავტვირთო. და კიდო ვანოსი - მიმავალი ჩვენია - ავიხდინოთ ქართული ოცნება.

ნინუცა ღონღაძე: ბერა მე ვარ 11 წლის ნინი ძალიან მომეწონა შენი კლიპი ძალიან მაგარი ხარ და მე მაქვს იმედი რომ ჩვენ გავიმარჯვებთ აუცილებლად.

ნონიკა ვარდიშვილი: ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია. მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.

გიო გელაშვილი: გენაცვალე ბერა... ნამდვილი ქართველი ხარ და მთელი ქართველობა გავერთიანდეთ ძმაო

იკა ქაშიბაძე: ხალხნო!!!! ბიძინა ივანიშვილს ჩამოართვეს მოქალაქეობა, ეს ნამდვილად ერის სირცხვლია როცა ამას გიბედავს ხელისუფლება, ამიტომ მოდით რეალურად შევხედოთ ფაქტებს, სადაც ბიძინა ივანიშვილს კაცს რომელმაც უდიდესი ინვესტიციები ჩადო ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, არ ეკუთვნის მოქალაქეობა ჩვენ რიგით მოქალაქეებს მითუმეტეს არ გვეკუთვნის ამიტომ მოდით ყველამ ერთად უარი ვთქვათ მოქალაქეობაზე იმ ქვეყნისა სადაც მთავრობას ხალხი გონებაჩლუნგები გონია , მე არ მინდა ვიყო მოქალაქე მიშას საქართველოსი.

ნიკა ქარქაშაძე: ყველაზე დიდი ანეგდოტია ის, რომ ბიძინა ივანაშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს, კაცი რომელმაც საქართველოსთვის ძალიან ბერვი გააკეთა და ძალიან ბევრს გააკეთებდა ირგვლივ კარგი ხალხი რო ყოლოდა ბევრი .. კლიპს რაც შეეხება კარგი კლიპია და ბერაშიც ის ბევრი დადებითი თვისებებია კარგი რაც თავის თავმდაბლობაზე, საქართველოს და ქართველი ხალხის სიყვარულზეა ასახული .. ესეთი კაცის შვილი არ შეიძლებოდა სხვანაირად... კარგი იქნება გვიმრავლოს ქართველებს ბიძინას ნაირი საქართველოზე შეყვარებული ადამიანები..

შმაგი მეძმარიაშვილი: მივმართავ სრულიად საქართველოს მოსახლეობას!!! იყავით რეალისტები და სულ მალე საქართველო ფეხზე დადგება... ნუ შეგეშინდებათ ნურაფლის, ერთობა და ერთი საერთო სიტყვა გადაარჩენს საქართველოს. დაფიქრდით საით მივდივართ, და ბოლო რაიქნება ამ ყველაფრის. იფიქრეთ მომავალზე დავდგეთ ერთად და გავიტანოთ ჩვენი სიმართლე. გავახილოთ თვალები და დავდგეთ ერთად. საქართველოს ერთიანობა გადარჩენს.

ანა გელენიძე: „ქართულ ოცნებას“ ძალიან ბევრი ახალგაზრდა სჭირდება, რომ ოცნება რეალობად იქცეს! როცა ამ კომენტარებს ვკითხულობ ვხვდები, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდაა, რომლებიც მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ „ქართული ოცნების“ ასრულებისთვის და ძალიან მიხარია. მეც ერთ–ერთი თქვენგანი ვარ და მთელი გულით თქვენს გვერდით ვარ! დროა ავიხდინოთ ”ქართული ოცნება”! თავიდან ფეხებამდე ქართველი ხარ, ბერა.

ნელი მამასახლისი: ბერა, ჩავიცვათ ყველამ ”ქართული ოცნება” მაისურები და ყველას დავანახოთ, თუ რამდენნი, რა ლამაზები და რა ამაყები ვართ!!!

მედეა სორდია: უძლიერესი ქართული ენერგია!!! ღმერთმა ინებოს, წარამართოს საქართველოს გამარჯვებისთვის!

ნელიკო სარაჯიშვილი: საქართველომ უნდა იამაყოს შენით ბერა შენი ქართული სულით ქართული შემართებით ჩვენ შევძლებთ ავიხდინოთ ქართული ოცნება საქრთველო გაბრწყინდება!!!!!

ლილიკო გელაშვილი: ეს ოცნება აგვიხდინე უფალო! სვეტიცხოვლობას გილოცავთ, ბერა! კაცურად მოხვედი და დარჩები კაცურად! არანაირი წასვლა...

მერაბ სტურუა: უთხარი მამაშენს, რაც შენ იმღერე მხოლოდ ის უნდა აკეთოს, ხელისუფლება რყვნის ადამიანებს, დიდი ხელისუფლება დიდად რყვნის, მაგრამ დიდი ვაჟკაცობა ყოველგვარ გარყვნას აღუდგება წინ!კაი ბიჭი ხარ, ბერა!

ანრი ფურცხვანიძე: დიდი გულისტკივილით და დამძიმებული მდგომარეობით ნაკარნახევი სიმღერაა. მაგრამ, ოპტიმისტური ტექსტი და განწყობა მომავლის გამარჯვებებს გვიქადნის. ეს არანაკლები მუხტია საქართველოსთვის.

გაიხარე ბ ე რ ა!!!!!!!!!!

მირანდა ჩუმაშვილი: ბერა, გენაცვალე ქართულად მაგ ქართულ სულში... უფალი გფარავდეს... ძალიან მაგარია.

ირაკლი ბერძენაძე: სამწუხაროა, როდესაც მედია საშუალებები უარს ამბობენ მაგრამ არაუშავს – რაც მთავარია არის და ხალხი გაიგებს მაინც!

თოკა ფერაძე: შენ გგენაცვალეე ნამდვილო ქქართველო! ?

ლევანი შუბითიძე: ქართული ოცნება ასრულდებაა!!!!!!!!!

ლიკა ზუბაშვილი: ეს არის ქართული რეალობა... „ფინალი ჩვენს ხელშია!“ როგორც იქნა -გაჩნდა იმედი ..... :)

გიორგი რამიშვილი: ბერა – არაჩვეულებრივი სიმღერაა, გაიხარე უფალი გფარავდეს, საქართველო ნამდვილად გაიმარჯვებს,დროა ავიხდინოთ ქართული ოცნება

თეკლა ფერეთელი: მაშინ მართლა რა ბედნიერები ვიქნებით! გული გვექნება სიხარულით და სიყვარულით სავსე რომ ახდეს ეს ჩვენი ქართული ოცნება! არადა, ეს შესაძლებელია, ნებაა მთავარი. ახლა გამოჩნდა ნებაც და შეძლებაც, ოღონდ „ისინი“ თავიანთი „ვერტიკალითა“ და „ბერკეტებით“... შემოგვიტევენ... მაგრამ ვფიქრობ, იზეიმებს სამართალი და სიკეთე და სიყვარული გაიმარჯვებს

ნოდარ გელოვანი: კლიპი ნორმალურად გადაღებულია, მაგრამ არ გეწყინოს მარა უცნობს უფრო კარგად გამოსდის ეგ ამბავი, ჯობია იმას გადაუხადოთ ისევ...

ლეგენდა: ნამდვილად... კლიპის ფინალი საქართთელოს მოსახლეობის ხელშია...კარგი შვილი ხარ, კარგი მამა გყავს და როგორი შეკრული ოჯახიც თქვენ გაქვთ, ვუსურვებ საქართველოც ეგრე შეკრულიყოს...

ეკა ურუმბეგაშვილი: არ მეშინია! აღარ მეშინია, რადგან უკვე ზუსტად ვიცი- ქართული გენი გადარჩება და ამ გადარჩენისთვის ბრძოლაში ყველა ჭეშმარიტი ქართველი, ვისაც ღირსება ვერ წაართვეს ერთად დადგება. ერთად დავდგებით საბოლოო გამარჯვებამდე, ქართული ოცნების ასრულებისთვის! მადლობა უფალს თქვენნაირი გულანთებული ქართველების არსებობისთვის ბატონო ბიძინა! თქვენ სრულიად საქართველოს უყვარხართ,ასე რომ ქართულ ოცნებას აუცილებლად ავისრულებთ! მე ამის მწამს.

ქართული ოცნება

ერთად დადგომა რომ შევძლოთ,
ბოლო იმედი არ არის წასული,
მთელი ცხოვრებაა ვოცნებობთ,
ეს ოცნებაა ქართული...
გირჩევ შემეგუო,მოვედი დიდი ხნით,
მსურს და ბრძოლას ვასრულებ ღიმილით,
თუ რამე ვისწავლე,ვისწავლე ტკივილით,
საქართველოს ვუყვარვარ დედისერთა შვილივით,
თბილისში ძველი ფილმია,შეაფასე კადრები,
რეჟისორი გვატყუებს-ცხოვრებაა შავ-თეთრი,
არ მიცნობს არც ერთი,ჰგონიათ მე ქსელში ვარ,
სცენარი შევცვალე, პუბლიკა შოკშია,
ყველაფერი ქართული,ნამდვილი,ქართული,
დადგება ქართული კაცობა ქართული,
ვისაც ჩვენი მოვლენა ქართული-
გეორგიან დრეამ-ოცნება ქართული,
მესმის ქართულად,მიყვარს ქართულად,
ვგრძნობ და განვიცდი-ქართულად,ქართულად,
ნებისმიერ მწვერვალზე ასული,
დავრჩები თავიდან ფეხებამდე ქართული,
ვხედავ კლიპებში,პრესაში,ვფიქრობ,ვიცნობ?!
თუ რამეს მივაღწიე მივაღწიე თვითონ,
გაიხსენე ის დრო-ბავშვობა გავწირე,
ყველა ჩემი იარა-იარაღად ვაქციე,
ჩაიკითხე თვალებში ცხოვრებამ რა დამაწერა,
ყველაფერი წამართვეს-სიყვარულის აღარ მჯერა,
და როცა წავიქეცი არავინ არ ამაყენა,
და როცა დავდექი ვერავინ ვერ გამაჩერა,
გვახსოვს სიტყვები, ნამდვილს
არავინ არ გავს, არაფერი არ ცვლის,
ვიცი საიდან მოვდივარ, ვიცი საით მივდივარ,
პატარა ქართველი ნახე რა დიდი ვარ...
მოვინდომე ქართულად,მოვიპოვე ქართულად,
ყველა ჩემი მტერი ჩამოვიტოვე ქართულად,
ვაშენებ მომავალს,ვამაყობ წარსულით,
თავიდან ფეხებამდე ქართულით,
-წავართვი მიწა-ვერ წავართვი ღირსება..
სანამ ვარ ქართველი საქართველო იქნება,
გპირდები ეს ყველაფერი მორჩება,
როგორ გავჩერდე მთელი თაობა მომყვება,
საერთოდ არ ვაკეთებ ან ვაკეთებ ქართულად
მოვედი კაცურად წავალ კაცურად,
რა უნდათ არ მიცნობს არც ერთი,
ავიღებ გრემის, ვიტყვი
thank you - ქართული აქცენტით,
მოვიდა დრო ერთად დავდგეთ,
მომავალი ჩვენია,
ავიხდინოთ ქართული ოცნება,
ქართული ოცნება...

miSa Cavlili ambavia, qartveli kaci modis da imas davuWiroT mxari!

გვესაუბრება
ლელიკო ჯაფარიძე.

— ბატონო ლელიკო, ამ დღეებში ცნობილი გახდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, სააკაშვილს უფრო მეტი ადამიანი უჭერს მხარს, ვიდრე ივანიშვილს.

— მე ვერ დავიჯერებ, ისე გაგიჟდა ქართველი ხალხი, რომ ივანიშვილი არ უნდათ და ეს სომეხი უნდათ. გამოკითხვის ვის სჯერა, კარგით, რა. მთელი საქართველო დღეს ივანიშვილს უჭერს მხარს, ესენი უკვე აგონიაში არიან. გრძნობენ დასასრულის მოახლოებას, მაგრამ ყველაფერი უნდა მოხდეს არჩევნებით. ამას ვაცხადებ კატეგორიულად.

დავუშვათ, ამ გიჟს ჰყავს მომხრეები და აქვს კვლევაში გარკვეული პროცენტი, მაგრამ ივანიშვილს გაცილებით მეტი უჭერს მხარს და ფრთხილად იყვნენ ესენი, თორემ გადაუვლის ხალხი მაგათ.

ხალხს სჭირდებოდა მართალი კაცი, ისეთი ადამიანი, ვინც არ მოატყუებდა და ხალხის გასაჭირს გაიგებდა. ასეთი კაცი გამოჩნდა და ახლა ხალხს ვერავინ ვერ შეაჩერებს.

ხომ ნახეთ, როგორ გამოვიდა ივანიშვილი „მაესტროზე“. ეს კაცი არის საქართველოზე შეყვარებული, განათლებული ადამიანი. ასეთი უნდა იყოს ქვეყნის სათავეში, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ ებრძვიან ყველა მხრიდან. ახლა ეს ნამდვილი ლოტოს კოჭი, ეს კოტიტა კიწმარიშვილი გამოიყვანეს არენაზე. ხელისუფლებამ გამოიყვანა ეს კაცი, ამაში დარწმუნებული ვარ. ეროსის ზრახვები უკვე საყოველთაოდ არის გაშიფრული, მაგრამ, გახსოვთ თქვენ „კავკასიაზე“ რომ მართლმადიდებლები დააპატიმრეს?

— კი, მახსოვს, ბატონო ლელიკო, მაგრამ ეს ამბავი რა შუაშია?

— რა შუაშია და, იმ ახალგაზრდებს მაშინ ბრალად დასდეს ჟურნალისტებისთვის საქმიანობაში ხელის შეშლა. მითხარით, კიწმარიშვილმა უარესი არ გააკეთა? ტელეკომპანია „მაესტროს“ მაუწყებლობა რაღაც პერიოდი შეჩერდა, მერე შეფერხებით გადიოდა, ახლა, მგონი, რადიოში ყოფილან შეყუჟული. კიწმარიშვილს სახელმწიფო პოლიცია იცავდა და უტიაშვილიც შეუმჩნევიათ ერთ-ერთ მანქანაში.

— თქვენი აზრით, რატომ მაინცდამაინც „მაესტრო“ და არა, ვთქვათ, „კავკასია“?

— სხვა არ ვიცი, მაგრამ „მაესტროდან“ ისმოდა მართალი სიტყვა და ეს არ აწყობთ ამათ. ძალიან ჩასვრილები არიან, ისე, რომ სუნი ასდით უკვე.

ამ კიწმარიშვილს ფულზე აქვს თვალები დაყვლეპილი. „მაესტროს“ ერთ-ერთი მოწილეს ვალი ჰქონია და ვერ იხდის. მე მახსოვს კიწმარიშვილს ნათქვამი აქვს — აუცილებლად უნდა მოვხვდე პარლამენტში, ჩემი 100 000 თუ 100 000 000 რომ დავიბრუნოო. პარლამენტში მოხვედრა ფულის მოხვეჭასთან აქვს ამ კაცს გაიგივებული და ამას ჩალიჩობს ახლა, ეტყობა.

რა ქნას, პარტია ჩამოაყალიბა და რა პარტიაა ახლა „ქართული პარტია“, მითხარით ერთი. კახეთიდან დამირეკეს ამას წინათ: ბატონო ლელიკო, მართალი იყავით თურმე ადრე რომ გვეუბნებოდით, არ შეიძლება მაგ ხალხთან საქმის დაჭერაო, ახლა აღარ გავჩერდებით „ქართულ პარტიაში“. თავი ვერ გამოგვიყვია გარეთ ეროსის გამოო.

მოკლედ, მე ველოდები არჩევნებს. იქ უნდა გაირჩეს შავი და თეთრი. ვინმემ რამე არ მიქაროს, ვაფრთხილებ ხელისუფლებას, თორემ მე ვიქნები პირველი, ვინც გამოვა ქუჩაში, ჯოხი მეჭირება ხელში, მეორეში კეტი, თუ გამოვა ხალხი, გამოვა, თუ არადა, მე დავერევი და სანამ პირში სული მედგმება, არ გავახარებ მაგათ.

— 11 დეკემბერს „ქართული ოცნება“ რომ უნდა დაფუძნდეს, იმაზე რას იტყვით?

— დიდი ამბით მოველი „ქართული ოცნების“ დაფუძნებას. ამბობენ, რომ მოსაწვევებით იქნება დარბაზში შესვლა, მაგრამ სულ რომ ცალ ფეხზე ვიდგე, მაინც უნდა დავესწრო, იმიტომ რომ ივანიშვილი ლაპარაკობს ნამდვილად ნაღდს, ქართულს, კაცურს და აკეთებს ქართულ საქმეს. ამ კაცმა პროფესორები, მეცნიერები და ასეთი ღვაწლმოსილი ხალხი შიმშილს გადაარჩინა, კაცო. მაგას შემოევლოს ჩემი თავი, მაგრამ ჩვენი მთავარი სენი რა არის, იცით? — შური. იმას რატომ მისცა ბევრი, მე რატომ მომცა ცოტა და ასე, მაგრამ ვის აქვს ამის თქმის უფლება? ჩემთვის ერთი კაპიკი არ მოუცია, მაგრამ როგორ ვიტყვი რამეს? ის კაცი არ თვლის საჭიროდ, რომ მომცეს და მე რა უნდა ვთქვა ახლა, არ მესმის?!

ვისაც ივანიშვილმა წლების განმავლობაში პატივი სცა, დაეხმარა და ახლა მდუმარედ უყურებენ ამ კაცისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას, ყველამ თავის სინდისში ჩაიხედოს. ცალი ხელით ბიძინას ფულს იტენიდნენ ჯიბეში და ცალი ხელით სააკაშვილის გამოგზავნილ ინდაურებს მიირთმევდნენ? რა ჯანდაბად მინდა მაგათი ინდაური. რომ გამოეგზავნათ ჩემთვის, ვინც მომიტანდა, იმას თავზე ჩამოვაცმევდი იმ ინდაურს და ისე გავაგდებდი აქედან. მე ვერ გამიბედავდნენ მაგას.

— ამ ბოლო დროს ჩვენი პრეზიდენტი ძალიან აგრესიულია, თურმე. მომღერალი სოფო ნიჟარაძე უცემია თუ რაღაც ამდაგვარი...

— მეც გავიგე მსგავსი რაღაც, მაგრამ, რა ვიცი, რა გითხრათ, ვითომ მართალი იქნება? მაგრამ ერთი კი ვიცი, როცა მიშას ველარ „ამაგრებენ“, მაგისი ბიძა ჩამოჰყავთ ხოლმე, თემურ ალასანია. თემურს მე კარგად ვიცნობ, კარგი ბიჭია, ჭკვიანი, განათლებული, გაახვიოს პროსტინაში და წაიყვანოს დროზე თავისი დისშვილი აქედან, სანამ კადაფიზე უარესი არ დამართია.

— თუ იცნობთ, თქვენ უთხარით...

— არ მელაპარაკება და როგორ ვუთხრა.

— რატომ?

— ოპოზიციონერი ვარ და იმიტომ.

თემურს რომ მამა მოუკვდა, დავურეკე, მივუსამძიმრებ-მეთქი და ცოლმა აიღო ყურმილი. ლელიკო ვარ, ჯაფარიძე-მეთქი, მიპასუხა: ჩვენ ოპოზიციონერებს არ ველაპარაკებითო. მე ვიცი, თემური ადრე თუ გვიან მიხვდება ყველაფერს, გენერალი კაცია, მაგარი ბიჭია და გაიგებს, რაც არის მიშა სააკაშვილი.

მაგრამ ახლა მიშას დარდი ვიღას აქვს, ეს კაცი უკვე ჩავლილი ამბავია. ახალი ტალღა მოდის, ახალი ოცნება, „ქართული ოცნება“ და ყველამ დავუჭიროთ მხარი ამ მართალ ქართველ კაცს.

ირანდა კალანდაძე

ბიძინა ივანიშვილი:

საქართველოში არის უსამართლობის განცდა და საშინელი ტერორი. ამის თავი და თავი გახლავთ სააკაშვილი. მისი უახლოესი გუნდი მსხვერპლია თავიანთი არჩეული პოზიციის. ისინიც ისეთივე დღეში არიან, როგორც დანარჩენი საქართველო. ერთადერთი მოძალადე დღესდღეობით გახლავთ სააკაშვილი. ჩვენი გუნდის მოსვლის მერე, არ შევეცდებით ცალკეული პროცესების განხილვას. ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი თავისუფალი სასამართლო.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ფრაგმენტები ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციიდან

ბიძინა ივანიშვილი:

მოგესალმებით და დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. მოგეხსენებათ, საჯარო ფიგურა არასოდეს ვყოფილვარ, მთელი ცხოვრების მანძილზე სულ ერთი ინტერვიუ მქონდა მიცემული, ბოლო დღეების განმავლობაში სამჯერ მივეცი ინტერვიუ. ეს არის ჩემი პირველი პრესკონფერენცია და არ დაგიმალავთ, ცოტა ვღელავ. მაგრამ გპირდებით, რომ ვიქნები მაქსიმალურად გულწრფელი. მოკლედ მოგახსენებთ, რამ მიმაღებინა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება. 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, რასაც მოჰყვა 2008 წლის გაყალბებული არჩევნები, ამის შემდგომ მე ყურადღებით ვაკვირდებოდი ოპოზიციურ სპექტრს, რათა გამეწია გარკვეული დახმარება, რომ მომავალ არეჩევნებში მოსულიყო ლეგიტიმური მთავრობა. დაკვირვებისა და ანალიზის დროს სააკაშვილმა მოახერხა სიცრუის ისეთი მანქანის ამოქმედება, რომ ძალიან რთული იყო გასარჩევად და დიდ ხიფათს ქმნიდა ორნიღბიანი, ფსევდოოპოზიციური პარტიები, ჟურნალისტები და ანალიტიკოსები. მიუხედავად ამისა, მე კარგად გავერკვიე სიტუაციაში. ბოლომდე იმედს ვიტოვებდი, რომ ერთ-ერთი პარტიისთვის ფინანსური დახმარებითა და გარედან რჩევის მიცემით შესაძლებელი იქნებოდა მიგვეღწია შესატყვისი შედეგისათვის, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ეს საკმარისი არ იყო, მივიღე ჩემთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება - მოვსულიყავი პოლიტიკაში. ეს გადაწყვეტილება მივიღე, რადგან ვხედავდი, რომ ვკარგავდი სამშობლოს. სამშობლოს სიყვარული იყო ბოლო წერტილი, რამაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება მიმაღებინა, რადგან მე მუდმივად ვაცხადებდი, რომ არასოდეს მოვალ პოლიტიკაში. როგორი რეაქცია მოჰყვა ჩემს განცხადებას, მოკლედ შეგახსენებთ. სააკაშვილმა გამოიყენა თავისი მანერა და მყისიერად გამიუქმა მოქალაქეობა აბსოლუტურად უკანონოდ. ასევე უკანონოდ დააპატიმრა „ქართუ ბანკის“, რომელიც ჩემი კუთვნილი კომერციული ბანკია, საინკასაციო მანქანა, ყოველგვარი წესების დარღვევით. ასევე ყოველდღიურად ხდება ზეწოლა ჩემს თანამშრომლებს, ახლობლებსა და თანამოაზრეებზე პოლიციის მხრიდან. მაგრამ ამ უწესო თამაშით ისინი ვერ შეცვლიან ჩვენს გეგმას, ვერ გამოგვიყვანენ სამართლებრივი სივრციდან, აუცილებლად მივალთ არჩევნებამდე და აუცილებლად გავიმარჯვებთ. რას გავაკეთებთ არჩევნების შემდეგ? პირველ ყოვლისა, აუცილებელი იქნება კონსტიტუციური ცვლილებების გატარება. მოგეხსენებათ, კონსტიტუცია უბის წიგნაკად გაიხადეს. აუცილებელი იქნება ძირეული ცვლილებების გაკეთება შეთანხმებული იყოს საქართველოს მოსახლეობასთან. ამასთან, უნდა დავიწყოთ პროცესი ნამდვილად თავისუფალი სასამართლო სისტემის შექმნისა და ეს პროცესი უნდა იყოს შეუქცევადი. უნდა გათავისუფლდეს მედია. თავისუფალი მედიიის გარეშე დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. უნდა შეიქმნას სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები იმისა, რომ საინტერესო გახდეს საქართველო ბიზნესისათვის, უნდა შევქმნათ საინტერესო საინვესტიციო გარემო და ბოლო მოვუღოთ იმ უკანონობას, რომ ადამიანებს არ აქვთ დასაქმების საშუალება. ეს უნდა იყოს მუდმივ რეჟიმში. მანამ, სანამ არ მივაღწევთ საქართველოს მოსახლეობის სრულ დასაქმებას. ეს იქნება ჩვენი პოლიტიკის ძირითადი მიზანი. უნდა გავაღრმავოთ ურთიერთობა აშშ-სთან და ევროპასთან და მყისიერად დავიწყოთ სიტუაციის დალაგება რუსეთთან. უფრო დაწვრილებით, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ, მოგახსენებთ მომავალი პარტიის პროგრამაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება, რაც ნიშნავს გამთლიანებული, დემოკრატიული, გაძლიერებული საქართველოს აღმშენებლობას.

ზურაბ ბიგვავა, ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი:



11 დეკემბერს „ქართული ოცნების“ პრეზენტაციას არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო წარმომადგენლობა დაესწრება, თუმცა პოლიტიკოსები არ არიან მიწვეულები. მოძრაობაში იქნება ბევრი ახალი სახე. ეს სახეები იქნებიან კვალიფიციური, სერიზული განათლების მქონე და უნარიანი ადამიანები, ვისაც მომავალში ბევრი საქმის გაკეთება მოუწევს.

თემატური ჯგუფების ამუშავების შემდეგ გამოჩნდება რესურსი, რომელიც მოძრაობის საყრდენი იქნება. 11 დეკემბრის შემდეგ მყისიერად დაიწყებს მუშაობას ”ქართული ოცნების” მთავარი ოფისი. ასევე, რეგიონებში გაიხსნება ოფისები, რომლებიც ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე პროექტებს განახორციელებენ.

აღსანიშნავია, რომ ”ქართული ოცნება” მოძრაობად ჩამოყალიბების შემდეგ დარჩება საზოგადოებრივ მოძრაობად, პოლიტიკური პარტია ცალკე ჩამოყალიბდება და ექნება კონკრეტული და განსაზღვრული ფუნქცია. პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება ბევრ რაღაცასთან არის კავშირში და შესაბამის დროს ჩამოყალიბდება.

პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებიც გაიზიარებენ იმ პრინციპებს, რასაც ივანიშვილის მოძრაობა ახმოვანებს, მაგალითად - ხელისუფლების მშვიდობიანი ოპონირება, შესაძლებელია თანამშრომლობა.

”ქართული ოცნება” ღიაა, ყველას, ვისაც აქვს სურვილი და უნარი, არის აქტიური, შეუძლია ჩაერთოს ამ მოძრაობაში.

ნონა ყანდიაშვილი, ბიძინა ივანიშვილის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი:

მოგეხსენებათ, სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა დარბაზის დათმობაზე, შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი მხოლოდ 2 400 ადამიანს იტევს. ამიტომ „თბილისი ივენთ ჰოლში” დამონტაჟდება დიდი სატელევიზიო ეკრანი, რათა დარბაზში ადგილების სიმცირის გამო გარეთ დარჩენილ მხარდამჭერებს მიეცეთ ღონისძიების ნახვის საშუალება.

„ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე ელექტრონული და ბეჭდური მედიის 200-მდე წარმომადგენელია აკრედიტებული. პრეს-სამდივნო მაქსიმალურად უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლების სამუშაო პირობებს.

ეკა ბესელია, ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატი:

სწორედ ამ მოძრაობას „„ქართულ ოცნებას” აქვს რესურსი და მზაობა, იყოს გამაერთიანებელი, ნამდვილად სახალხო თავისი არსით და მართლაც ქართული ოცნების რეალობად მქცევი. რა არის ქართული ოცნება? ქართული ოცნება გაერთიანებული, ძლიერი საქართველოა, ღირსეული ცხოვრების პირობებია, სამართლიანობაა, ადამიანის როგორც უმაღლესი ფასეულობის უფლებების დაცვაა. მოძრაობა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგა სათავეში, საზოგადოების გაძლიერებას ისახავს მიზნად, რათა სწორედ ხალხი იყოს რეალური ძალისა და უფლების მატარებელი და აიძულოს ხელისუფლება ანგარიში გაუწიოს ხალხის ნებას. ვცდილობთ, ყველაფერი გაკეთდეს მოკლე დროში და მოვემზადოთ არჩევნებისთვის.

biZina ivaniSvilma qarTul politikaSi axali Temebi Semoitana

გვესაუბრება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექტორი, პროფესორი მარინა ჩიტაშვილი.

- რამდენად შედგა ქართული საზოგადოება, როგორც სამოქალაქო საზოგადოება?

- ალბათ, მხოლოდ ნაწილობრივ, ვგულისხმობ, დღევანდელ დღემდე, და ამის თქმის უფლებას მაძლევს საზოგადოების ნაწილობრივი ჩართულობა სოციალური აქტორის როლში. კონკრეტული მაგალითი რომ მოვიყვანო, ესაა არჩევნებში მონაწილეობა. ბოლო არჩევნებში -2008 საპრეზიდენტო, შემდგომ საპარლამენტო და 2010 ადგილობრივი არჩევნების მონაწილეთა საერთო რაოდენობა კლებულობს და ის საშუალოდ 35% ფარგლებშია, რაც სხვა სიტყვებით ნიშნავს, რომ ჩვენი მოქალაქეები კონსტიტუციით მინიჭებულ ხმის უფლებას არ იყენებენ თუნდაც იმისათვის, რომ დაფიქსირონ საკუთარი არჩევანი, ანუ მიიღონ მონაწილეობა საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის ტიპის განსაზღვრაში. სწორედ ასეთი უმოქმედობა - რომ მე, როგორც ერთი, უნდა გასვსაზღვრავდე ჩემი წილის ფარგლებში ქვეყნის ბედ-იღბალს, ჩვენს საზოგადოებაში ნაკლებად არის ისევ და უფრო მეტიც, ყველა თეორია, რომელიც მეტნაკლებად მესიანიზმზე, მასონ-შეთქმულებაზე, კონსპირაციაზე დგას, სწორედ ადამიანების ამ პასიურობით იკვებება.

თუ მოქალაქეს ჰგონია, რომ მის ბედს სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში მაინც სხვები გადაწყვეტენ და ის ვერაფერს ვერ შეცვლის, ჩვენ არ გვაქვს სამოქალაქო საზოგადოება. საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში არსებობს მოვლენები, როდესაც საქართველო აჩვენებდა, რომ ამის პოტენციალი აქვს და თითქმის არის კიდეც სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარება კარგად უჩვნებს, რომ ამგვარი ქმედებები უფრო სიტუაციური ფაქტორებით იყო გამოწვეული, ვიდრე გაზიარებული და ყველასათვის მიღებული ღირებულებებით - მაგალითად, არჩევნებში ხმის უფლება, მედიის თავისუფლება, ადამიანის უფლებების და ღირსებების დაცვა და ა.შ. მოკლედ თუ შევადარებთ ყოფილ საბჭოთა სივრცეში გაერთიანებულ ქვეყნებს, ჩვენ ნამდვილად წინ ვართ შუა აზიასთან, მაგრამ სერიოზულად ჩამოვრჩებით ბალტიისპირეთის ქვეყნების 90-იანი წლების და შემდგომ დამოუკიდებლობის პირველი წლების კონსოლიდაციას და მონწილეობას საერო საქმეებში. ამიტომაც ვამბობ მხოლოდ ნაწილობრივ.

- რამდენად ეწინააღმდეგება ქრისტიანობა და ლიბერალიზმი ერთმანეთს, რას ნიშნავს ლიბერალიზმი ქართულად?

- მართალი გითხრათ, არასდროს მიფიქრია ამ კითხვაზე, რადგან ჩემთვის პირადად ეს ორი რამ ურთიერთსაწინააღმდეგო არ არის. თუ ლიბერალიზმი აღიარებს ადამიანის უფლებების პრიმატს და რომლის მიხედვითაც, თავისუფლების კატეგორიაა ძირითადი პოლიტიკური ღირებულება და თანამედროვე გაგებით ეს არის ინდივიდუალური უფლებები და საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია თითოეული ადამიანის აზროვნების თავისუფლება, ძალაუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით მთავრობის და რელიგიის [ორივე როგორც ინსტიტუტები], კანონის უზენაესობა, უფასო საზოგადოებრივი განათლება, იდეათა თავისუფალი გაცვლა, საბაზრო ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ კერძო მეწარმეობას, და მთავრობის გამჭვირვალე სისტემას, სადაც ყველა მოქალაქის უფლება დაცულია. მეორე მხრივ, პავლე მოციქული გვასწავლის - მონობისაგან გაგათავისუფლათ ქრისტემ და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს. რაც ჩემთვის პირადად ამას ნიშნავს - რომ მე თავისუფალი ვარ დაბადებიდან და არავის მონობის უღელი არ უნდა მედგეს ან დავიდგა საკუთარი ნებით, მაგრამ მარტო მე არ ვარ ამ უფლებებით აღჭურვილი, არამედ ყველა სხვა ადამიანსაც იგივე უფლებები აქვს და თანაცხოვრებისათვის ერთ სივრცეში, ანუ ერთ სახელმწიფოში ან ერთ დედამიწაზე, ან ერთ თანამეგობრობაში უკეთესი ვარიანტი არ არის ვიდრე ლიბერალიზმია, სადაც ყველა ადამიანის უფლების დაცვა არის ცენტრალური ღირებულება.

-საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა გუნდის შემადგენლობა. ეს დემოკრატიის პირობებში, შესაძლოა, ბუნებრივადაც ჩაითვალოს, თუმცა ჩვენ სასურველი დემოკრატიისაგან, დამეთანხმებით, ძალიან შორს ვდგავართ. რამდენად ღიად თამაშობს დღეს ხელისუფლება ივანიშვილის გუნდის მიმართ და რამდენად არის მოსალოდნელი ის განწყობა, რომელიც განსხვავებულ ტონალობებში იკითხება პატარა ქვეყნის think tank-ების რჩევებსა თუ საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მიპყრობის მცდელობაში?

- ის, რომ ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა გუნდის შემადგენლობა სხვდასხვა აზრს იწვევს უკვე კარგია, რაც ნიშნავს იმას, რომ შავ-თეთრი აზროვნების ნაცვლად, რაღაცები და ვიღაცები გვახსოვს და გვიკვირს ან მათი თანმიმდევრულობა და ან არათანმიმდევრულობა საკუთარი პოლიტიკური სიმპატიების თუ განცხადებების კვალობაზე. მეორე კითხვაა, საიდან უნდა აღმოჩენილიყო ბიძინა ივანიშვილის გვერდზე სრულიად უცნობი სახეები? რა, ეს ადამიანები უცბად სასწაულებრივად გამოჩდებობდენ არსაიდან თუ როგორ არის საქმე? ბიძინა ივანიშვილის გარშემო დგას ის ხალხი, ვინც გვყავს და ვართ საქართველოში. ზუსტად ისევე, როგორც საკაშვილის გვერდზე დგას ის ხალხი, ვინც ვართ და გვყავს საქართველოში. დამეთანხმებით, რომ ეს ორი არაერთგვაროვანი ტიპის გაერთიანებაა. საკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა პარტიულ დისციპლინაზე აგებული რეპრესიული და პოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურებით გამაგრებული და ფინანსური რესურსებით მყარი ორგანიზაციაა, რომელსაც ძალაუფლება უკავია, ივანიშვილის გარშემო არანაირი ასეთი სტრუქტურა არ არსებობს, უფრო მეტიც, მას არა აქვს უფლება რაიმე ტიპის პარტიული სტრუქტურა შექმნას მოქალაქეობის არქონის გამო, შესაბამისად, ის სამოქალაქო მოძრაობას ქმნის, რომლის ძირითადი ფუნქციაა ხალხის მონაწილეობით და ხალხისგან და ხალხისთვის გამოიყვანოს ყველა, ვისაც უნდა ნადვილად ლიბერალურ ღირებულებზე აშენებულ დემოკრატიულ ქვეყანაში იცხოვროს და არა ამ პაროდიაში და ცინიზმში, რომელშიც ვიხრჩობით 2007 წლიდან დაწყებული და 2008 წლის მოვლენებით დაგვირგვინებული, და არჩევნებით შეცვალოს ხელისფულება.

როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთი ამბციების არსებობას არსებული სახელისფულო ელიტა სიხარულით შეხვდება? რა არის ყველაზე მარტივი გამოსავალი - გააკრიტიკო ივანიშვილის ე.წ. გუნდი, მაშინ, როცა ჯერ არ არის გუნდი, რადგან ამ ადამიანს არსად დაუფიქსირებია, ეს ჩემი გუნდიაო. კიდევ უფრო შორს წავალ - რა არის მეორე ნაბიჯი, თქვა, არ იცის პარტიის მშენებლობაო - მაშინ, როდესაც უფლება წაართვი რაიმე ააშენოს, ვგულისმხობ, პოლიტიკურ აქტივობას, და ა.შ.

სრულიად ბუნებრივია, რომ იმას, რასაც თქვენ **think tank** ეძახით, მე მათ უბრალოდ, კვლევით ცენტრებს დავარქმევდი, რომლებიც თუ არ არიან უკვე სერიოზულად ფინანსურად გამართული, შეეცადონ მიიპყრონ ყურადღება. ვერც ამაში ვხედავ დიდ პრობლემას, პირიქით მე მგონია, რომ ეს ჯანსაღ კონკურენციას ქმნის და გაბატონებული აზრის სერიოზული კრიტიკის საშუალებას ბადებს. რაც შეეხება, ცდილობენ თუ არა კონკრეტული ადამიანები მიიწერონ ის ცოდნა, რომელიც მათ არ გააჩნიათ და თქვან ვიცითო, მე მგონი, არც ესაა გასაკვირი ქვეყანაში, სადაც ასე ”ჰყვავის ადამიანური ღირსების პატივისცემა და პროფესიული ეთიკის ნორმები”.

-რამდენად არგუმენტირებულად მიგაჩნიათ ”ეროვნული იდეის” პრივატიზება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ მაშინ, როდესაც ქვეყანაში 200-მდე თუ მეტი პარტიაა რეგისტრირებული? რატომ ”რესპუბლიკელები” და ”თავისუფალი დემოკრატები”? რა არის ის ძირითადი პრინციპი, რომლის საფუძველზეც ბიძინა ივანიშვილის გუნდი თანამშრომლობისა და პარტნიორობისათვის ირჩევს ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე მოთამაშე ჯგუფებს?

- ეროვნული იდეის პრივატიზება არავის არ შეუძლია და განსაკუთრებით, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკური პარტიის - კლასიკური გაგებით. რამდენი პარტიაც გინდათ იყოს რეგისტრირებული, არჩევნებმა აჩვენა, რომ არც ისე ბევრია ამ პარტიების ელექტორატის მქონე, რაც სხვა სიტყვებით ნიშნავს, რომ ზოგიერთი ადამიანი უბრალოდ ერთობა და ქმნის პარტიას. მას ამის სრული უფლება აქვს კონსტიტუციით. თუ რატომ აირჩია ივანიშვილმა რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები, სჯობს მას ჰკითხოთ. მე ჩემი მხრიდან ვადასტურებ, რომ სრულად ვუჭერ მხარს მის არჩევანს პოლიტიკური ბლოკის ან ალიანსის პარტნიორების შერჩევაში. ეს შემიძლია გითხრათ მხოლოდ და ისიც უნდა დავაყოლო, რომ საზოგადოებრივ მოძრაობას პრინციპულად სხვა მიზნები აქვს, ვიდრე პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს პოლიტიკური პლატფორმა. ალბათ, უკვე უახლოეს მომავალში, მოვისმენთ ოფიციალურად ამ პლატფორმას და იქ გამოჩნდება, რატომ მაინცადამაინც „რესპუბლიკელები” და „თავისუფალი დემოკრატები”.

-რამდენად არის მოსალოდნელი, რომ უკვე ერთ პოლიტიკურ ძალად გამოცხადებულ პოლიტიკურ სტრუქტურაზე შეტევა არამხოლოდ ხელისუფლებამ, არამედ ”მესამე ძალაზე” პრეტენზიის მქონე პოლიტიკურმა სუბიექტებმა განახორციელონ? პრევენციის რა ზომები შეიძლება რომ მიმართოთ?

- მე პოლიტიკური პარტიების ექსპერტი არ გახლავართ და არც ის ვიცი, კონკეტულად რა პრევენციული ზომები შეიძლება იქნას გამოყენებული. თუმცა იაგო კაჭკაჭიშვილის მიერ წარმოდგენილმა პრეზენტაციამ კარგად აჩვენა, რომ რეალურად ახლა საარჩევნო პარტიის მოგების თანაბარი შანსები აქვთ ორ მოთამაშეს, მესამე პოლიტიკურ ძალაში გაერთიანულ სუბიექტებს სერიოზული დაფიქრება სჭირდებათ, ღირს თუ არა გაერთიანება - უკეთესი გამოსავალი იქნებოდა პირდაპირ ნაციონალურ მოძრაობაში გაერთიანება ან ივანიშვილთან ასოცირება, ასე დროსაც დაზოგავდენენ, ენერგიასაც და ფინანსებსაც. ისიც უნდა ითქვას, რომ რამოდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ ეს უკვე წარმატებით გადაწყვიტა.

- რა არის ქართული ოცნება?

- ჩემთვის პირადად. ვცხოვრობდე ქვეყანაში, სადაც

ადამიანის უფლებების დაცვა იქნება ძირითადი ამოსავალი წერტილი და სადაც ადამიანი იქნება მიზანი და არა საშუალება. სადაც ერთი ბავშვიც თუ ქუჩაში დგას და მათხოვრობს, ერთი მოხუცები უპატრონოდ კვდება, არ სძინავს ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს სირცხვილისაგან,

რომ მათ ვერ შეძლეს მათზე დაკისრებული მოვალეობა შეესრულებინათ - მოევლოთ ქვეყნისათვის.

ნინო ფირცხალავა

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბიძინა ივანიშვილი: `ar megona, rom miliarderi gavxdebodi~

ВЕДОМОСТИ

ფრაგმენტები ბიძინა ივანიშვილის პირველი ინტერვიუდან, რომელიც 2005 წელს გაზეთ „ვედომოსტში“ დაიბეჭდა.

„ბედნიერი ვარ, რომ სუფთა წარსული მაქვს და გარწმუნებთ, ხელისუფლების იდეოლოგებს თავიანთი მცდელობანი სიკეთეს ვერ მოუტანს. მუდმივად ისეთ გვარებს ატრიალებენ, რომელიც ცნობილი არაა საქართველოს მოსახლეობისთვის. მუდმივად ცდილობენ, ხალხს ეჭვი გაუჩინონ ჩემზე.

ერთადერთ ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „ვედომოსტს“ მივეცი, ყველა ეს გვარია დასახელებული და პასუხიც იქვეა გაცემული. ეს ამბავი კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. ჟურნალისტებმა მაშინ ვერც ერთი შავი ხაზი ვერ მიპოვეს. ერთი თვე არ ბეჭდავდნენ ჩემს ინტერვიუს. ვერ წარმოედგინათ, რომ რუსეთში შეიძლებოდა ასეთი კაცი ყოფილიყო, თანაც ქართული გვარით. როგორც აქ არ ვჩნდებოდი, უფრო მეტად არ ვჩანდი რუსეთში. დიდხანს ელოდნენ ჩემ გამოჩენას, ამის შემდგომ ყველა საინფორმაციო საშუალებამ გააშუქა ეს ინტერვიუ, გრამი ეჭვიც კი არავის შეუტანია ჩემს ნათქვამში, რადგან ინტერვიუში იმდენად გულწრფელად მაქვს პასუხები გაცემული, ეჭვის ნატამალიც კი არ რჩებოდა.“

— თქვენ არასოდეს მიგიციათ ინტერვიუ და თქვენი სამეწარმეო საწქმიანობის დასაწყისიდანვე ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდით. რას უკავშირდება ასეთი გასაიდუმლოება?

— მე მართლაც არ ვარ საჯარო ადამიანი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ხასიათს უკავშირდება. არ მიყვარს ჟურნალისტებთან შეხვედრა, თავშეყრის ადგილებში ყოფნა. იქ ნიღბის მორგებაა საჭირო, მე კი ვერ ვიტან ფორმალობებს. არ მსურს ვაკეთო ისეთი რამ, რაც ჩემს თავისუფლებას ზღუდავს. ზოგადად, არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, არც დღესასწაულები, საკუთარ დაბადების დღესაც კი არასდროს ვიხდი.

— რითი შეიძლება ავხსნათ, რომ „როსიისკი კრედიტი“ და „მეტალოინვესტი“ არც კი ადასტურებდნენ, რომ ეს სტრუქტურები თქვენ გეკუთვნით?

— არასოდეს დამირღვევია კანონი და დასამალიც არაფერი მაქვს. უბრალოდ, „პერესტროიკის“ დასაწყისშივე, ჩვენ ყველანი, ბიზნესმენები, სამწუხაროდ, დაძაბულად ვცხოვრობდით იმის გამო, რომ შესაძლოა, ჩვენს ბიზნესს რამე დამუქრებოდა. თუკი საკუთარი პერსონითა და ქონებით ყურადღებას არ მიიპყრობდი, ბიზნესის მართვაც უფრო მშვიდად შეიძლებოდა.

— 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში მართლაც დაძაბული მდგომარეობა იყო, მაგრამ საზღვარგარეთ ყველა ბიზნესმენი როდი მიემგზავრებოდა თქვენსავით. როდის წახვედით ქვეყნიდან და რატომ?

— რუსეთიდან პირველად 1993 წელს, საქართველოში ჩემი ძმის გატაცების შემდეგ წავედი. მისთვის გამოსასყიდს ითხოვდნენ. ერთი თვე ჰყავდათ, მაგრამ გამოსასყიდი არ გადამიხდია, რადგანაც ანალოგიურ საფრთხეში ჩავაგდებდი ჩემს მშობლებს, დებს. შემდგომში მათთვის ხელი არავის უხლია. ჩემთან კი საქართველოდან სხვადასხვა სახელმწიფო მოხელე ჩამოდიოდა, რომლებიც ჩემი ძმის მოძებნაში დახმარებას ცდილობდნენ, თანამშრომლობას მთავაზობდნენ. არ მსურდა მათი შემოშვება ჩემს ბიზნესში და მათთან ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტე, ფორმალურად ბანკს ჩამოვშორებოდი: განვაცხადე, რომ ბანკის პრეზიდენტის თანამდებობას ვტოვებდი, 1994 წელს კი 6 თვით ოჯახთან ერთად ახლობელთან ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრე. საქართველში ვითარება არ იყო მშვიდი, თითქოს საზღვარგარეთ უფრო შეიძლებოდა წყნარად ცხოვრება; ვფიქრობდით, შვილების გულისთვის, მათი მომავლისთვის ეგებ ღირდეს აქედან გამგზავრება. ვირჩევდით ქვეყანას, რომელიც ყველაზე მეტად მოგვეწონებოდა. საფრანგეთი შევარჩიეთ, პარიზის სიახლოვეს სახლი ვიყიდეთ. თუმცა იქ მუდმივად არ ვცხოვრობდით, ბიზნესის გამო, განსაკუთრებით კი დეფოლტის შემდეგ, ძირითადად მოსკოვში გვიწევდა ყოფნა.

— მიუხედავად ამისა, საფრანგეთის მოქალაქეობა მაინც მიიღეთ?

— ცოლმა და შვილებმა მიიღეს, მე — არა, რადგან ეს დიდ დროს წამართმევდა: გასაუბრება და ათასი სხვა რამ იყო საჭირო.

— არ ნანობთ, რომ ადრე ინტერვიუს არ იძლეოდით? ნუთუ გულგრილად უყურებდით იმას, რასაც თქვენზე წერდნენ?

— რასაკვირველია, არა. რუსეთის მასმედიისგან განსხვავებით, ქართველ ჟურნალისტთა მუდმივი ყურადღების ცენტრში ვიყავი. ზოგიერთი მათგანი დასაბეჭდად იყენებდა მასალას ინტერნეტიდან, სადაც კარგა ხნის განმავლობაში განთავსებული იყო თითქოსდა ჯგუფ „მოსტის“ უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი ჩემი დოსიე. ოდესღაც სერიოზულ კონკურენციას ვუწევდით „მოსტ-ბანკს“, ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ ეს დოსიე „როსიისკი კრედიტსა“ და პირადად ჩემზე ათასგვარ სისულელეს შეიცავდა, თანაც ეს ყველაფერი კრიმინალური ჟარგონის გამოყენებით იწერებოდა. დოსიე იმდენად არასერიოზული იყო, რომ იგი რუსეთის არც ერთ გაზეთს არ გამოუყენებია. შევარდნაძის დროს ქართველი ჟურნალისტები განურჩევლად ლანღავდნენ ყველას და მათ შორის მეც, ამიტომაც მათ სტატიებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ერთ წელიწადში ჩემ შესახებ წერილების გამოქვეყნება განახლდა და სწორედ მაშინ პირველად მოვახდინე მათზე რეაგირება: შარშან, ნოემბერში, ჩემს სამსახურებს დავავალე გაეგოთ, რას წარმოადგენდნენ იმ ინტერნეტ-საიტის მფლობელები, სადაც ეს დოსიე იყო განთავსებული. პირველწყაროს მფლობელებმა — გამოძიების ფედერალურმა სააგენტომ — ამოიღო დოსიე და ბოდიშიც მოიხადა.

— ანუ, რაც იქ წერია, სიმართლე არ არის?

— იმ დოსიეს მთავარი „სენსაცია“ ის არის, თითქოს მე ოთარ კვანტრიშვილთან ვიყავი დაკავშირებული, ყალბი ავიზოებით და მსგავსი ერთობლივი საქმიანობით ვიყავით დაკავებული. ეს სრული ბოდვაა. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ბანკების უმრავლესობა, მათ შორის სახელმწიფო ბანკებიც, წალეკა ყალბმა ავიზოებმა (რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათობით მილიარდი დოლარი მოიპარეს), დიდი ძალისხმევის ფასად მოვახერხე, რომ „როსიისკი კრედიტი“ გამყალბებელთა საქმიანობას წინ აღდგომოდა. ჩემი ბანკი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელსაც არც ერთი ავიზო არ გაუტარებია.

კვანტრიშვილის, ბენდუქიძის, მაღრაძის, სელიაშვილის გუნდთან ჩემი დაკავშირება ასეთივე ბოდვაა. არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი. ქართველ ჟურნალისტებს, რომლებსაც დღემდე მოსვენებას არ აძლევთ კვანტრიშვილთან ჩემი ურთიერთობის ეჭვი, შეეძლოთ ჩაეტარებინათ არც ისე რთული ჟურნალისტური გამოძიება, დაეწყოთ თუნდაც კვანტრიშვილის ცნობილი ახლობლებისგან. არც საქართველოში, არც რუსეთში პრობლემას არ წარმოადგენს კვანტრიშვილის ნათესავების, მეგობრების, „როსიისკი კრედიტის“ თანამშრომელთა მოძებნა. დაე, იპოვონ თუნდაც ერთი მოწმე ან მტკიცებულება, რომ პირადად მე ან ჩემს სტრუქტურებს კვანტრიშვილთან იოტისოდენა შეხება მაინც გვქონია! არიან ისეთი ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც ჩემზე საუბრისას იყენებენ ასეთ გამოთქმას — „ვინმე ივანიშვილი“, სხვები წერენ, რომ მე „საორიენტაციოდ“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, ზოგიერთი ჩემი გვარის ხსენებისას სხვის ფოტოებს ბეჭდავს. ჟურნალისტთა სხვა კატეგორია იმ ბიზნეს-ცენტრს, რომელსაც თბილისში ვაშენებ, საროსკიპოს უწოდებენ. რა აერთიანებთ მათ? ყველანი თითქოს უაღრესად აღშფოთებული არიან, რომ ჩემზე ინფორმაციის მოპოვება უჭირთ. ეს ხომ მზაკვრობაა. ქართველზე, რომელიც დაიბადა საქართველოში, რო-

10 gv.

`ar megona, rom miliarderi gavxdebodi~

9 gv.

მელსაც მშობლები, უამრავი ნათესავი და მეგობარი ჰყავს, აბსოლუტურად ყველაფრის გაგება შეიძლება, თანაც უსწრაფესად. არასოდეს მიმიმართავს სასამართლოსთვის ჩემი ღირსებისა და პატივის დასაცავად, რადგან არასოდეს დამიკარგავს არც ერთი, ყოველთვის სინდისის კარნახით ვცხოვრობდი.

— საქართველოში ახლახან დაბრუნდით. დიდი ხანია, იქ ბიზნესი გაქვთ?

— დაახლოებით ათი წელია, რაც საქართველოში ბიზნესი მაქვს. აქტივები სხვადასხვაგვარია. ჩემს მფლობელობაშია კვების დარგში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია — „თოლია“, რომელიც ამზადებს ნაყინს, პელმენს, ნამცხვრებს. მაქვს ბანკი „ქართუ“, აგრეთვე საქართველოში უდიდესი სამშენებლო კომპანია, რომელიც ოფისებსაც აშენებს და საცხოვრებელ სახლებსაც; სასოფლო-სამეურნეო კომპანია, რომელსაც 600 ჰა მიწა ეკუთვნის. ჩემს საკუთრებას წარმოადგენს საქართველოში ყველაზე დიდი მარანი, რომელიც მთაშია გაჭრილი. იქ ღვინით სავსე უზარმაზარი ცისტერნებია. 300 ჰექტარზე ვაზი გავაშენეთ, განვითარებას ვფიქრობდით, მაგრამ ახლა ყველაფერ ამას ვყიდი, მყიდველებიც გამოჩნდნენ. მხოლოდ ბანკს დავიტოვებ.



— რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ბიზნესის გაყიდვა?

— მალე 50 წლის ვხდები და ახლა აუცილებელია მთავარზე კონცენტრირება, ყველაფრის ერთად გაძღოლას სხვა ენერგია სჭირდება. ერთადერთი პროექტი, რომლის დასრულებაც მსურს, ეს არის სამთო-სათხილამურო კომპლექსი „ბაკურიანი-2“. რამდენიმე წლის წინ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მთიან მხარეში, ბაკურიანში, მიწის დიდი ნაკვეთი შევიძინე. კანადურმა და ავსტრიულმა კომპანიებმა უკვე შეადგინეს საკურორტო კომპლექსის განვითარების გენერალური გეგმა. კომპლექსი მოიცავს სათხილამურო ტრასებსა და გასართობ ცენტრს. წლეულს პროექტის პირველი ეტაპის — გონდოლებიანი საბაგირო გზის მშენებლობის დაფინანსებას ვიწყებ, გაისად კი მთლიანი ინფრასტრუქტურა მზად უნდა იყოს. თვითონ ვერ დავკავდები ამ პროექტით. იქ ძირითადად რუსი ტურისტები ჩავლენ. მინდა, რომ რუსმა ტუროპერატორებმა სასტუმროების მშენებლობა დაიწყონ და მზად ვარ, მათ მშენებლობისთვის მიწა უსასყიდლოდ გადავცე და დაფინანსების შეღავათიანი პირობებიც შევთავაზო.

— საქართველოში თქვენს დაბრუნებას ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები დაემთხვა. როგორ აფასებთ ამ ცვლილებებს?

— ხელისუფლებაში მოვიდა ახალგაზრდული ძალა, მაგრამ მე მათი არც მომხრე ვარ და არც მოწინააღმდეგე. სულ ეს არის, რისი თქმაც შემიძლია. საერთოდ კი, ძალიან ვწუხვარ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები ასეთ კალაპოტში მიედინება.

— რამდენად საჯარო ცხოვრებას ეწევით საქართველოში, როგორი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს თქვენ მიმართ?

— არც ერთ მათგანთან არ მაქვს კონტაქტი, განცალკევებით ვცხოვრობ, მხოლოდ ნათესავებთან, ახლო მეგობრებთან ვურთიერთობ. არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ გამაჩნია, უბრალოდ, მინდა, საკუთარ ოჯახთან ერთად მშვიდად ვიცხოვრო. ჩემს სოფელ ჭორვილას ხანდახან ბიზნესის საკითხების მოსაგვარებლად თუ ვტოვებ.

— თუ ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაშინ რატომ მიმართეთ სასამართლოს პატივისა და ღირსების დასაცავად?

— იმიტომ, რომ არასოდეს დამიკარგავს პატივი და ღირსება, სინდისის კარნახით ვცხოვრობდი. ამ ფასეულობების აღდგენაზე კი ისინი დაფიქრდნენ, ვინც ჩემზე სიცრუეს წერდა.

მარია როჟკოვა, Âåäî ì î ñòè
7 აპრილი, 2005 წელი

მერაბ შათირიშვილი:

მართლმადიდებლური კანონიკით, ტაძრის აღმშენებელს ქტიტორი ეწოდება და, როგორც შემწირველი, ტაძრის კედელზე მისი ფრესკა იხატება... მე ქართველი საზოგადოების წინაშე ვსვამ შეკითხვას: სამების საკათედრო ტაძრის აღმშენებელი, ქტიტორი ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის და ეს გაურკვეველი ეროვნების ნაძირლები არიან საქართველოს მოქალაქეები?! ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს და ქართველთათვის შეურაცხმყოფელი განზრახი ხელისუფლებას არ აპატიოს... სამების ტაძრის შემოგარენი ქართველი ხალხით უნდა გადაიჭედოს, ყველა საელჩოსა და მსოფლიო პოლიტიკურ საზოგადობას უნდა შევატყობინოთ და საქართველოს პატრიარქთან ერთად სააკაშვილი ვაიძულოთ, რომ ბიძინა ივანიშვილს მიეცეს უფლება ქართულ პოლიტიკაში განახორციელოს დემოკრატიული ნოვაციები...

კობა არაბული:

ივანიშვილი უფალმა მოავლინა მაშინ, იმ დროს და იმ ვითარებაში, როდესაც ეს საჭირო იყო, მან ბეწვზე მოუსწრო „გატეხილ ბორანზე“ ჩაკიდულ ქვეყანას — და ეს ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ერმაც და ბერმაც, მტერმაც და მოყვარემაც... და შევანელოთ რადიო-ტელევიზიებში უცნაური კაკაფონია...

—ახლა თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ივანიშვილი უფალმა გამოგვიგზავნა? ცოტა გადაჭარბებული ხომ არაა ეს შეფასება? თუ ასეა, მაშინ უფალმა უნდა დაიფაროს და მისმა წამოწყებულმა საქმემ უნდა იზეიმოს...

—ივანიშვილი უფალმა მოიყვანა და თუ ეს ასეა, დიახ, ისევ უფალმა უნდა დაიცვას იგი, უფალმა უნდა მისცეს მას ამ ურთულეს ვითარებაში სიფრთხილის და სწორი მოქმედების უნარი, გამარჯვების შესაძლებლობა, ხოლო საზოგადოებას გონება გაუნათოს...

შალვა ხაჭაპურიძე:



ქველმოქმედი ბიზნესმენი პოლიტიკაში შემოსვლისთანავე კატეგორიული გახდა და პირდაპირ მოსთხოვა ოპოზიციას გამიჯვნა-დროა წყალგამყოფი გაივლოს, ვინ არის რეჟიმისკენ და ვინ არაო.

საქართველოში 200-დე პარტიაა, აქედან მხოლოდ 20-ია აქტიური. მათ მიუწვდებათ ხელი პრესასთან ურთიერთობაზე, თორემ სააკაშვილის პირობებში ფინანსების დეფიციტი მაინც აქვთ. ჩვენგან განსხვავებით ევროპაში 4-5 მიმართულების პარტიებია: სოციალურ-დემოკრატიული, ლიბერალურ-დემოკრატიული, კონსერვატიული და ლეიბორისტული, ანუ მუშათა პარტია. აი, საქართველოში კი 20-ვე აქტიურ პარტიას პრეტენზია აქვს ლიბერალ-დემოკრატობაზე. ერთი მიმართულების ამდენი პარტია სრულიად ზედმეტია, სჯობს ოპოზიციურ სპექტრში ერთკაციან და ორკაციან პარტიების გადაჯგუფებები დაიწყოს. რასაკვირველია, პარტიების გამსხვილება დადებითად იმოქმედებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ასე რომ, ივანიშვილის გამოჩენით პოლიტიკურ ცხოვრებაში წესრიგი და კონსტიტუციური აზროვნება დამკვიდრდება.

დემიენ მაკგინესი:

მას ხან დრაკულას, ხან კეთილ ჯადოქარს და ხანაც ბეტმენის მდიდარ, ფილანტროპ ალტერ-ეგო ბრიუს ვეინსაც კი ადარებენ.

მილიარდერი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ახლა უკვე ერთ წელიწადში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაზე და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის ხელისუფლებიდან მოშორებაზე ფიქრობს.

მაგრამ ხომ არ ცდილობს მთავრობა მარათონიდან მის ჩამოშორებას?

გასულ თვემდე ის გასაიდუმლოებული ფიგურა იყო, გადამალული თავის ჯეიმს ბონდის სტილის მოდერნისტულ მინისა და ლითონის სასახლეში, რომელიც ვერტმფრენის მოედნით სრულდება და ფერდობიდან საქართველოს დედაქალაქს გადაჰყურებს.

არასდროს იძლეოდა ინტერვიუებს, ძალიან იშვიათად ჩანდა საზოგადოებაში და დიდწილად ცნობილი იყო იმით, რომ ხელოვნების დარგს და ისეთ საჯარო შენობებს აფინანსებდა, როგორიცაა თბილისის უზარმაზარი მართლმადიდებლური კათედრალი.

მის შესახებ ცნობილი ბევრი არაფერი იყო. გარდა იმისა, რომ ხელოვნების ნიმუშთა გრანდიოზული კოლექცია აქვს, მათ შორის პიკასოს, ლიჰტენშტეინისა და ჰენრი მურის ნამუშევრები; რომ ფული რუსეთის რკინის საბადოების წარმოებაში 1990-იან წლებში იშოვა; და მისი ქონება 5,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული (3.46 მილიარდი ევრო), რაც ქართული ეკონომიკის მთლიანი ღირებულების დაახლოებით ნახევარია.

თუმცა საიდუმლოების ნისლი ნელ-ნელა იფანტება. ოქტომბერში ივანიშვილი მოულოდნელად ყურადღების ცენტრში მოექცა, განაცხადა რა, რომ მომავალი წლის არჩევნებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიას დაამარცხებს.

„მე პოლიტიკაში ჩემი ქვეყნის გადასარჩენად მოვედი და არა სააკაშვილის გამოწვევისთვის“, — უთხრა მან **BBC**-ს ინტერვიუს დროს თავის მდიდრულ შტაბ-ბინაში თბილისში, როდესაც თავის მრავალმილიონიან კოლექციას გვათვალიერებინებდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:

„დღეს ბევრს ლაპრაკობენ იმის შესახებ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს თუ არა? უნდა იყოს, რადგან ის ქართველია!

მე ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, ვინც სულით და ხორცით ქართველია, საქართველოში დაიბადა ის თუ უცხოეთში, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი პრეზიდენტი გაითვალისწინებს ამას და მიანიჭებს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას“.

ბიძინა ივანიშვილი:

„ეს იყო ერთ-ერთი ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში. რამდენჯერმე ვარ შეხვედრილი უწმინდესთან. დღეს იყო საინტერესო შეხვედრა, მივიღე ბევრი რჩევა მისგან, რომლებსაც გავითვალისწინებ და რომლებიც დამეხმარება ჩემს მომავალ მოღვაწეობაში“.

ბაღათერ არაბული:

ბიძინა ივანიშვილმა ააშენა სამების ტაძარი. საქართველოს სწორედ ამ კულტურული ძეგლით შეაფასებენ და არა მტკვარზე გადაჭიმული ლოკოკინის მსგავსი ხიდით. ქართველი კაცისთვის მოქალაქეობა-არმოქალაქეობის მინიჭება ერთი კაცის ხუშტურებით არ უნდა ხდებოდეს. ის ვინც ქართულ საქმეს აკეთებს, ქართული ცნობიერების მატარებელია – უცხოეთში იქნება თუ აქ, იგი იმსახურებს საქართველოს მოქალაქეობას. სწორედ ეს ბრძანა პატრიარქმა. თუ საკაშვილი გონიერებას გამოიჩენს და შეცდომას გამოასწორებს, ამით საქართველოში ცხოვრების და მოღვაწეობის პერსპექტივას გაიხანგრძლივებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ივანიშვილს მოქალაქეობას არ მისცემენ, ჩავთვალოთ, რომ საქართველოში ძალიან ბევრს, სააკაშვილის, მინაშვილის, გილაურის და იმ ხალხის, ვინც პარლამენტში სხედან და კაცმა არ იცის მათი წარმოშობის შესახებ, მათი ბედიც გასარკვევი იქნება სამომავლოდ. მინაშვილის თუ მინასიანის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს იქნება თუ არა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა სვეტიცხოვლის ამშენებლის – არსაკიძისთვის მარჯვენის მოჭრის ტოლფასია.

გურამ ფირცხალავა:

„ქართული ოცნება“ – ყველაფერია თქმული ამ ორი სიტყვით. ორი სიტყვა, რომ ასე შეაერთა და მიუსადაგა, მაგას ვენაცვალე. მართლაც შესანიშნავი სლოგანია.

მსურს ის ოცნება აუსრულდეს ქვეყანას, რისი ოცნებაც დღევანდელმა მთავრობამ დაუკარგა. იმედი მაქვს ჩანაფიქრი აგვისრულდება.

პირველ რიგში, თავისუფლების წყურვილი გვაქვს ქართველებს. ეს იქნება სასამართლო, მედია საშუალება, თუ ადამიანის უფლებების დაცვისათვის სხვა აუცილებელი პირობა.

ქართველების ოცნებაა თავისუფალი საქართველო და ჩვენ ქვეყანაში ხალხს ერთმანეთი უყვარდეს.ამათ, აი ამ ხელისუფლებამ, ადამიანებს ერთმანეთი შეაძულა.

ხოლო „ქართული ოცნება“ ეს მხოლოდ ივანიშვილის ოცნება კი არა, სრულიად საქართველოს ოცნებაა და ზუსტად არის მიგნებული სიტყვები. ბატონი ბიძინას დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ოცნებას აგვისრულებს.



გურამ ოდიშარია:

ყველა ადამიანი ბედნიერებაზე და უკეთესზე ფიქრობს, თავისი ოჯახის კეთილდღეობას ნატრობს. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ძალიან ბევრი სამშობლოს ბედნიერ მომავალზე ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. სამშობლოს მივუსადაგებთ ჩვენ ამ ფრაზას-„ქართულ ოცნებას“ ამიტომ ჩემი გადასახედიდან და ჩემი სამრეკლოდან ვამბობ: ქართული ოცნებაა, საქართველოს შვილებმა მოძებნონ ერთი საყრდენი. თითოეულმა წარმოაჩინოს თავისი ძლიერება, ანუ რაც მას უკეთ გამოსდის: პოლიტიკური აზროვნება, ზნეობრივი სიმაღლე, მატერიალური რესურსი...ყველაფერი ერთად... რადგან ეს ერთობლიობა ხვალ და ზეგ მთელ საქართველოს წაგვადგება. უფრო მეტად ვისწავლოთ ერთმანეთში დიალოგი, ურთიერთგაგება გვქონდეს და თანაც, სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

გოჩა მსხილაძე:

თუ ვისაუბრებთ იმაზე, რისთვის მივიდა 18 ქვეყნის ელჩი ივანიშვილთან, ამას ძალიან მარტივად ვხსნი – ესაა უზარმაზარი ინტერესი ამ პერსონის მიმართ, მათ უნდოდათ გაეგოთ, თუ რა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას ივანიშვილი. მაგრამ ერთ საინტერესო დეტალზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, კერძოდ, რა დამართა პროპაგანდისტულმა მანქანამ ქართულ საზოგადოებას. ეს გახლავთ ცნებებით ჟანგლიორობა, რასაც პრო-დასავლურობა და პრო-რუსულობა ჰქვია. მიშას პროპაგანდისტულმა მანქანამ საზოგადოება ისეთ ვერბალურ ველში მოაქცია, რომ მხოლოდ ურთიეთგამომრიცხავი კატეგორიებით ვსაუბრობთ – პოლიტიკოსი უნდა იყოს ან პრო-რუსული ან პრო-დასავლური. ამავე დროს, ნათელია, რომ პრო-რუსულობა მოღალატეობაა, პრო-დასავლურობა – პატრიოტიზმი. ასეთი აზროვნების დროს ძალიან მარტივია ცნობიერების მანიპულირება, რადგან იარლიყის მიწებებაა ადვილი და მტრის ხატის შექმნა. არადა, საზოგადოებას ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული და გააზრებული, რას ნიშნავს ცალკე პრო-რუსულობა და პრო-დასავლურობა – ეს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

tele NEWS



თეა წულუკიანი: ჩვენ არასოდეს ვუცხადებთ უნდობლობას სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ ჩატარებულ კვლეევებს, მით უფრო, თუ ამ ინსტიტუტებს თავიანთი არსებობის მანძილზე არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ სერიოზული ინსტიტუტები არიან. IRI-ის კველვა გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე აქამდე ჩატარებულა. და რაც მთავარია, იგი ჩატარდა ორი-სამი კვირის შემდეგ, რაც ოპოზიციურ სპექტრში მეტეორივით შემოიჭრა ბიძინა ივანიშვილი. სწორედ ახალი პოლუსის დაბადებას ასახავს ეს კველევები, და ცალსახად უჩვენებს, რომ ბიძნა ივანიშვილის პოლიტიკური ბლოკი, ამ ადამიანის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური პერსონაჟები თუ პარტიები არის ის რეალური ალტერნატივა, რომელიც შეცვლის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას. ეს არის ჩემთვის

მნიშვნელოვანი. რაც შეეხება სანდოობას, სადაც პირველი ადგილი უჭირავს გიორგი თარგამაძეს, ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია გარდა იმისა, რომ ზოგერთ ოპოზიციურ პარტიას ჰყავს ისეთი მოკავშირე, როგორიცაა ბიძინა ივანიშვილი, ზოგიერთს - მიხეილ სააკაშვილი. კვლევაში შემოტანილია ცნება ბლოკი ივანიშვილისა და მის პარტნიორ პარტიებთან მიმართებაში და ეს ბლოკი არის მეორე ადგილზე, მესამეზე - ქრისტიან-დემოკრატები. ჩემის აზრით ეს დადებით ტენდენციას ასახავს, რადაგან ჩვენ პირველი დღიდანვე ვამბობდით, რომ მომავალი პარლამენტი უნდა იყოს მრავალპარტიული; იქ გამოკვეთილი უნდა იყოს ორი ძლიერი ძალა, ერთი უმრავლესობით და მეორე ოპოზიციური, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი და უნდა არსებობდნენ სხვა პოლიტიკური ძალებიც. არ უნდა არსებობდეს ერთპარტიული პარლამენტი და არც ერთმანეთთან დაპირისპირებიული, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ორი პარტია. მრავალპარტიული პარლამენტი ჩვენი ქვეყნისთვის არის ოპტიმალური ვარიანტი და ამ მხრივ, ამ მაჩვენებლებს ოპტიმიზმით ვუყურებ. აუცილებელია ქრისტიან-დემოკრატების ან სხვა პარტიის სახით პარლამენტში იყოს წარმოდგენილი მესამე ოპოზიციური ძალა, რომელიც დააბალანსებს ორ ძლიერ მოცემულობას საკანონმდებლო ორგამოში.

რაც შეეხება მეორე კვლევას, რომელიც იაგო კაჭკაჭიშვილმა ჩაატარა, ჩუმი პროცესი უკვე მიმდინარეობს და აუცილებლად მოხდება ნაციონალების ელექტორატის მეორე ბანაკში გადასვლა, როცა ისინი მივლენ საარჩევნო ურნასთან. ძირითადად ესენი არიან საჯარო მოხელეები და მოლოდინი არ მაქვს, რომ კვლევების დროს გულახდილად დააფიქსირებენ თავიანთ აზრს; მაგრამ ურნასთან რომ მივლენ, დარწმუნებული ვარ, ის საშუალო რგოლი საჯარო მოხელეებისა, რომელიც ჩვენი სამშობლოსთვის რეალურად საქმეს აკეთებს, აუცილებლად სწორ არჩევანს გააკეთებს განვითარებისთვის და არა რეგრესისთვის ან სტაგნაციისთვის. ისინი არჩევანს გააკეთებენ იმ ძალების სასარგებლოდ, სადაც დგანან ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ალასანია.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენსკენ წამოვიყვანთ რეგიონის მოსახლეობას. სამეგრელო ერთერთი თვალსაჩინო მაგალითია შიშის ფაქტორის კუთხით. არც ერთი რეგიონი ისეთი დაშინებული არ არის, როგორც სამეგრელო, რადგან იქ თავი მოიყარა ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა კლანმა, რომელიც ერთმანეთთან დაპირისპირებულია. და ჩემის აზრით, სამეგრელო არის ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაცია იმისა, თუ როგორი კლანური, მაფიოზური მმართველობაა საქართველოში. იქ ერთი ნაციონალური კლანი დაბალანსებულია მეორე კლანით, რომელთაც თავის მხრივ აკონტროლებს პრეზიდენტთან ან რომელიმე მაღალჩინოსანთან დაახლოებული პირი ან ოჯახის წევრი. ამიტომ იქ კიდევ უფრო ნაკლებად მოველი ამომრჩევლის გულწრფელობას კვლევისას; და ურნასთან მისვლის დროსაც შიშის ფაქტორი იქნება ძალიან დიდი. ჩვენ ვაპირებთ ამ პროცესების შეცვლას. არსებობს თანამედროვე პოლიტიკური იარაღი, მოსახლეობასთან ჩასვლა და პირისპირ შეხვედრა; მაგრამ როდესაც მხოლოდ ეს იარაღი გაქვს, ეს მიუთითებს რომ მოცემული ქვეყნის პოლიტიკაში არის სერიოზული პრობლემები. ჩვენ მეორე იარაღიმედიის თავისუფლება არ გვაქვს ჯერ-ჯერობით ხელთ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ესეც გამოსწორდება. როდესაც ეს კვლევები ჩატარდა, მაშინ მაესტრო მაუწყებლობდა, მაგრამ კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობა ძირითადად მაინც ინფორმირდება სამი ნაციონალური არხით. ქვემო ქართლის მოსახლეობის 44% აცხადებს, რომ მას არასოდეს არ სმენია ირაკლი ალასანიას სახელიც კი. და ამას არ გამოვრიცხავ. მოსახლეობა, რომელიც უყურებს მხოლოდ სამ ნაციონალურ არხს, რომელიც არის აბსოლუტურად დაუბალანსებელი, არის პროპაგანდისტული იარაღი ნაციონალების ხელში, ვერ იღებს ობიექტურ ინფორმაციას. არ არის რეალობის საქმის კურსში. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ეს პირდაპირ არის მითითებული ვენეციის კომისიის დასკვანაში, რომ უნდა შედგეს თავისუფალი მედიაგარემო, რათა მომავალი არჩევნები ჩატარდეს კონკურენტუნარიან გარემოში და ჩაითვალოს ლეგიტიმურად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ერთი პოლიტიკური ძალა, თუ გამოვიყენებ ჩემს პოლიტიკურ რუპორად იმედსა და რუსთავი2-ს, რეგიონში, რათქმა უნდა, მოსახლეობას არ ეცოდინება, რომ ქვეყანაში არსებობს ოპოზიციური ძალა. დღეს მედია-იარაღი კიდევ უფრო შეგვიმცირდა მაესტროს პრობლემების გამო. ჩვენ ელჩებთან შერხვედრისას აღვნიშნეთ ეს საკითხი და ვთქვით, რომ არ გვინდა ოპოზიციური იმედი და რუსთავი2, არამედ გვინდა თავისუფალი მედია, როგორც მაესტრო, სადაც დაბალანსებული სიუჟეტები და რეპორტაჟებია წარმოდგენილი. ანუ როდესაც ქვემო ქართლის მოსახლეობას ეცოდინება, ვინ არის მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ალასანია და ამის შემდგომ გააკეთებენ თავიანთ ინფორმირებულ არჩევანს.

რაც შეეხება პიარ-კამპანიას, ჩვენ დღეს ვართ ურთულეს მდგომარეობაში, მაგრამ ვეძებთ ალტერნატიულ გამოსავალ გზებს ამ მდგომარეობიდან. ის რომ, ვთქვათ, ეროსი კიწმარიშვილი აღმოჩნდებოდა იარაღი სააკაშვილის ხელში, ამას ჩვენ წინასწარ ვერ გავთვლიდით, მაგრამ რეალობის წინაშე დავდექით და არც ჩვენ გვახასიათებს შოკიდან გვიან გამოსვლა. მუშავდება ალტერნატიული გზების მოკვლევის და მედიის ფეხზე დაყენების ზუსტი გეგმა, იქნება ეს ბეჭდური თუ ციფრული მედია, ინტერნეტსივრცე. ნურავის შეექმნება ილუზია, რომ რაც უფრო ჩაკეტავენ სივრცეს, ალტერნატიული აზრი გზას ვერ იპოვის. ოპოზიციური აზრი როგორც დაგუბებული წყალი, მაინც იპოვის თავის გზას და მივა ამომრჩევლამდე.

ნაციონალურმა მოძრაობამ ერთ მშვენიერ დილას მაგიდაზე დადო საარჩევნო კოდექსი და განაცხადა, რომ მუშაობა დაამთავრა მასზე. მათ იმედი ჰქონდათ, რომ წარადგენდნენ რა კოდექსს ვენეციის კომისიის წიანაშე, ვენეციის კომისია ხოტბას შეასხამდა ამ პროექტს. ნაციონალური მოძარაობის წარმომადგენლებმა, მაგალითდ კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ვენეციის კომისია სრულიად იზიარებდა ამ კოდექს. რაც სიცრუეა. ვენეციის კომისიის კრიტიკულ დასკვანაში ძალიან ბევრი მოსაზრებაა ისეთი გამოთქმული, რასაც ჩვენ ვუყენებდით ნაციონალურ მოძრაობას. კომიისა წერს, რომ თუკი ხელისუფლების პოლიტიკური ნება იქნება, ამ კოდექსმა შეიძლება ივარგოს და არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკური ნება ამისთვის არ არსებობს. ამიტომ საჭიროა ეს კოდექსი დაკონკრეტდეს დებულებებში, რათა არაკეთილსინდისიერ ძალას, რომელიც ბრძანდება ხელისუფლებაში, არ მიეცეს ამ კოდექსის პოლიტიკური პროცესის საზიანოდ გამოყენება.

ბიძინა ივანიშვილი არის მთლიანად მოტივირებული, რომ სწორი გზით წაიყვანოს ქვეყანა არჩევნებამდე, ექსესების გარეშე, მაგრამ თუ არჩევნები არ ჩატარდა კონკურენტუნარიან გარემოში, მერე თავის სიტყვას იტყვის ხალხი. და გაბრაზებული ხალხი გაცილებით საშიში მოცემულობაა, ვიდრე ის ოპოზიცია, რომელიც ცდილობს, მგლის თავზე იკითხოს სახარება. ჩვენ კიდევ გვაქვს მოლოდინი, რომ ეს ჩვენი ქადაგებები შესმენილი იქნება.

გიორგი მარგველაშვილი: თავისთავად კვლევა და მისი მეთოდოლოგია ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა მეთოდოლოგიის პარალელურად არის ის, თუ რამდენად სუფთადაა ჩატარებული ესეთი კვლევა. როდესაც სოციოლოგები დასკვნებს დებენ, ზოგადად ეს დასკვნები სანდოა. შესაბამისად კვლევა ხშირად გამოხატავს ხალხის აზრს. მაგრამ საქართველოს შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა რამდენად სუფთადაა ეს კვლევა ჩატარებული, არამედ ის, თუ რამდენად ითვალისწინებდა მკვლევარი რა ვითარებაში ატარებდა კვლევას. მაგალითისთვის ავიღოთ ზღვის დონე, რომლის მიხედვითაც იზომება სხვა სიმაღლეები. როდესაც არის მოქცევა, ან ცუნამი, და ზღვის დონემ აიწია ორი მეტრით, იმ წუთში რომ ზღვის დონე გაზომო, ხომ სხვა ნიშნულს მიიღებ?! თუ მკვლელავრი ამბობს, მე ვიცი,რომ ეს საზოგადოება არის სერიოზული გავლენის ქვეშ და რესპონდენტი ვერ გპასუხობს გულწრფელად, მაშინ იგი უნდა ამბობდეს, რომ მე ვატარებ კვლევას არა ჩვეულებრივ ამინდში, არამედ ზღვის მოქცევის მომენტში, შესაბამისად უნდა ვიგულისხმო მინუს ორი მეტრი; ანუ სოციოლოგებმაც უნდა ჩადონ დასკვნებში, რამდენად დააკორექტირეს თავიანთი შედეგები იქედან გამომდინარე, რომ ეს არ არის თავისუფალი საზოგადოება. რომ აქ ადამიანი, რომელიც პასუხობს კითხვას, ვერ იძლევა პირდაპირ პასუხს. ეს ერთი მომენტი. არსებობს მეორე მომენტი, რამდენად ჩადეს მათ გვერდითი მექანიზმები, როგორ გამოიცნობენ ისინი ჩემს ჭეშმარიტ მოტივაციას. სოციოლო-

გიურ კველვაში არა, მაგრამ ფსიქოლოგიურ ტესტირებაში არსებობს ესეთი მეთოდი, გეკითხებიან, თქვენ იტყუებით საერთოდ თუ არა. თუ რესპონდენტი პასუხობს, მე არ ვიტყუები, კვლევის შედეგები თავიდანვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ უთქვამს ტყუილი.

და საერთოდ რისთვის იყო საქართველოში გამოყენებული კვლევები? რისთვის ატარებდნენ სოციოლოგიურ კვლევებს. ერთი მომენტია ის, რომ კვლევა შენ გჭირდება არა რეალურად პროცესების დაგეგმვისთვის, არამედ აბსოლუტურად გვერდითი მოვლენებისთვის: რომ შენი გუნდი შეკრა და უთხრა, რომ ძან მაგარი ვარ. არა ვარ ავად, აი სიცხე გავიზომე და 36,6 მაქვს და აჩვენო თერმომეტრი. და მეორე, არჩევნების დროს ხსირად ეს იყო ლეგიტიმაციის საფუძველი. ანუ ხელისუფლება ამბობს, ჩვენ კი არ გავაყალბეთ არჩევნები, საარჩევნო ყუთებში კი არ შევცვალეთ, არამედ აი, კვლევებიც იგივეს ასაბუთებს. ამ კონტექსტში დღეს ჩატარებულ კვლევას, შეიძლება ჰქონდეს აზრი მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობაში მერყევი ელემენტების შესანარჩუნებლად; ნაციონალური მოძრაობაში, ჩემის წარმოდგენით, 99% მერყევი ქიმიური ელემენტებია, იმიტომ რომ ისინი ძალაუფლების ირგვლივ ერთიანდებიან.

ანუ ჩატარებული კვლევა არის მხოლოდ გვერდითი მოხმარებისთვის, ეს არის პოლიტიკური მესიჯი, რომ ჩვენ, ნაციონალური მოძრაობა ვარსებობთ როგორც უცვლელი ცენტრი, კარგად გვაქვს საქმე და ჩემო გუნდის წევრებო, ნუ გეშიანიათ. და რომ ოპოზიციური სპექტრი დაყოფილია ორ ნაწილად. ეს არის ფაქტიურად ბიძინა ივანიშვილის მესიჯის გადაფარვა, როცა ის ამბობს, რომ საშუალო არ უნდა არსებობდეს, შუა უნდა გაიყიდოს და როდესაც ის ცდილობს ორი დიდი გრავიტაციული ველის ჩამოყალიბებას. ეს არის ჩვენება იმისა, რომ ვარსებობთ ჩვენ, როგორც სტაბილური ძალა და არსებობს ორი პოლიტიკური ალტერნატივა. ამისი თქმის მცდელობაა აქ. თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს კვლევა კონტექსტიდან ამოვარდნილია, ისევე როგორც ის ქმედებები რაც ხელისფლებამ განახორციელა ივანიშვილის მიმართ, როგორც კი ის გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე. ეს იყო მოძველებული მეთოდები. ამ კვლევასაც იმიტომ ატარებენ, რომ უნდათ რაღაცის ლეგიტიმაცია მოახდინონ, რაღაც გააფორმონ. არვითარ კონტექსტში არ არის პოლიტიკურ რეალობასთან ის, რომ ბიძინა ივანიშვილი და გიორგი ტარგამაძე ერთიდა იგივე რეიტინგით არ საეგებლობენ... ჯერ საინტერესოა, რის მიმართ აცხადებენ ნდობას, როგორც კარგ მზარეულს ვენდობი თუ როგორც ხელოვანს?! გიორგი თარგამაძეს როგორც კარგ დიქტორს ვენდობი ნამდვილად, ბევრად უფრო კარგად ლაპარაკობს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი.

ახლა რაც შეეხება ლობისტურ ჯგუფებს. ლობიზმი საერთოდ ძალიან საინტერსო თემაა და საინტერესოდ ასახავს ამერიკულ დემოკრატიას. ეს არის ფორმალურად დაშვებული პროცესი, როდესაც შენ აძლევს ფულს რომელიმე კომპანიას და იგი ინდივიდუალურ პიროვნულ ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიმღებებზე, რათა მათ შენს სასარგებლო პოლიტიკაში გაგიმართონ ხელი ანუ ლობისტი იღებს ვალდებულებას, რომ შენი თემა „გაქაჩოს“. ის რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს ლობისტური კომპანიები, ეს არის აბსოლუტურად ბუნებრივი, რადგან საქართველოს ინტერესების წარმოდგენა ამერიკასა თუ ევროპაში, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის რასაც ეს კომპანიები რეალურად აკეთებენ, რაზეც იხარჯება ჩვენი ფული, არის არა საქართველოს ინტერესების წამოწევა, არამედ ლაპარაკი არის პირადად სააკაშვილზე. ერთია, რომ შენ ჩემს ფულს იხდი, რომ საქართველოს იმიჯი იყოს უკეთესი ევროპასა თუ ამერიკაში, და მეორე არის ის, რომ შენ ჩემს ფულს იხდი, რათა სააკაშვილი იქნეს წარმოჩენილი. თუმცა რეალურად სააკაშვილმა გააიგივა თავისი თავი სახელმწიფოსთან, და სამწუხაროდ ჩვენ ამ პროცესში ვმონაწილეობდით.

რაც შეეხება ამერიკელ ჟურნალისტებს, (ლობისტებს) ის რომ ადამიანი ლაპარაკობს ინგლისურად, ეს არ ნიშნავს რომ ეს ადამიანი არის ჯეფერსონი. ის რომ ადამიანი ლაპარაკობს ღირებულებაზე, არ ნიშნავს რომ იმ ადამიანს თუ საზოგადოების წარმომადგენელს მართლა უფლება აქვს გელაპარაკოს თავისუფლებაზე, ღირსებასა თუ თემისა და პიროვნების დაპირისპირებაზე. იმის გამო, რომ ვიღაც ამერიკელი ჟურნალისტია, რატომღაც ავტომატურად მივარტყამთ იარლიყს, რომ ის არის სტანდარტების დამცველი. სინამდვილეში კი ეს ესე არ არის.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

prezidenti yovelDriurad SiSs Tesavs qarTvelebSi, mas Cveni siyvaruli ar sWirdeba

„საერთო გაზეთის“ სტუმარია კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი.**

— ბატონო პაატა, თქვენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ თავმჯდომარე ბრძანდებით, ბევრს მოგზაურობთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, გაქვთ შეხვედრები დევნილებთან და არა მარტო დევნილებთან, როგორ ამჩნევთ, ხომ არ დაეუფლა საზოგადოებას გარკვეული ნიჰილიზმი ახალი პოლიტიკური, ჯერარშექმნილი მოძრაობის „ქართული ოცნების“ მიმართ, იმის გათვალიწინებით, რომ მოძრაობის ჩამოყალიბების იდეას ბევრი წინააღმდეგობა ხვდება ხელისუფლების მხრიდან?

— „ქართული ოცნება“ მოსახლეობას თავს 11 დეკემბერს გააცნობს., ნიჰილიზმს არა, პირიქით, გადამეტებულ მოლოდინს ვამჩნევ. ყველას გასაგონად მინდა განვაცხადო, რომ სააკაშვილმა ისეთ ჩიხში შეიყვანა ქვეყანა, საიდანაც გამოსვლა იოლი არ იქნება, პროცესები აუცილებლად უნდა დაიწყოს, მაგრამ არჩევნებიდან ერთ დღეში ჯადოსნური ჯოხის მოქნევით შედეგები არ იქნება. როცა სააკაშვილს მართვის ბერკეტები, არჩევნების გზით, ხელიდან გამოეცლება, პირველ რიგში, ხალხში შიშის სინდრომი გაქრება. ადამიანები მიხვდებიან, რომ აღარ უსმენენ ტელეფონებზე, სამსახურებში, სახლის კედლებში. იმ სტრუქტურებს, ვინც დღეს აგენტურულ საქმიანობას ახორციელებს, აღარც შეკვეთა ექნებათ, აღარც მოთხოვნა. მოსამართლეს არ დაევალება ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას გაუწიოს ანგარიში გადაწყვეტილების მიღების დროს. დღეს ნაძირალა და გარეწარი პროკურორ-მოსამართლეები ნორმალურ, კანონიერ მართლმსაჯულებას არ ახორციელებენ, ისინი ყველა ღონეს მიმართავენ იმისათვის, რომ ბიუჯეტის შესავსები ფული კანონდამრღვევი მოქალაქეების ჯიბით შეავსონ. პატიმართა დაკითხვის მეთოდებზე კი ბევრი დაიწერა და აღარ გავაგრძელებ. ახალი მმართველობის პირობებში სასამართლო რეფორმა 7-8 თვეში მოგვცემს შედეგს, აი, სასწავლო და საპენსიო რეფორმას დასჭირდება დრო, 7-8 წელი მაინც. როგორც კი ჩვენი პრეზიდენტი კონფლიქტების მართვას ჩამოსცილდება, მაშინვე დაიძვრება ადგილიდან გაყინული ურთიერთობები ოსებთან, აფხაზებთან, მათ შეეძლებათ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება, აღარ გვექნება ერთმანეთის ლანძღვა-გინების საფუძველი. ამ ურთიერთობების მოსაგვარებლად სულაც არ დაგვჭირდება რუსებთან ლაპარაკი, ჩვენ თვითონ შევუთანხმდებით ოსებს და აფხაზებს, მივცემთ მათ უსაფრთხოების გარანტიებს, ვიზრუნებთ მათ განვითარებაზე, მათ ღირსებაზე. ეს ყველაფერი კი საზოგადოებრივ განწყობას შეცვლის.

— ჩვენი ხელისუფლების პროპაგანდა მუდმივად იქთკენ არის მიმართული დაარწმუნოს მოსახლეობა იმაში, რომ ჩვენი მუდმივი მტერი რუსეთია, ის, რაც მთავრობას არ მოსწონს პრორუსულია. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება საზოგადოებრივი შეკვეთაა.

— ეს გამუდმებული პროპაგანდა არის ხელისუფლების მიერ გამოვლენილი უსუსურობა, უუნარობა და ვოლუნტარიზმი. როცა ქვეყნის შიგნით სიტუაციის მართვა არ შეუძლიათ, ქვეყნის გარეთ ეძებენ მიზეზებს. ქმნიან ილუზიას, თითქოს რაღაცას აკეთებენ, მაგრამ რუსეთი აგზავნის ქვეყანაში აგენტებს და გარედან უშლის ხელს ქართული სახელმწიფოს შენებას. ვინც ამ ტექსტს არ იჯერებს, რუსეთის აგენტია. ძალზე პრიმიტიული, ზედაპირული მიდგომაა. პირადად მე, ჩემს გარშემო პრაქტიკულად არავინ მეგულება, ვინც დაიჯერებს, რომ ვინმე გოგიაშვილი ახალგორში ტერორისტულ აქტებს ახორციელებდა. ამ დადგმულ სპექტაკლზე თვითონვე თქვეს უარი და „ტერორისტი“ გაათავისუფლეს. რაც შეეხება საზოგადოების დაკვეთას. დააკვირდით, აბა, როდის ასრულებდა სააკაშვილი ამ დაკვეთას? მოვიყვანოთ ფაქტები. ქალაქის მერების არჩევა იყო და მარტო თბილისში დატოვა არჩევითი წესი, ყველა სხვა ქალაქში გააუქმა. უწმინდესის მოსკოვში ვიზიტის დღეებში, რეიგანის ძეგლის გახსნის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ რუსეთის საპატრიარქო კრემლის აგენტურაა. რა, ახლა შეიტყო ეს ამბავი? ამ დროს საზოგადოება გაფაციცებული თვალს ადევნებდა ილია მეორის შეხვედრებს. საზოგადოების დაკვეთა იყო აღმაშენებლის ძეგლის გადატანა? საქართველოს პრეზიდენტი თავის ხალხს სულში აფურთხებს და ეუბნება: თქვენ უბირი მასა ხართ, რასაც მინდა იმას გავაკეთებ! გინდათ რუსეთთან კარგი ურთიერთობები? მიიღებთ უარესს. სააკაშვილის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი საქციელი საკუთარი ერის მიმართ ჩვენს ციხეებში პატიმრების მდგომარეობას შეიძლება შევადარო. კანონში წერია თუ არ წერია, დაიმსახურა თუ არა, პატიმრებს ყოვედღიური ცემა-ტყეპა გამოწერილი აქვთ. მიზანი — ადვილად სამართავი რომ გახდეს ადამიანი. პრეზიდენტი ყოველდღიურად შიშს თესავს ქართველებში, მას ჩვენი სიყვარული არ სჭირდება.

— ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ შოკში ჩააგდო ჩვენი მთავრობა, ყველა ცნობილმა და გამოჩენილმა პოლიტიკოსმა მეტნაკლები კორექტულობით გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება ახალი პოლიტიკური მოთამაშის მიმართ. რატომ დუმს ბატონი მიხეილ სააკაშვილი?

— მთავრობა ჯერ შოკში ჩავარდა, მაგრამ მერე დაფაცურდა, გამოაქვეყნეს ათპუნქტიანი, მე მას დავარქმევ, „ლოზუნგი“ და გაათმაგებულად ცდილობენ ისევ მოატყუონ ხალხი, რომ ღამე არ სძინავთ ხალხზე ფიქრით დამაშვრალთ. სააკაშვილმა ან კარგი უნდა თქვას (რაც გამორიცხულია), ან დამაჯერებლად ცუდი ბატონ ბიძინაზე. შეშინებული, დამცირებული პრეზიდენტი დღედაღამ იმაზე ფიქრობს, რითი გამოიყვანოს წყობიდან ივანიშვილი და მასზე უპირატესობა მოიპოვოს. პირველივე საჯარო გამოსვლის დროს ბატონმა ბიძინამ თქვა: „მე მოვედი არა ვინმეს დასამარცხებლად, არამედ გასამარჯვებლად“. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ დღევანდელი პოლიტიკოსები სააკაშვილთან ერთად ერთი და იგივე ტექსტით მიმართავენ ხალხს. ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერიდან კი ივანიშვილისგან სრულიად უცხო, გამაოგნებელი, არაագრესიული, მაგრამ მტკიცე საუბარი ესმოდათ საქართველოს მოქალაქეებს. მისმა გამოსვლამ მსმენელი განაიარაღა, ელოდნენ, რომ ივანიშვილი სააკაშვილის მოქნეულ ხმალს, ხმალსვე შეაგებებდა, მაგრამ ის ხმალი ჰაერში ტრიალებს უმისამართოდ.. რასაც პრეზიდენტი ლაპარაკობს არასოდეს სიმართლეს არ შეეფერება. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ის, რომ გაიმარჯვა რუსეთზე? მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაერთიანებით ჩვენ წარმატებას მივაღწიეთ? ის, რომ ნატოში შევდივართ? პირველად საქართველოს ისტორიაში, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაზე გაზის მორიგი კომპრესორის ქარხნის გახსნაზე თურქეთში

თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ერდოღანმა და ალიევმა სააკაშვილი არ მიიპატიჟეს. 2008 წლის შემდეგ სააკაშვილს არ ჰქონია არც ერთი ოფიციალური მიწვევა საზღვარგარეთ ისეთ მეგობრულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ბალტიისპირეთი, პოლონეთი. მხოლოდ 2009 წელს სომხეთსა და აზერბაიჯანში გახლდათ. სხვაგან ჩადის კონფერენციაზე, დაკრძალვაზე, ინაოგურაციაზე, სადაც განურჩევლად ყველას ეპატიჟებიან. რუსეთის საპატრიარქო, ჩემი აზრით, ნამდვილად არის სახელმწიფოს დანამატი, ნაწილი, კგბ-ეს პოლიტიკის გაგრძელება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეკლესია ჩვენთან დამოუკიდებელი ერთეულია, ამიტომ უწმინდესის გადასაწყვეტი იყო წასვლა-არწასვლა, მან განაცხადა, რომ მის ვიზიტს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება. დარწმუნებული ვარ, მან ცდა არ დააკლო, შესაძლოა, თავიც დაიმცირა, როგორც ქრისტიანმა ქვეყნის სასარგებლო საქმის გასაკეთებლად, რამდენად გამოუვიდა სხვა საკითხია. მაგრამ სააკაშვილს, არათუ გაკეთებული საქმე, უშედეგო ვიზიტებიც კი აღიზიანებს. მისთვის აუტანელია სხვისი ავტორიტეტი, მათ შორის, პატრიარქის მიმართ ხალხის სიყვარული და სიმპათია.

— რას ურჩევდით ბატონ სააკაშვილს, როგორ ჩაეწეროს ისტორიაში?

— სააკაშვილი უკვე ჩაწერა საქართველოს ისტორიაში, როგორც შიდა ქართლის დამთმობი. საუკუნეების მანძილზე ქსნის ხეობა მტრისთვის არ დაუთმიათ ერისთავებს, მეფეებსაც არ ეპუებოდნენ, სისხლის ბოლო წვეთამდე იცავდნენ. აი, ეს გაუგონარი აქცია ჩაიდინა საკაშვილმა 21-ე საუკუნეში. გავა დრო და ისტორიკოსები დაწერენ, რომ ქსნის ხეობაში ჩვენ გვქონდა პრობლემები სააკაშვილის უგუნური პოლიტიკის გამო. ოდესმე ჩვენ შევძლებთ ამ ტერიტორიების დაბრუნებას. ოსების და აფხაზების რესურსებით შეუძლებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, ზურგს უკან მათ ძლიერი მტერი ჰყავთ — რუსეთი, რომელიც ამის საშუალებას არ მისცემს. ჩვენ კი დღეს რუსებზე საშინელი მტერი ვართ მათთვის. მხოლოდ მას შემდეგ გაუქარწყლდებათ ოსებს და აფხაზებს ეს აზრი, როცა ქართველები დავარწმუნებთ მათ, რომ ვაღიარებთ შეცდომებს, გვესმის მათი ტკივილი, შევთავაზებთ, რომ დავსხდეთ და ერთად გამოვასწოროთ დამოკიდებულება, ისინი ყოველთვის მოდიოდნენ ამაზე და მომავალშიც მოინდომებენ ჩვენთან შეხვედრას. ბიძინა ივანიშვილმა ეჭვქვეშ დააყენა ამ ომის გარდუვალობა, მოუწოდა, რომ ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა გადაინაწილოს; მას მიაჩნია, რომ რუსეთის მისამართით ყოველდღიური ლანძღვა-გინება არ არის საჭირო, არამედ უნდა შევეცადოთ მინიმუმამდე დავიყვანოთ დაპირისპირება. ჩვენი ავანტიურისტული და ვოლუნტარისტული პოლიტიკა ეფექტურად გამოიყენა რუსეთმა და ჩაგვითრია ომში. დღეიდან ხვალინდელზე უნდა ვიფიქროთ, ქართულ-ოსურ-აფხაზურ ურთიერთობებს სხვანაირი მიდგომები სჭირდება. ახლებური პოლიტიკით ჩვენ ჯერ ხალხს დავიბრუნებთ, ტერიტორიები კი იმავე ხალხს მოაქვს და მიაქვს.

ნათია გოგიტიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

11 dekembridan yovelDriuri proza iwyeba, magram ise, rom poeziac ar iqneba daviwyebuli

გვესაუბრება ფილოსოფოსი
ზაზა შათირიშვილი:

— ზაზა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლიდან თითქმის ორი თვე გავიდა. როგორია ამ ეტაპზე ძალთა ბალანსი, როგორ შეაფასებთ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას?

— ორი თვის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის ხელისუფლების ქცევა. მიუხედავად იმისა, რაც „ქართუ ბანკის“ მიმართ განახორციელეს, საქმე ისე „წარმატებულად“ არ მისდით, როგორც ეს ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში მოახერხეს. აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა, თავად ბიძინასა და ბადრის შორისაც დიდი განსხვავებაა. რაც შეეხება ხალხის დამოკიდებულებას, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბიძინა ივანიშვილი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს ცხადჰყო ახლახან საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთით ჩატარებულმა კვლევებმა. ძალიან საინტერესო შედეგი დაიდო, წარმოიდგინეთ, ჯერ პარტია არ არსებობს და შეკითხვაზე — ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, ვის მისცემდით ხმას — 36 პროცენტს „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო 32 პროცენტს ბიძინა ივანიშვილის პარტია იღებს, რომელიც არ არსებობს. ასევე, პრემიერ-მინისტრად მოსახლეობის 26 პროცენტი ივანიშვილს ასახელებს, ხოლო 24 პროცენტი — სააკაშვილს. ეს ძალიან სერიოზული შედეგია. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ გამოკითხულთა 60 პროცენტი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში, პოზიტიურ ცვლილებებს ელოდება. ეს 60 პროცენტი ფაქტობრივად, ივანიშვილის მხარდამჭერია — 32 პროცენტი მყარია, დანარჩენ 26 პროცენტზე კიდევ საჭიროა მუშაობა, ეს არის პასიური, ნიჰილისტურად განწყობილი ელექტორატი, რომელმაც უკვე დაიჯერა ცვლილებების რეალურობა.

— რა შეცვალა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკურ ურთიერთობებში და რამდენად დაანგრია მან პოლიტიკოსების ჩვეული „შაბლონი“?

— კი, რა თქმა უნდა შეცვალა, მას აქვს განსხვავებული თავისი ლექსიკა, მეტყველება, არ ერიდება პირდაპირ შეფასებებს და რაც მნიშვნელოვანია, ამავდროულად, კორექტულია. იგი კულტურული, ზრდილობიანი, თან პირდაპირი ადამიანია. ხელისუფლების, პრეზიდენტის მეტყველებისა და ქცევის ფონზე საოცარი კონტრასტია. პრეზიდენტს აბსოლუტურად საპირისპირო მახასიათებლები აქვს. გეთანხმებით, რომ ბიძინა ივანიშვილი სრულიად განსხვავებული, ახალი სახეა ქართულ პოლიტიკაში. მნიშვნელოვანია, რომ მას უნიკალური ბიოგრაფია აქვს. თავისი ბიოგრაფიით იგი პოლიტიკოსი არ არის, რაც დღევანდელი საქართველოსთვის და ქართველებისთვის მხოლოდ და მხოლოდ პლიუსია იმიტომ, რომ პოლიტიკა ჩვენთან ტოტალურ პიართან ტყუილთან და პრინციპების არქონასთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, გაჩნდა იმედები. გამსახურდიასა და სააკაშვილთან თავის დროზე გაჩენილ იმედებს რომ შევადაროთ, პრინციპული განსხვავებებია. ივანიშვილს პოზიტიური ბიოგრაფია აქვს, მდიდარი, წარმატებული ადამიანია, რაც ყველაზე საინტერესოა. ხელისუფლება ამბობდა, ყველაფერი იყიდება სინდისის გარდაო. მოვიდა ადამიანი, რომელიც არასდროს გაყიდის საქართველოს და ამ დროს ალაპარაკდნენ, რომ საქართველო არ იყიდებაო. მათი აღარავის სჯერა, სწორედ ამიტომაც, თავიდანვე უნდა ეთქვათ — საქართველო არ იყიდებაო. დღეს, მოვიდა წარმატებული ადამიანი, რომელიც „ფორბსში“ 128-ე ადგილზეა, რომელიც ხელისუფლებაზე ბევრად წარმატებულია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მიერ დანერგილმა კლიშემ მათ წინააღმდეგ იმუშავა. შეიძლება ითქვას, რომ რაღაც კუთხით ეს ისტორიის ირონიაა.

— თავის სატელევიზიო ინტერვიუში „მაესტროსთან“ ბიძინა ივანიშვილმა თქვა — პოლიტიკოსი რომელიც სწორ გზებს ხედავს და სწორად იცის, რა სჭირდება საზოგადოებას — ნიჭიერია. მახსოვს ჩემთან წინა ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილს მორალური პოლიტიკოსი უწოდეთ. მაგრამ რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამ ინტერვიუმ, როგორი პოლიტიკოსია თავად?

— ჩემი ხედვიდან გამომდინარე, მორალურ პოლიტიკოსს ვუწოდებ ადამიანს, რომელსაც მის ქცევაში სინდისის ქენჯნის ფაქტორი შემოაქვს. მაგალითად, განდს ჰქონდა სინდისის ქენჯნის მტკივნეული განცდა, მას მუდმივად ჰქონდა განცდა, რომ არ იყო სათანადო სიმაღლეზე, ღალატობდა იმ იდეალებს, რასაც ინდურმა კულტურამ დღემდე უერთგულა, ანუ მაღალ სულიერებას. ამის საპირისპიროდ, სტალინი ნამდვილად არ იყო მორალური პოლიტიკოსი, ასევე ნაპოლეონი, რომელიც უფრო ბედისწერის პოლიტიკოსი იყო. რაც შეეხება სტალინს, იგი პირველი ტექნოკრატი პოლიტიკოსი იყო, რომელმაც სტრუქტურები შექმნა. მას ჰქონდა ცოდნა, ძალა, ცოდნაზე და არა მორალზე დაფუძნებული საზოგადოების აშენება უნდოდა. არც ჩერჩილი ყოფილა მორალური პოლიტიკოსი. აქედან გამომდინარე, მორალური პოლიტიკოსი საქართველოს ჰაერივით სჭირდებოდა. ბიძინა ივანიშვილის სახით გამოჩნდა პოლიტიკოსი, რომელმაც სინდისის ქენჯნის ფაქტორი შემოიტანა. მან თქვა, რომ დაანგრია საკუთარი მსოფლმხედველობა, აქვს სინდისის ქენჯნა, იმის გამო რომ მისი უანგარობა ანგარებაში გადავიდა.

— ნიჭიერი პოლიტიკოსია ბიძინა ივანიშვილი?

— ეს სამი წლის შემდეგ გამოჩნდება. სინამდვილეში, ჩემი გადმოსახედიდან, იგი წარმატებასა და წარუმატებლობაზე საუბრობს, ამ ყველაფრისთვის ჯერ გარკვეული გზა უნდა გაიარო და მერე გამოჩნდება, როგორი პოლიტიკოსი ხარ, თუმცა, მორალური პოლიტიკოსი წარმატებისა და წარუმატებლობის მიღმაა.

— ბიძინა ივანიშვილმა „მაესტროსთან“ ინტერვიუში დიდი ადგილი დაუთმო ფილოსოფიაზე, ფსიქოანალიზზე საუბარს. რამდენად კავშირშია ასეთი თემები პოლიტიკასთან და პოლიტიკოსთან?

— ამ საკითხს ასე ვუყურებ — ჰაველი მწერალი, ზვიად გამსახურდია — ფილოლოგი იყო. თუ გამსახურდია, როგორც პოლიტიკოსი წარუმატებელი იყო, ჰაველი, ძალიან წარმატებულია. ჰაველს მე ვუწოდებ ფილოსოფიურად მოაზროვნე ლიტერატორს, იგი აბსურდის თეატრს ერთ-ერთი შემოქმედია. ფილოსოფოსი პოლიტიკოსები არსებობდნენ და დღესაც არიან. ჩემი მასწავლებელი მერაბ მამარდაშვილი მიიჩნევდა, რომ ფილოსოფია თითოეულ ადამიანშია. ზოგი ამას კლავს საკუთარ თავში, ან პირიქით. შეიძლება ფილოსოფია არ გამოვლინდეს ენობრივად, არამედ ქცევებში გამოიხატოს. ასე, რომ მეტნაკლებად თითოეული ადამიანი შემდგარი ან შეუმდგარი ფილოსოფოსია, ფილოსოფია თითოეულ ჩვენგანშია. ადამიანი, რომელიც ფილოსოფოსობს, ეს მხოლოდ მისასალმებელია.

— ბიძინა ივანიშვილის თავდაპირველი გამოჩენისთანავე გაჩნდა აზრი, რომ მისი სახით მესია მოგვევლინა. ბევრი მიიჩნევს, რომ კერპთაყვანისმცემლობამ არაერთხელ დაგვლუპა, რამდენად სწორია მისგან კერპის შექმნა?

— საქართველოში ისე, როგორც სხვა ქვეყნებში ქრისტიანობის ქადაგებაა საჭირო და არა გენეტიკური მართლმადიდებლობის. ქვეყანა, სადაც ქრისტიანობაა, იგი კერპთაყვანისმცემლობისგან დაცულია. „არა ქმნა შენი თავისგან კერპი“ და არა მარტო შენი თავისგან, არამედ არაფრისგან — ეს ერთ-ერთი სერიოზული მცნებაა. ამიტომ ქვეყანაში, სადაც რეალური ქრისტიანობაა და არა როგორც ნაციონალური იდეოლოგია, ეს პრობლემა დგას. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილს თავი უნდა დავანებოთ და ყველამ საკუთარ თავს მივხედოთ. სხვათაშორის, როცა ქრისტიანობაზე ვსაუბრობთ, ათეისტებსაც ვგულისხმობ ამაში, რადგან თავის დროზე იოანე-პავლე II-მ შემოიტანა ანონიმური ქრისტიანის ცნება. შეიძლება ათეისტი გეგონოს ვინმე და ამ დროს თავისი ტანჯვით, სინდისით ნამდვილი ქრისტიანი იყოს. მაგალითად მამარდაშვილი ნიცშეს უწოდებდა ფილოსოფოსს, რომელსაც მტკივნეული ქრისტიანული სინდისი სტანჯავდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ღმერთს უარყოფდა. მთავარია, რეალური და ანონიმური ქრისტიანობა, რომელიც ჯერ კიდევ საქადაგებელია საქართველოში. საქართველო ისევეა მოსაქცევი, როგორც ყველა ქვეყანა იმიტომ, რომ ქრისტიანობა არ არის ერთჯერადი აქტი. ეს არის ერთადერთი ანტიდოტი, კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ. იმიტომ, რომ კერპი ხომ სხვადასხვა სახის არსებობს, ვიღაცისთვის ეს იყოს ფული, ვირტუალური რეალობა, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ.

— რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ხვალ ამ მოძრაობის დაფუძნება ოფიციალურად ხდება. რა მოლოდინები გაქვთ, რას ელით ამ მოძრაობისგან?

— ძალიან პრაგმატული მოლოდინი მაქვს, კერძოდ, უნდა მოხდეს გარკვეული ინვესტიციების რეალიზაცია, რაც ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილში ჩადო. ამ ინვესტიციების რეალიზაცია კი სტრუქტურის მეშვეობით, ანუ ამ იმედის დასტრუქტურებითაა შესაძლებელი. ეს სრულიად აუცილებელია. თუ დასტრუქტურება არ მოხდა, მაშინ არ იქნება წარმატება, არჩევნებში გამარჯვება. ამიტომ ეს აუცილებელი მომენტია. ჩვენ ახლა პოეზიიდან პროზაში გადავდივართ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოეზია პროზაზე მაღლა დგას, მაგრამ რაღაც კუთხით პროზაც აუცილებელია. ხვალ, ანუ 11 დეკემბერს პროზა იწყება, ანუ რუტინა, ყოველდღიური მუშაობა. რაც მნიშვნელოვანია. ჩემი ხედვა ასეთია.

— ზაზა, პირადად თქვენი „ქართული ოცნება“ რა არის და რამდენად ემთხვევა იგი ამ მოძრაობისას?

— არსებობს „ამერიკან დრეამ“ და „გეორგიან დრეამ“. როდესაც „ამერიკულ ოცნებაზეა“ საუბარი, ოცნება ამ შემთხვევაში გარკვეული კრედოა. ჩემი ხედვა ცოტა სხვაგვარია, ამიტომაც ვარ ფილოსოფიაში და არა პოლიტიკაში. ყველაზე კარგად ეს „ვეფხისტყაოსანშია“ გამოხატული — „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვკრეფ კიტრად ბერად, — ვის სიკვდილი მოყვრისათვის — თამაშად და მიჩანს მღერად“. ე.ი. ვინც კვდება მოყვრისთვის ქრისტიანია, მაგრამ ვისაც ეს თამაშად და მღერად უჩანს, ის არის ქრისტიანი და ქართველი. ქრისტიანული სამყარო, რა თქმა უნდა, ამ თამაშისა და მღერის გარეშე გაღარიბდებოდა. აქ საუბარია იმ თამაშსა და მღერაზე — „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი“. ტრაგიკული მხიარულება, როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობდა — ეს არის დამახასიათებელი ქრისტიანი ქართველისთვის.

— ბოლოს მინდა გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, რას მოელის ქრისტიანი ქართველი „ქართული ოცნებისგან“, რამდენად არის იგი თითოეული ქართველის ოცნება?

— 11 დეკემბერს, „ქართული ოცნების“ დასტრუქტურებით, ხილული, პრაგმატული ეტაპი იწყება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიმეორებ სტრუქტურების, ყოველდღიური რუტინის, ყოველდღიური პროზაული მუშაობის გარეშე არაფერი არ გამოვა. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ვახსენე, 11 დეკემბრიდან ყოველდღიური პროზა იწყება, მაგრამ ისე, რომ პოეზიაც არ იქნება დავიწყებული.

თამარ შველიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მსოფლიო პრესის მიხედვით

`arabuli gazafxulis~ molodini Tu namdvili Sua zamTari?

ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად, რუსეთის პოლიტიკური მომავალი ბუნდოვანია. „ჯერ კიდევ შორს არის „ტაჰრირამდე" ან „მაიდანამდე", რადგან მოსახლეობას დიდად არ ეპიტნავება დემოკრატია, ოპოზიციას არ ჰყავს ლიდერები, ხოლო პუტინს – სერიოზული მოწინააღმდეგეები.

The New York Times – გაზეთი სარედაქციო სტატიას ასე ასათაურებს: „ის, რაც პუტინს არ დაუგეგმავს". რუსეთის ამომრჩეველთა უმრავლესობამ არჩევნებზე იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ ისინი პუტინმა და მისმა სტატუს-კვომ დაღალა. გაზეთის აზრით, „ერთიანმა რუსეთმა" ძლივს მოიპოვა უმრავლესობა სახელმწიფო სათათბიროში და ისიც – შედეგების გაყალბებით.

ამერიკას სჭირდება რუსეთთან თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ პუტინის ავტორიტარულ სტილს უნდა წაუყრუო, აღიარებს გამოცემა. სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა გააკრიტიკა ჩატარებული არჩევნები, თუმცა ვაშინგტონს დემონსტრანტთა დევნის შესახებ თავისი პოზიცია ჯერ არ გამოუხატავს.

გაზეთი მოუწოდებს პუტინს, ყური დაუგდოს ამომრჩევლებს – მათ მოთმინებასაც აქვს საზღვარი და მოქალაქეთა უმრავლესობა უკვე წარმოიდგენს კიდეც, როგორი იქნება „სამყარო პუტინის შემდგომ".

The Independent – „გადაიქცევა თუ არა რუსული ზამთარი „გაზაფხულად"? სარედაქციო წერილი მთავარ კითხვას სათაურშივე სვამს. გაზეთის აზრით, რუსეთი ახლა გზაჯვარედინთან დგას. უკვე „სამი-ოთხი დღეა, მოსკოველები ქუჩაში გამოდიან და პუტინის გადადგომას ითხოვენ. მათ გამოუჩნდათ ყურადსაღები მოკავშირე – მიხაილ გორბაჩოვი, რომელიც საპარლამენტო არჩევნების ხელახლა ჩატარების მოწოდებით გამოდის.

ამ კვირის აქციები განსხვავებულია: „მასშტაბი ბევრად შთამბეჭდავია, დემონსტრანტთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, ხოლო ლოზუნგებით ერთ კონკრეტულ ადამიანს – პუტინს უტევენ", ხელისუფლება კი უხეშად რეაგირებს.

ახლა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს – გაამკაცროს რეპრესიები, დათმოს რაიმე თუ ხელახალი არჩევნები ჩაატაროს. ბოლო ათწლეულია, რუსეთს ასეთი ბუნდოვანი მომავალი არ ჰქონია.

The Guardian – „ვლადიმირ პუტინის „პოტიომკინის" არჩევნები". ესეც სარედაქციო წერილის სათაურია. გასულ კვირას პუტინის გეგმებმა კრახი განიცადა. „რეალურად, „ერთიანმა რუსეთმა" მოსკოვში ხმათა 23,5 პროცენტი მიიღო, ოფიციალური ციფრებით კი – 46,5 პროცენტი. ამიტომაც დემონსტრანტებს აღშფოთების მიზეზი ნამდვილად გააჩნიათ – ეს არის ხმების მოპარვა.

გამოცემის აზრით, პუტინის საპასუხო ღონისძიებები პანიკით არის დაღდასმული. „ტაჰრირამდე" ან „მაიდანამდე" რუსეთი ჯერ კიდევ

შორს არის: საამისოდ აუცილებელია, რომ ქვეყნის დიდ ქალაქებში ასეულობითათასი ადამიანი გამოვიდეს ქუჩაში. საამისოდ ასევე აუცილებელია, პუტინს, ოპოზიციის ლიდერების სახით, სერიოზული პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ჰყავდეს.

ახლანდელი პოლიტიკური კრიზისი უფრო პუტინის შეცდომებით არის პროვოცირებული, ვიდრე ამომრჩეველთა უკმაყოფილებით, აღნიშნავს გამოცემა. მთავარი შეცდომა – მედვედევთან თანამდებობის გაცვლის გადაწყვეტილება, პუტინმა არჩევნებამდე გაამჟღავნა. „ამ გადაწყვეტილებამ ამომრჩევლები დაამცირა", – წერს ბრიტანული გაზეთი. პუტინის მეორე შეცდომა ის არის, რომ მან ელიტიდან განდევნა ყველა, ვინც სხვა პოლიტიკურ პოზიციას განასახიერბდა.

პუტინს შეუძლია, მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმოს – მიმართოს რესპრესიებს და „განტევების ვაცების" ძიება დაიწყოს ან სერიოზულად მოეკიდოს მოსახლეობის აზრს. თუმცა არც ისე იოლია, თაღლითობისა და ქურდების პარტიას დაშორდე მაშინ, როცა პირადადაც შეუძლიათ დაგადანაშაულონ მსგავს, თანაც უფრო მასშტაბურ ქმედებებში. პუტინი ვერ ითვალთმაქცებს, თითქოს არაფერი ხდება რუსეთში.

La Voz de Galicia – ესპანური გაზეთის მიმომხილველი სვამს შეკითხვას: „ეს არაბული გაზაფხულია" თუ რუსული შუა ზამთარი?" რუსეთში ქუჩის დემონსტრაციების ტრადიცია მაინცდამაინც არ არსებობს. „არც რევოლუცია, რომლის შედეგადაც საბჭოთა კავშირი შეიქმნა და არც აჯანყება, რომელმაც 1991 წელს სსრკ გააქრო, მასობრივი არ ყოფილა. აქედან გამომდინარეობს პარადოქსული დასკვნა: რუსი ხალხი მართალია, პასიურია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რამდენიმე დღეში ვითარება რადიკალურად შეიცვალოს".

მიმომხილველი დარწმუნებული არ არის, რომ არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო აქციები ბიძგს მისცემს „რუსულ გაზაფხულს". პუტინის მხარესაა მოსახლეობის 35 პროცენტი, ოპოზიცია კი სუსტი და დაქსაქსულია, „ერთიანი რუსეთის" პოპულარობის დაქვეითებით რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ იხეირა.

რუსეთის მოსახლეობა დილემის წინაშე აღმოჩნდა: უნდა წარმოადგინოს ხელისუფლების რეალური ალტერნატივა ან პროცესი თვითმიზნად აქციოს.

La Republika – რუსეთში ახალი ეტაპი იწყება, ხანგრძლივი და გაურკვეველი, ვკითხულობთ გაზეთში. ისტორიკოსთა შეფასებებს ნუ დაველოდებით – 2011 ისტორიაში შევა როგორც დემოკრატიული ეპიდემიის წელი: მაგრამ საკითხავია, პუტინიზმის 11 წლის შემდეგ ეს ეპიდემია რატომ გაჩნდა მოსკოვშიც და ამ 11 წლის განმავლობაში ოპოზიციის ვერც ერთმა ფორმამ რატომ ვერ მოიკიდა ფეხი.

საქმე ის არის, რომ პუტინს ორი შეცდომა მოუვიდა: პირველი – 2008 წელს თავის მემკვიდრედ მედვედევი დანიშნა და მეორე – გასულ კვირას, როცა არჩევნების შედეგების გაყალბების მაქინაციების ნაწილობრივ შეზღუდვა სცადა და ამით იმის ილუზიის შექმნა სურდა, თითქოს საზოგადოებრივმა აზრმა ევოლუცია განიცადა.

obamam mxari putins ki ara, ruseTis saprotesto aqciebs unda dauWiros

ობამამ „გადატვირთვის" პოლიტიკა აირჩია და იძულებულია, პრიორიტეტული ამოცანებით იჟონგლიოროს – ეს არის შეიარაღების შემცირება, რუსეთის დახმარება ავღანეთისთვის და ა.შ. – აღნიშნავს The Christian Science Monitor. გაზეთი მოუწოდებს ობამას, „შაბათკვირას ყურადღება ამერიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემას მიაპყროს".

დღეს ათეულათასობით რუსეთელი მიტინგზე გამოსვლას აპირებს და იმედი აქვს, ბრძოლით მოიპოვებს ხმის უფლებას და საკუთარ ღირსებასაც დაიცავს. „ობამა ვერ წაუყრუებს რუსეთის მოქალაქეთა ამ მოუ-

ლოდნელ ამბოხს, რადგან პუტინი მათ დემოკრატიის ელემენტარულ საფუძვლებზე ეუბნება უარს", – მიაჩნია გაზეთს.

ობამამ დაუფარავად უნდა დაუჭიროს მხარი საპროტესტო აქციების მონაწილეებს. „როცა მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში თავისუფლების საკითხს საფრთხე ემუქრება, თავისუფალი სამყაროს ლიდერს არ შეეფერება „არიერგარდის" პოზიციაზე ყოფნა", – მიაჩნიათ სარედაქციო წერილის ავტორებს. 2009 წლის ირანის მღელვარების დროს ობამა გაჩუმდა, დაგვიანებით დაუჭირა მხარი „არაბულ გაზაფხულს", ახლა კი ზოზინი არ გამოადგება.

გამოცემის აზრით, პუტინი შეაშფოთა საკუთარმა მომავალმა და სასოწართმეული ცდილობს, დემონსტრაციების ინსპირირება ბრალად ამერიკას დასდოს. არადა, სინამდვილეში, რუსებს ყელში ამოუვიდათ კორუფცია და პუტინის მმართველობის პერსპექტივა.

გამოცემის დაკვირვებით, ობამასა და პუტინის ურთიერთობა ბოლო ხანს მკვეთრად გაუარესდა. აზრთა სხვადასხვაობა ბევრ სფეროს შეეხო. „კურსის ასეთი მკვეთრი ცვლილება იმის მანიშნებელია, რომ დასავლეთი არ უნდა ენდოს რუსეთს მანამდე, ვიდრე იქ სრული დემოკრატია არ შეიქმნება. ახლა ობამა რუსეთში მცხოვრებ ხალხს უნდა ენდოს", – ნათქვამია სტატიაში.

The Christian Science Monitor

ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გულბაათ ჭავჭავაძემ.

მოგზაურობა სამშობლოში

suraTebi qvaTaxevis cxovrebidan

კავთის ხეობა

მაღალაანიდან სამხრეთით, ქვათახევის მიმართულებით კავთურის ხევი ტყეში ჩაკარგვამდეც ვიწროვდება. ზაფხულის პაპანაქებაში ამ გზაზე მიმავალი მანქანა ისეთ ბდღვირს აყენებს, რომ კვალში ვერ ჩაუდგები. ასეთ გზებს ჟამთა სვლა ვერ ცვლის – აქ აწმყო და წარსული ერთად ბუდობს.

* * *

... აგერ, ტყიდან გამომავალ გზაზე ცხენზე ამხედრებული. ანაფორაგახუნებული მოხუცი გამოჩნდა. ტაატით მოჰყავს ტანმორჩილი ტაიჭი და თავი ფიქრისთვის მიუცია. ეს ქვათახევის იპოდიაკონი იოანე ხელაშვილია. მონასტრის წინამძღვარს დოსითეოზ ფიცხელაურს შუაგულ ღეწვისას საკალმასოდ გამოუშვია იგი. მისებრი განათლება, ცინცხალი გონება, მოსწრებული სიტყვა-პასუხი და იუმორი იშვიათად რომ დუნაზე კიდევ ვინმეს ჰქონდეს, თანაც მიკიბულ-მოკიბული არ იცის, სათქმელს, ვინც არ უნდა იყოს, პირში მიახლის. ერთი სიტყვით, ტიპიური ქიზიყელია ეს ვაქირელი კაცი და მასზე უკეთეს მოკალმასეს სად იშოვნიდა დოსითეოზი.

გზაზე იოანე გორის მხრიდან მომავალ ცხენოსანს ზურაბა ღამბარაშვილს გადაეყრება და ჰკითხავს:

„საით გიძღვის უფალი?

ზურაბა: მუნ, საიდგანაც უნდა გამოვზარდო ჩემი შვილები.

იოანე: მაშასადამე, ჰგავს საკალმასედ რონინებ!

ზურაბა: ახ! მალე მოწევნილ ხარ დაფარულმცნობელობაში, ანუ თუ წინამძღვარმან თქვენმა შთაგბერათ წინასწარმცნობელობის სული.

იოანე: რად გიკვირს, თუ ტერ-საკას მოწაფე ეგგვარ მეტყველებ. მე ვით ვერ მივწვდებოდი გაზრახვასა შენსა, დოსითეოზისაგან გაზრდილი?“

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ შესავალი ნაწილი ბოლომდე რომ არ ჩავათავო, მოკლედ ვიტყვი: საუბრისას გაირკვევა, რომ ტერტერა საკას აღზრდილ ზურაბას სომხური სარწმუნოება დაუტოვებია და მართლმადიდებლად მოქცეულა. ხელაშვილს ეს ამბავი, ბუნებრივია, გაახარებს და ღამბარაშვილს საკალმასოდ დაიმგზავრებს. ერთი სიტყვით, სარჩოს მოპოვების გარანტიას მისცემს.

იოანე ხელაშვილის გზაზე არა თუ ტერ-საკას მოწაფე, არამედ ერთ-ერთი ტერტერაც შემოეყრება და მათი დიალოგი კიდევ უფრო საინტერესოა. მაგრამ ეს ამბავი სურამთან მოხდება. ჩვენ კი XIX საუკუნიდან XXI საუკუნეს და ქვათახევს უნდა დავუბრუნდეთ.

* * *

შვების მომგვრელია ზაფხულში კავთურის ხევი. დღის-აგვისტოს პაპანაქებაში კამკამა, დაჩრდილულ მდინარეში აქა-იქ მცირე გუნდებად ნახავთ „პიკასოს ბიჭებს“. ისინი მარტოოდენ წინარეხიდან არ არიან ამოსულნი. სხვა სოფლებიდან, კასპიდან და თბილისიდანაც ნახავთ აქ ოჯახებსა და სამეგობრო წრეებს. უფროსები ტრაპეზობენ, ღრეობენ, უმცროსები კავთურაში ჭყუმპალაობენ ან ხელაობენ.

კავთურის ხეობაში განსაკუთრებული ხალხმრავლობა 28 აგვისტოს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესაა. ამ დროს ქვათახევში ტევა არა.

მონასტრის შესასვლელთან ასეთი სურათი იხატება: ვის ცხვარი მოჰყავს შესაწირად, ვის იღლიაში ამოჩრილი მამალი; ვინ ფეხშიშველი მოდის, ვინ ლეჩაქით, ვინ ჯინსებით, ვინ კაბით, ვინ ჯინსებზე გადაცმული ქვედანატით, – დიახ, უმეტესობა ქალებია. აგერ „ვირის ტაჩკითაც“ მოვიდნენ წინარეხელები. ზედ სამი დედაკაცი ზის, წინ კი ბერიკაცი მოუძღვის სახედარს. ვიღაცა გალავანთან წიკოს (მინიატურული გარმონი) წელავს, ვიღაც ღოლს უბარტყუნებს და ვიღაც უენო სალამურს აქსუტუნებს.

დიახ, ეს ქვათახევობა, ანუ როგორც აქაურებს უყვართ თქმა, ქოთახეობაა. იმის შესახებ თუ რა საერთო აქვთ ერთმანეთთან ქვათახევს, ქოთახევს, კავთისხევსა და კავთას, მოგვიანებით ვისაუბრებთ, ახლა კი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის სამონასტრო კომპლექსს მივხედოთ. აქ ყველაზე ახალი ნაგებობები კელიებია (სენაკები). XIX საუკუნისაა კოხტა, ორსაფეხურიან ზეძირკველზე მდგარი, სვეტნარიანი სამრეკლო. 1604-1605 წლებშია აგებული. გალავანში ჩამჯდარი, ფეხებზე შემდგარი, ორსართულიანი კოშკი, რომელიც უხეშად დამუშავებული მოლურჯო ლოდებითაა ნაგები. იგი მონსტრის წინამძღვარს იოანე ავალიშვილს აუშენებია.

ყველაზე ძველი, რა თქმა უნდა, ჯვარგუმბათოვანი ტაძარია. იგი XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ანუ თამარის ეპოქის ძეგლია. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, რომ ეს სამონასტრო ცენტრი და მისი მთავარი სალოცავი (20,7X13,5მ) ძლიერი ხელისუფლებისა და ეკლესიის (პატრიარქები თეოდორე II, ბასილ IV, იოანე VII) ყურადღებით შენდებოდა. ქვათახევის ტაძარი წუღრუღაშენ-ფიტარეთ-იკორთა-ჰუჯაბის საყდრების რიგში დგას. აქ ჩვენ უჩვეულოს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ვერც რაიმე ზადს ვატყობთ (თუ იმას არ ჩავთვლით, რომ 1400 წლის უბედურების შედეგად კედლებზე სამკაულთა დიდი ნაწილი აღარ არის). ძველი გაფორმებიდან გადარჩენილია გუმბათის ყელის, ლავგარდანის, სამხრეთ კარიბჭის, დასავლეთ და სამხრეთ ფასედებზე წყვილ-წყვილი სარკმლების გაფორმება, ჩრდილოეთის ფასადი და აღმოსავლეთი მკლავი. ბუნებრივია, ეს არც ასე ცოტაა.

მაინც რა მოხდა ასეთი 1400 წელს? ამ დროს საქართველოზე მეექვსედ შემოსეული ლანგ-თემურის ბრძანებით ეკლესიაში შეამწყდიეს „მუნმყოფნი **კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი, ცეცხლი შეუკეთეს და გამოწვეს“.** ამის გამო ტაძარში უზარმაზარი, ჩაშავებული, სისხლის ლაქა დღემდე არ იშლება.



ქვათახევის მონასტერთან დაკავშირებულია ასევე XX საუკუნის 20-იანი წლების ერთი შემზარავი ამბავი, რომელიც პენსიონერმა პედაგოგმა თინა ცალქალამანიძემ დიდი ხნის წინათ ჩაიწერა წინარეხის მკვიდრისგან, 96 წლის დათა ლეკიშვილისგან:

1911 წლიდან ქვათახევში მოღვაწეობდა არქიმანდრიტი ნეოფიტე (წარმოშობით იყალთოელი ნიკოლოზ ვარდოშვილი), რომელსაც ერთხელ, უკვე ბოლშევიკების დროს, თურმე, იქვე მდებარე სოფელ პარეტისში მცხოვრები ძმები დევიძეები მიუცვივდნენ და უთხრეს – მონასტრის სიახლოვეს სამხერხაო უნდა გავმართოთ, ხეები მოვჭრათ და სახლების ასაშენებლად ხალხს ფიცარი მივაწოდოთო. ნეოფიტეს უპასუხებია – შვილებო, ამ წმინდა ადგილზე, წმინდა ტყეში ხეების მოჭრა არ ივარგებს და ამის ნებას ვერ მოგცემთო. მაშინ ერთ-ერთი დევიძე წამომხტარა, ბუხრიდან მუგუზალი გამოუღია და ის-ის იყო წინამძღვრისათვის თავი უნდა გაეხეთქა, რომ მთავრობის მიერ ნეოფიტესთან მიმაგრებული ვინმე ბერბიჭაშვილს ხელი აუკრია დევიძისთვის და მუგუზალი გაუგდებინებია.

ახალი დროების გაავებული არაკაცები ძლივს გამოუსტუმრებიათ მონასტრიდან. მაშინ ნეოფიტეს ბერბიჭაშვილისთვის უთქვამს – ხვალვე თბილისში წახვალ და პატრიარქს გადასცემ ჩემ დანაბარებს, რომ, თუ აქედან სხვაგან არ გადამიყვანს, ეს სულწაწყმედილები აუცილებლად მომკლავენო. ბერბიჭაშვილი თბილისში წასულა, მაგრამ უკან რომ ამობრუნებულა, ნეოფიტე უკვე მოკლული დახვედრია... ხალხი ისე აღელვებულა ამის გამო, რომ სოფელში, გამომძიებელთან ერთად, მოსამართლეც კი ამოსულა. ბევრი უცდიათ, მაგრამ მკვლელისთვის ვერ მიუგნიათ. ბოლოს მოსამართლეს უხმარია ჭკუა და ხალხში ხმა გაუვრცელებია: – მე აქ იმიტომ ამოვედი, რომ, ვინც ეს საქმე ჩაიდინა, ფულით უნდა დავაჯილდოვო და ახლა ამ ფულს უკან ხომ ვერ წავიღებო. მაშინ კი მოსულან ძმები დევიძეები და გახარებულებს სიტყვა-სიტყვით აღუწერიათ, როგორ მოუკლავთ არქიმანდრიტი, თან დაუმატებიათ, – ხალხის მტერი იყო და საკადრისიც მიიღოო. ძმებს იქვე დაადეს ხელბორკილები და წაიყვანეს. სასამართლომ ისინი ციმბირში გადაასახლა. ერთი ძმა ციმბიშივე მოკვდა, მეორე კი დაბრუნდა და გაგიჟდა.

ნეოფიტე ბერი მთელ ხეობას გამოუტირებია და მისი ცხედარი მონასტერში, გალავნის კედელთან, დიდ ბზის ხესთან დაუკრძალავთ. ის დღე იყო და ის, სოფელი პარეტისი ნელ-ნელა აყრილა და ახლა იქ ნასახლართა კვალიღა შემორჩა.

პარეტისიდან თავკავთაში შეიძლება ასვლა ბილიკით, მაგრამ ეს უკვე ჩვენი მომდევნო მოგზაურობის თემა იქნება.

გელა ქოქიაშვილი

ავტორის ფოტოები

შეცდომის გასწორება: მკითხველს პატიებას ვთხოვ იმის გამო, რომ გაზეთის 49-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კვალი წარუხოცელი“ ქვესათაურში მექანიკურად გამეპარა შეცდომა. „ქსნის ხეობის“, ნაცვლად უნდა ყოფილიყო „კავთის ხეობა“.

mesame, Sua segmenti, saakaSvilsar unda gavatanoT da aqeT, ivaniSvilisken unda gadmovqaCoT!

პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია წინა საარჩევნოდ კიდევ უფრო გააქტიურებას აპირებს.

არ დაუშვებს, რომ არჩევნებმა მხოლოდ სააკაშვილისა და ივანიშვილის მომხრეთა დაპირისპირების ფონზე ჩაიაროს. ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ ერთ-ერთ ლიდერს გადაწყვეტილი აქვს დარჩენილი საზოგადოება „აფსაიდში“ არ ამყოფოს.

რატომ არ აპირებს ოპოზიცია სტოიკური პოზა, ანუ, ამ საარჩევნო გარემოს პირობებში მაინც არჩევნების გზა დათმოს და რას მოიცავს ბაღათურიას საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მისი ახალი ინიციატივა ამის გასარკვევად „საერთო გაზეთი“ ინტერვიუს გთავაზობთ:

— ჯონდი, ხვალ „ქართული ოცნება“ დაფუძნდება, რა მოლოდინები გაქვთ?

— ძალიან პოზიტიური მოლოდინები მაქვს. „ქართულ ოცნებას“ — ამ მოძრაობას მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნია. რაც მთავარია, მათი პერსპექტივები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქვეყნის განვითარების პერსპექტივასთან. ამიტომ ჩვენ მივესალმებით ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკაში გამოჩენას.

დღევანდელმა კვლევებმა, რომელიც იაგო კაჭკაჭიშვილის გუნდმა ჩაატარა აჩვენა, რომ ივანიშვილის გამოჩენამ ქართულ პოლიტიკაში რადიკალურად შეცვალა სურათი. მართალია, მისმა გამოჩენამ წაიღო ჩვენი ხმებიც, ანუ ჩვენი ხმებიც გადაქაჩა... კაჭკაჭიშვილის ორგანიზაციას სპეციალურად ამ მიმართულებითაც ჰქონდა გაკეთებული კვლევები. თუმცა აქვე ჩანს, ასევე დაიწყო ტენდენცია ნაცმოძრაობის ხმების გადმოქაჩვისა, რაც ძალიან კარგია.

— ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ საზოგადოება ნელ-ნელა ეიფორიიდან გამოდის, რას შესთავაზებს მეცენატი მათ ამ მუხტის შესანარჩუნებლად?

— ივანიშვილი იმ რანგის ფიგურაა, შეუძლია შეთავაზებებისთვის უშუალოდ მიიწვიოს ესა თუ ის სეგმენტი და სამუშაო პირობები შესთავაზოს. თუმცა შეთავაზებები ღია და საჯარო იქნება. არ მგონია, ეს გაზეთების ფურცლებიდან გაკეთდეს.

მუხტი არა თუ შენარჩუნდება, არამედ კიდევ უფრო გაიზრდება. საამისოდ საჭიროა სწორი მენეჯმენტი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორი პოლუსი გამოიკვეთა. თუმცა მესამე სეგმენტიც ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტია. თავისი მოცულობით უტოლდება ამ ორ უკვე ჩამოყალიბებულ სეგმენტს. უბრალოდ, უკვე ჩანს, რომ ეს შუა-მესამე სეგმენტი ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული.

— ანუ, ორ პოლუსიანი არჩევნები გველოდება და ეს რამდენად არის დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბების წინაპირობა?

— არა, უბრალოდ, ეს პოლუსი ჩამოყალიბების სტადიაშია. იგი ეძებს თავის ფავორიტს. არ ეყრდნობა არც ივანიშვილსა და არც სააკაშვილს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ეს მესამე-შუა სეგმენტი სააკაშვილს არ გავატანოთ და ოპოზიციურ ფლანგზე დავტოვოთ. აი, ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან დიდი სამუშაოები გვაქვს ჩასატარებელი. „ქართული დასი“ კარგად ესმის, როგორ გაკეთდეს ეს.

— ხომ არ გამოვა, რომ თქვენი ახალი ინიციატივა „ქართულ ოცნებას“ გაუყოფს ხმებს, ანუ, საარჩევნოდ ხმებს დაათმობინებს?

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენ ამ ინიციატივას კოლეგებთან-პირველ რიგში, ივანიშვილთან და მის გუნდთან კოორდინაციის რეჟიმში გავაკეთებთ. ინიციატივის არსი იმაშია, რომ მესამე ნიშა ხელისუფლებამ არ აითვისოს. ის აქეთ-ივანიშვილისკენ უნდა გადმოვქაჩოთ.

— ჯონდი, რამდენად მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებამ არჩევნების თარიღი წინ გადმოსწიოს და ამით ივანიშვილი ცაიტნოტში ჩააგდოს?

— თეორიულად ყველაფერი შეიძლება. ამის წინ და წინ გაცხადება, თითქოსდა, ამინდის პროგნოზს ჰგავს, ამინდი ხომ დღეში 9-ჯერ შეიძლება შეიცვალოს. ამიტომ პროცესი სხვა და სხვა ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. ისე, ჯერჯერობით, ნაცმოძრაობას ეტყობა, ამ ეტაპზე არ აპირებს არჩევნების გადმოტანას. უბრალოდ, მათ უკვე დაწყებული აქვთ წინასაარჩევნო კამპანია და ძალიან აქტიურად, ენერგიულ-აგრესიულად მუშაობენ კიდეც ამ რიტმში.

ისე, ურიგო არ იქნება, თუ ჩვენც-ოპოზიციური ფლანგი დავლაგდებით. უნდა ჩამოვყალიბდეთ და უკვე გაირკვეს ვინ სად არის, ვინ რას აკეთებს, ვინ რომელ ელექტორატზე მუშაობს. მოკლედ, ჩვენც უნდა წამოვიწყოთ წინასაარჩევნო კამპანია. აშკარად, არის პერსექტივა ნაცმოძრაობის დამარცხებისა და ეს დამარცხება იქნება სასტიკი,თუკი სწორად ვიმუშავებთ.

— ამ საარჩევნო გარემოს პირობებშიც აქვს ოპოზიციას შანსები?

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი არასასურველი საარჩევნო გარემოა, ოპოზიციის შანსები მაინც ძალიან მაღალია.

— ამ არჩევნების პირობებში თუ იქნება ოპოზიცია სოლიდარული? კოორდინირებულად იმოქმედებთ?

— მინდა, რომ ასე იყოს. რამდენად შედგება კოორდინაცია ეს უკვე აღარ ვიცი, რადგან ის შემთხვევაა, რასაც ორმხრივი სურვილი სჭირდება. თუ მხოლოდ ჩვენ გვექნება ეს სურვილი, მხოლოდ სურვილადღა დარჩება. ამიტომ ჩვენი სურვილია ამ არჩევნების პირობებში მაინც მივაღწიოთ სრულ კოორდინაციას. ვნახოთ რა გამოგვივა.

— საამისოდ ვარიაციებიც ხომ არ მოგიფიქრებიათ?

— რა თქმა უნდა. კოორდინირებისათვის შესაძლებელია ოპოზიციური ძალების დარაზმვა, ანუ, ერთი ბლოკით გამოსვლა, მთელი ოპოზიციის ერთ საარჩევნო სიაში მოქცევა, ან მეორე ვარიანტი — ოპოზიციის ორ ფლანგად გამოსვლა, მაგრამ ძალიან მჭიდრო კოორდინაციაში. ამით იმ სხვა ნაწილსაც გადმოქაჩავთ, რაც ჩვენ ელექტორატში აშკარად არსებობს. აი, ის შუა სეგმენტი არ უნდა გავატანოთ სააკაშვილს და მის აგენტებს.

ნათია ნოდია

facebook

xalxis azriT

Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

ესე იგი — მთელი პოლიტოლოგები აღიარებთ ამ „რიჟა“ რეიტინგებს და „აპრავებთ?!“ რისი გულისთვის? რა არ იცით რომ ამ გაყალბებული და შეკვეთილი რეიტინგების გარეშეც ივანიშვილის, ნაცმოძრაობის თუ ქრისტიან–დემოკრატების რეიტინგები?! მიგაჩნია რომ ნაცების რეიტინგი მეტია, ხომ?! ხოდა, არჩევნებში წინ დაგხვდება ეს ყველაფერი და დაგიდებენ ისეთ პროცენტს, რასაც იმსახურებთ ეს ვითომ ჭკუის კოლოფი პოლიტოლოგები — მრჩეველები

დავით დარჩიაშვილი: „საქართველოში „ქართული ოცნებები“ არ ახდება“ — რუსული, სომხური, ყაზახური ოცნებები ხო აიხდინეთ და ქართველებს გვიკრძალავთ ხომ დათო დემაგოგო!. ხელისუფლება ყველა პრობლემას ქმნის, რომ არ გავრცელდეს მაისურების მასიურად ჩაცმა... პრობლემები ექმნებათ საწარმოებს, მაგრამ ძალადობით და უკანონობით ფონს ვერ გავლენ... ხალხს სურს აიხდინოს „ქართული ოცნება“ და ვერანაირი ბუხრის გამურული ვირთხა,მას წინ ვერ აღუდგება!

გინდა სულელობაში ჩამომართვი, მაგრამ ეს დარჩიაშვილები, კუბლაშვილები წიკლაურები და მათთანა გარეწრები უფრო მეზიზღებიან, ვიდრე მიშა! მაგათ უნდათ მონები ვიყვეთ და მათი ოცნებები ვასრულოთ...ცხოვრებაში ხე თუ აქვს დარგული გაბაშვილს, მალაშხია, დარჩიაშვილს და სხვა უსახო არსებებს...რომლებსაც, რომ არა ეს რეჟიმი-არანაირი :პრასვეტი” არ ქონდათ, “კამსამოლა” ბიჭების ყველაზე მარტივ ფენას შეადგენენ...

რომელ მთავრობას შეეძლო თანამდებობაზე დაენიშნა გოროზია, კირკიტაძე, ტყეშელაშვილი, ბოკერია, კვეზერელი, კალმახელიძე და ასეთი უსახო და არაფრის მთქმელი სახეები თუ სახელები...ამათ ძალან გაუგრძელდათ ბაორამობა და ბოლოს იფიქრეს, სამუდამოდ ვიქნებითო და ჩამოყალიბდნენ ფეოდალებად! მერე ინფუზორია წიკლაურმა კასტებად დაგვყო,მისი ამება ჭკუით და შექმნა მდაბიონი და ელიტა...პატრიციები და პლებეები...ამათ გონიათ რადგან “ვერსაჩე” ჩაიცვეს და ჯიპებს შემოახტნენ, კაცები დადგნენ...სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა,მაგრამ ხელით იხოცავს ცხვირს, იმიტომ, რომ სულით უზრდელია... რაცაა ერკემალი ისაა ცხვრის ფარაც..

ეს უკვე კლინიკური შემთხვევაა. ასეთ დროს ექიმები მხრებს იჩეჩავენ და შეწუხებული სახით ამბობენ, — პაციენტი უიმედოა და მკურნალობას აღარ ექვემდებარება. პაციენტის რა მოგახსენოთ და ხალხი კი მართლაც უიმედოდაა... საინტერესოა მიშას ქალაქში რომელი ეროვნების ხალხი იცხოვრებს? ისე ქალაქების აშენება კარგი ბიზნესია. ააშენე და გაყიდე — რა გენაღვლება..

ოპოზიციამ სერიოზულად უნდა დააყენოს პრეზიდენტის ქმედუნარიანობის საკითხი!ვფიქრობ არც ნარკოლოგიური შემოწმება აწყენდა (მისი ძვირფასი დრო რომ არ დაიკარგოს ამისთვის საკმარისია ერთი ღერი თმა გაიღოს

ახლა ხომ გახდა გასაგები რატომ ილაპარაკა ბატონმა ბიძინამ ამდენი ფსიქიკაზე და ფსიქიატრიაზე, ენდე.

თუ 11 დეკემბრის ყრილობაზე დასასწრები მოსაწვევი ვერ ვიშოვე, თუ არც პირდაპირი ეთერით გადაიცა „მაესტროზე” ეს ყრილობა და თუ მხოლოდ ფილარმონიის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული მონიტორით ან დინამიკებით მოხდა მისი ტრანსლირება, მე ვიბევებ ადგილს „მუზას” ქანდაკების მარჯვენა ფეხთან და იქიდან მოვუსმენ ან ვუცქერ თუნდაც იქ წყალი იდგეს... წინასწარ იმიტომ ვაცხადებ, რომ მერე არ იყოს შენ რატომ დგახარ აქ და მე რატომ არაო, ან ცოტა ჩაიჩოჩე, მეც რომ ვუყურო და ა. შ.

vin Caswvdeba qarTul sulsTuara `qarTuli ocneba?~

აშშ-ის დასმულ საქართველოს ქვეშაფსია ხელისუფლებას სხვა არავინ ჰყავს მის გარდა გულშემატკივარი, აშშ-ს კი, თავის მხრივ, ირანთან ახლოს, საკუთარი ქვეყნის მოღალატე სხვა მთავრობა, გარდა საქართველოსი, არ ეგულება და არიან ჯერ-ჯერობით ერთმანეთის ხელშემწყობად და მოიმედედ ერთმანეთთან ენადათაფლულად მობაასენი.

ამის გამოა, რომ მას შემდეგ, რაც ორი კვირის წინ ბატონმა გოჩა ცქიტიშვილმა (აი-პი-ემ-ის ხელმძღვანელი) გამოაქვეყნა სოციოლოგიური კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც ბიძინა ივანიშვილი 53%-ით ხელისუფლების თანაბარ ძალად არის მიჩნეული რესურსის მხრივ, აქეთ ამათ გაუტყდათ ძილი, იქით – საქართველოთი დაინტერესებულ, დავალებულ თუ მოსყიდულ ორგანიზაციებს.

ამას დაერთო ფეისბუქის გამოკითხვის მონაცემები და გადაირივნენ მთლად, – ისეთი პროცენტები დაათხლიშეს ტელეეკრანებზე, მგონი, განვიკურნე და ვალი დამედო „დიდი ნაციონალების.“

თურმე საქართველოს მასშტაბით 27 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე 4 000 კაცი გამოიკითხა და დასკვნაც დაიდო.

კითხვაზე: შემდეგ კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს რომელ პარტიას მისცემდით ხმას? – პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდა:

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 42%;

ბიძინა ივანიშვილის პარტია – 18%;

ქრისტიან-დემოკრატიული პარტია – 8%

ლეიბორისტული პარტია – 3%

სხვა პარტიები ერთად – 4%

არცერთი/თავი შეიკავა – 25% – (მონაცემები „რუსთავი-2-იდანაა“)

პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ ინტერნეტ-გამოკითხვით კი ასეთი სურათი იყო 3 დეკემბრისთვის:

„ქართული ოცნება“ – 51, 46%;

თავისუფალი საქართველო – 10, 34%;

დემოკრატიული მოძრაობა – 10, 11%;

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 5, 62% – დანარჩენი აღარაა საინტერესო. (მ.ჭ)

ამავე გამოკითხვით, ნატო-ში გაწევრიანებას 47, 97%-ია მსურველი, წინააღმდეგი – 52, 08%

„ამერიკული“ კვლევით: საქართველოს მოსახლეობის 80%-ია ნატო-ში გაწევრიანების მსურველი.

ყველა სოციოლოგიურ კვლევაში რამდენიმე შეკითხვაა, მაგრამ პირადად მე რამაც გამამხირულა, ის მომყავს თვალსაჩინოებისთვის. სასაცილოა, აბა, რა, რომ იმ ქართული კვლევების შემდეგ გამოჩნდა „ამერიკული“ კვლევის შედეგები, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნებაა“ საქართველოს უდავო რჩეული.

გემახსოვრებათ ვებერთელა ბილბორდები წარწერით, „ჩაწვდით ამერიკის სულს!“ – ვერ ჩაწვდება ქართველი ვერანაირ სულს ქართულის გარდა, ის გენეტიკურად ქართული ოცნების ახდენაზეა მიმართული დასაბამიდან და რა ვქნათ ახლა!

ახლა რა ვქნათ ჩვენ, იმ ორ კვლევას დავუჯეროთ, რომელშიც ერთგან 53%-ით, მეორეგან – 51%-ით „ქართული ოცნება“ ლიდერობს, თუ სახელგატეხილ (კენიაში გასტყდომია პირველად სახელი) აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკურ კვლევის ცენტრს, რომელიც გვეუბნება, რომ 42%-ით ნაცმოძრაობა უდავო ლიდერია?

ამას კიდევ გადაიტანს კაცი, მაგრამ ყველაზე სანდო ოპოზიციური ლიდერი რომ 22%-ით გიორგი თარგამაძე ყოფილა პირველ ადგილზე (ბიძინა ივანიშვილი – 21%; შალვა ნათელაშვილი – 4%; ირაკლი ალასანია – 3%), ანეკდოტი უფრო არის, ვიდრე რაღაც გამოკითხვის შედეგი. დავიჯერო, იმ „სულგანათებულმა გამომკვლევებმა“ არ იციან, რას უწოდებენ კონკრეტულად გიორგი თარგამაძეს (არანაკლებს, მასზე ადევნებულებს) საქართველოში მას შემდეგ, რაც ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილს გაუკეთა?

ამასაც კიდევ ჯანდაბას, გადავიტანთ როგორმე, მაგრამ პოლიტიკური ლიდერების მიმართ საქართველოს მოსახლეობის კეთილგანწყობაში მიხეილ სააკაშვილი რომ 74%-ით „დაავჯილდოვეს“, აი, მაშინ ავფხარკალდი საბოლოოდ. სული რომ მოვითქვი, მაშინღა დავინტერესდი, სად ჩაატარეს ეს გამოკვლევა ჩვენმა მეგობარმა ამერიკელებმა, დიდ ნაციონალურ სუფრასთან, სადაც ნაცმოძრაობის წევრები, აკაკი მინაშვილის თამადობით, სიდედრებითა და მათი დაქალებიანად იყვნენ მირეკილები?

ისიც ძალიან მომეწონა, ნიშნისმოგებით რომ გვამცნეს, მოსახლეობის ოპტიმისტური განწყობა 9%-ით გაიზარდა, 87% გახდაო.

ნეტავ, რისი თქმა უნდოდათ თავის გაგებაში, აი, რა ოპტიმიზმს ვბადებთ მოსახლეობაშიო?

ოპტიმიზმი მართლა გაიზრდებოდა, მაგრამ ვისი გამოჩენის შემდეგ, ბატონებო, შემთხვევით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის შემდეგ ხომ არა?

მე კი გამომაკეთეს ამ მრავალთაგან დაწყევლილმა ნაციონალებმა და თვით რა მდგომარეობაში არიან, აბა, მე რა ვიცი...

მაია ჭელიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

beWduri mediis dasaxmareblad biZina ivaniSvili mzadaa fostalionis institutis arseboba daafinansos

meriis mier e.w 1 000 axali jixuris ganTavsebasTan dakavSirebiT ugulavasa da kezeraSvilis interesebi ikveTeba

თბილისისს მერიამ შეტევა ახლა უკვე პრესის გამავრცელებელ ჯიხურებზე დაიწყო. ამისთვის კი საკმაოდ მოქნილი გეგმა „დასაქმდი და დაასაქმეს“ ფარგლებში 1000 ახალი ჯიხურის დადგმა გადაწყვიტა. ახალი ჯიხურების ჩასადგმელად აუქციონები იმ ადგილებზე გამოცხადდა, სადაც უკვე დგას პრესისის ჯიხურები.მმერიის ინიციატივამ ჟურნალისტებისა და პრესის გამვრცელებლების უკმაყოფილება გამოიწვია.

საკითხის ირგვლივ „საერთო გაზეთს“ „რეზონანსის“ რედაქტორი ელისო ჩაფიძე ესუბრა:

– თითქოს აღნიშნული პროექტი ადამიანების დასაქმებასა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას ემსახურება, სიცრუეა. ეეს არის პირდაპირი შეტევა ბეჭდური მედიის წინააღმდეგ, რადგან მერიამ აუქციონი სწორედ იმ ადგილებზე გამოაცხადა, სადაც უკვე დგას პრესის ჯიხურები. სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტმა გგიორგი უდილაძემ საინტერესო ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა, ამავე გამოძიების შედეგები „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევასაც დაემთხვა. გამოძიებამ ცხადყო თუ როგორ პროტექციულ პოლიტიკას ეწევა თბილისის მერია, თავისი კომპანიის მიმართ. საუბარია იმაზე, რომ სანამ შეწყვეტდნენ ჯიხურების განთავსებაზე ნებართვების გაცემას, მანამდე მერიამ 250 ჯიხურის ჩადგმის ნებართვა ე.წ „უაიდ დისტრიბუშენს“ მისცა.. აღნიშნული კომპანია კეზერაშვილისა და უგულავას ჯიხურების სახელითაა ცნობილი. გარდა იმისა, რომ ქალაქის მერია ასეთ უხეშ პოლიტიკას ატარებს „უაიდ დისტრიბუშენის“ საქმეში კეზერაშვილის ცოლის ძმა ვინმე დიმიტრი ჩიქოვანის სახელიც ფიგურირებს. დიდი ძიება არ სჭირდება იმას რომ ესაა სახელისუფლებო გუნდთან დაახლოებული კომპანია. რატომღაც ხელისუფლებაპძალიან ჩქარობს მოსპოს, პრესის ჯიხურები.

– რა არის მიზეზი, რატომ ჩქარობს ხელისუფლება?

– არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი და ხელისუფლების არსებობას, როგორც ჩანს, საფრთხეს უქმნის ბეჭდური მედია. შესაბამისად, მაქსიმალურად ცდილობენ შეამცირონ გაზეთების გავრცელება. ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც ბაზრის მონოპოლიზებას ცდილობს და სისტემაში საკუთარი მოთამაშეები შემოჰყავს. „კოდა, „ნუგეში“, ეს კომპანიები მცირე ბიზნესის წაერმომადგენლები არ არიან, პირიქით, ისინი ხელისუფლებასთან დაახლოებული კომპანიები არიან. „კომპანია, რომელიც კვერცხისა და ქათმის წარმოებითაა დაკავებული, არა მგონია, გაზეთების გავრცელებით დაინტერესდეს. როგორ წარმოგიდგენიათ ერთად გაყინული ქათმი და გაზეთი?

– ვფიქრობ, არაეთიკური იქნება?

– რა თქმა უნდა, ეთიკური არ იქნება. მმერიის პროექტის შედეგად უკვე მნიშვნელოვნად შემცირდა გაზეთების ტირაჟი. მედიაში მოღვაწე ყველა ადამიანი თანხმდება: ხელისუფლების ნაბიჯით ბეჭდურ მედიას სერიოზული საფრთხე ემუქრება. საშიშროებას რატომღაც მხოლოდ ვერ ხედავენ „პრაიმ- ტაიმი, “24 საათი,“ „ტაბულა,“. თითოეულ მათგანს განსაზღვრული ურთიერთობები გააჩნია ხელისუფლებასთან. „ტაბულას“ რედაქტორი უშიშროების საბჭოს მდივნის ცოლია, „პრაიმ ტაიმის“ ერთ-ერთი რედაქტორი გიგი უგულავას ცოლის დაა, „24 საათი“ კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად სოლიდურ თანხებს ღებულობს.

– საზოგადოებისა და პოლიტიკური ოპოზიციის უმრავლესობამ ეს ფაქტი მედიაზე ზეწოლის ჭრილში განიხილეს. თქვენი აზრით, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია თქმა, რომ მერიის ინიციატივა მედიაზე ზეწოლას ემსახურება?

– შედეგად მივიღებთ იმას, რომ ხელისუფლების „დახმარებით“ გამოვა გაზეთები, ოღონდ სიმბოლური ტირაჟებით, რაც ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. სამწუხაროდ, ასეთი გახდება თავისუფალი მედია.ეპრესის ამ ფორმით შეზღუდვა ცუდ გავლენას მოახდენს არჩევნებზე, რადგან ერთნაირი პოლიტიკური პირობები ძალიან ბევრ პარტიას აღარ ექნება. თავისთავად ეს აღიქმება, როგორც მედიაზე ზეწოლა.

– რა შემოთავაზებები მიიღეთ ბიძინა ივანიშვილისგან?

– ბიზნესმენი მზადაა დააფინანსოს ფოსტალიონის ინსტიტუტი.ეიმისთვის, რომ საზოგადოება არ მოექცეს ინფორმაციულ ვაკუმში. რა თქმა უნდა, ამ სფეროდან გაზეთების მწარმოებლებს არანაირი მოგება არ ექნებათ გარდა იმისა, რომ გაზეთები გაიყიდება.

– არ ეცდება ხელისუფლებას დაბლოკოს ფოსტალიონის ინსტიტუტი?

– ვფიქრობთ, ხელისუფლებას შეეძლება წინააღმდეგობა გაგვიწიოს, მაგრამ მცდელობას წინ არაფერი უდგას. ფოსტალიონის ინსტიტუტი ძალიან კარგი დასაქმების პროგრამა იქნება. ადამიანები დასაქმდებიან და საკუთარი შრომით შეძლებენ ოჯახების დახმარებას. თუ ივანიშვილისგან დახმარებას ნინო ანანიაშვილი და ნანი ბრეგვაძე ღებულოდბნენ ივანიშვილის ფულით, თუ რელურად გაჭირვებული ადამიანები მიიღებენ დახმარებას ცუდი არ იქნება.

– ფოსტალიონის ინსტიტუტი მხოლოდ თბილისში ამოქმედდება თუ რეგიონებშიც, რადგან პრესის გავრცელების კუთხით რაიონებში მძიმე მდგომარეობაა?

– იმედი გვაქვს, რეგიონებშიც. თუმცა მანამდე საკმაოდ ბევრი საორგანიზაციო საკითხები იქნება მოსაგვარებელი. ჩვენ ვიცით, მოხდება ხელისუფლებისგან ხელის შეშლა და ეს რომ არ მოხდეს, პირველ ეტაპზე თავად ჟურნალისტები და ცნობადი სახეები დაარიგებენ გაზეთებს.

მირანდა ნაბახტეველი

politikaSi 2 Tvis mosulma ivaniSvilma `nacionaluri moZraobis~ eleqtorati gadaibira

ახლახან სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა იაგო კაჭკაჭიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთით ამომრჩევლების პოლიტიკური განწყობებისა და პრეფერენციების კვლევა ჩაატარა.

ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს ვთხოვეთ კომენტარი.

დავით ბერძენიშვილი, „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი: კვლევამ აჩვენა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ძალა და ხელისუფლება თანაზომადი პოლიტიკური ერთეულებია, ისინი გამოკვეთილი ლიდერები არიან. ივანიშვილის რეიტინგთან ერთად „თავისუფალი დემოკრატებისა" და „რესპუბლიკელების" რეიტინგსაც თუ ვიანგარიშებთ, მთლიანად თანაბარია. კარგია, რომ თბილისში და რამდენიმე სხვა რეგიონში ივანიშვილის პოლიტიკური ძალის მკვეთრი უპირატესობა ხელისუფლებასთან მიმართებაში აშკარაა. ბევრი თემაა გახსნილი და სხვა სოციოლოგიურ სამსახურებს ლიად მოუწევთ საუბარი ამ თემაზე.

— ამ კვლევებით „რესპუბლიკური" პარტიის რეიტინგი საკმაოდ დაბალია.

— „რესპუბლიკური პარტიის" მდგომარეობა მშვენიერია იმიტომ, რომ სრულიად ნათელია, საზოგადოებამ იცის, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ ძალაში „თავისუფალი დემოკრატები" და „რესპუბლიკელები" ვერთიანდებით.

— ბატონი ბიძინა რომ არ გამოჩენილიყო პოლიტიკაში?

— იგი უკვე არის პოლიტიკაში, ამიტომ ერთად ვიბრძოლებთ ამ ხელისუფლების დასამარცხებლად.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი ერთადერთი ხსნა ბიძინა ივანიშვილთან გაერთიანება იყო? კვლევები ამას მოწმობს.

— კარგია მერე ეს. დღეს რეალობაა ის, რომ ბიძინა ივანიშვილი და მასთან კოორდინირებული პოლიტიკური ძალები — „რესპუბლიკელები", „თავისუფალი დემოკრატები" და შესაძლოა, — კიდევ ვინმე სხვა ამ ხელისუფლების დამარცხების შემძლეა.

— აქ ითქვა, რომ ბატონმა ბიძინამ ოპოზიციას ხმები წაგართვათ.

— ჩვენ კი არ წაგვართვა ივანიშვილმა ხმები, არამედ „თავისუფალი დემოკრატების" და „რესპუბლიკელების" მხარდამჭერები, ამჟამად ივანიშვილის მხარდამჭერებიც არიან. ასე რომ, ბიძინა არის წამყვანი ოპოზიციური ფიგურა, რეიტინგის ლომის წილი მისია, იმედს ხალხი უკავშირებს მას და მასთან ასოცირებულ პოლიტიკურ ძალებს —„რესპუბლიკელებს" და „თავისუფალ დემოკრატებს". ნათელია, რომ ივანიშვილი დიდი უპირატესობით უგებს „ნაც.მოძრაობას" თბილისში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში.

სოსო ცისკარიშვილი, პოლიტოლოგი: ჩემი აზრით, ეს გახლავთ ყველაზე სერიოზული, აკადემიური კვლევა, რაც აქამდე გვინახავს. იგი განსხვავდება სხვა კვლევებისგან იმით, რომ საზოგადოებას გააცნეს სრული ფორმატით. ზოგადად დოკუმენტს თუ შევაფასებთ — ეს გახლავთ მიბინებული საქართველოს გამოღვიძების ქარტია. ეს შედეგები, რასაკვირველია ქართულ პოლიტიკურ ველში ცვლილებებმა განაპირობა. ეს კვლევა სექტემბერში რომ ჩატარებულიყო, სრულიად სხვა შედეგს მივიღებდით.

— ქართველი ხალხი „რესპუბლიკელებს" მხარს არ უჭერს. როგორ ფიქრობთ, ეს ბიძინა ივანიშვილის რეიტინგზე უარყოფითად ხომ არ ითამაშებს?

— მხოლოდ ქართველებს შეგვიძლია მივანიჭოთ უმაღლესი რეიტინგი პარტიას, რომელიც არ არსებობს. ეს არის განწყობა. ამიტომ რა ქნას რესპონდენტმა? — ზოგს წარმოუდგენია, რომ ივანიშვილის მიერ პარტნიორებად არჩეული პარტიები მისი ძალის ქვეშ მოიაზრება, ზოგი პირიქით თვლის. ასე რომ, ცალკე გამოყოფილ „რესპუბლიკელებს" და „თავისუფალ დემოკრატებს" შეიძლება აკლდებათ ხმები, ივანიშვილი ცალკე რომ ყოფილიყო, მათი ხმები რა თქმა უნდა, მისკენ გადავიდოდა, მაგრამ რადგან ერთად არიან, ჩემი აზრით, ცალკე რეიტინგით არ უნდა ვინტერესდებოდეთ. ყოველ შემთხვევაში, ამ ორ პარტიას ივანიშვილისთვის ნეგატიური მუხტი ნამდვილად არ შეუტანია. ყველას თავისი პოზიტიური მუხტი გააჩნია.

— ბიძინა ივანიშვილმა სამი ძირითადი წყაროდან გადაიბირა ხმები. რამდენად შენარჩუნდება ეს მუხტი?

— რაც უფრო სამართლიანი იქნება გარემო ქვეყანაში, მით უფრო შენარჩუნდება ეს მუხტი. მაგრამ ამის პარალელურად, ალბათ უპრიანი იქნება ვიკვლიოთ ხელისუფლების დანაშაულებათა კასკადი ივანიშვილის წინააღმდეგ, რომელიც სრულიად სცდება სამართლებრივ ველსა და პოლიტიკას. ეს ყველაფერი უკვე ხელისუფლების მხრიდან. კრიმინალურ დაპირისპირებას ჰგავს, როდესაც ელექტრონულ აპარატურას „ქართუ ჯგუფი" საბაჟოდან განადგურებულს იღებს — ეს არის „ნაც. მოძრაობის" ბოროტების ერთ-ერთი ისტორია — ამაზე ცალკე დიდი თავი უნდა დაიწეროს 2011 წლის ოქტომბრიდან.

ვახტანგ ხმალაძე: რაც შეეხება სანდოობას, კარგად ვიცნობ, თუ რა მეთოდიკით მოხდა როგორც ინტერვიუირება, ისე დამუშავება. აქედან გამომდინარე, ცდომილება ძალიან მცირეა. საქართველოს მასშტაბით არ აღემატება 1,8 პროცენტს, ხოლო რეგიონული ჭრილით — 5-7 პროცენტამდე. ამ ანალიზმა აჩვენა, რომ ივანიშვილის მხარდამჭერთა კორპუსი რამდენიმე კომპონენტისგან შეიქმნა. ერთი ნაწილია, ვინც არჩევნებზე საერთოდ უარს ამბობდა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი, რაც ახლა ფიქსირდება — 77,7 პროცენტი, ანუ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველები, მე არ მახსოვს. 11 პროცენტზე მეტმა თქვა, რომ უფრო წავა, ვიდრე არა. ეს საერთო ვითარება ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენამ შეცვალა. მეორე და ძირითადი წყაროა, სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა ნაწილის გადასვლა ივანიშვილის მხარდამჭერთა ჯგუფში. შესაბამისად, ყველა ოპოზიციური პარტიის რეიტინგი შემცირდა, ეს ბუნებრივიცაა. მესამეც, „ნაც.მოძრაობის" მხარდამჭერთა გარკვეული ნაწილიც გადავიდა ივანიშვილის მხარეს. თუმცა აქვე მინდა შეგახსენოთ, ყველა ადრინდელ გამოკითხვებში ყველა ოპოზიციურ პარტიას ძალიან დაბალი მხარდაჭერა ჰქონდა. 5 პროცენტზე ზევით ჩანდნენ „ქრისტიან დემოკრატები" და „ლეიბორისტები". ორივე მათგანი დღეს 5 პროცენტის ქვევით ჩამოვარდა. ესეც მიუთითებს, თუ ვისი მხარდამჭერები უფრო მეტად გადავიდნენ ივანიშვილის მხარეს. ჩემი აზრით, სამი ძალის გაერთიანებამ უნდა გამოიწვიოს სინერგეტიკური ეფექტი და გაზარდოს პროცენტი. სულ ცოტა, ივანიშვილის მხარდამჭერთა პროცენტს ამ ორი პარტიის მხარდამჭერთა პროცენტიც უნდა დაემატოს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება პროცესები და ამ განვითარების დროს საით გადაიხრება ამომრჩევლის სიმპათიები. ეს კვლევა ასახავს საზოგადოების განწყობას, შემდეგ კვლევებში უკვე ტენდენციები გამოჩნდება.

თამარ შველიძე

rasafrTxeebia mosalodneli 11 dekembers, `qarTuli ocnebis~ dafuZnebis dRes?

xelisufleba provokacias amzadebs?

11 დეკემბერს, „ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე, არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ მისთვის ჩვეულ სტილში, არასასურველი სიურპრიზი მოუმზადოს საზოგადოებრივი მოძრაობის დამფუძნებლებს და პრეზენტაციაზე მოსულ მოქალაქეებს.

პროვოკაციის მოწყობის გეგმა მარტივ გათვლაზეა აგებული.

საქმე ის არის, რომ პრეზენტაციის დღეს, არ არის გამორიცხული, უამრავი ადამიანი მიაწყდეს ფილარმონიას.

ცხადია, ფილარმონიის დარბაზი ყველა მსურველს ვერ დაიტევს და მოქალაქეთა უმრავლესობა იძულებული გახდება გარეთ, ფილარმონიის მოედანზე დაელოდოს მოვლენათა განვითარებას.

სწორედ აქ, ხალხმრავლობაში, სადაც პრეზენტაციის ორგანიზატორები უძლურნი არიან გააკონტროლონ ხალხის მასა, ძალიან ადვილი შესაძლებელია სპეციალურად შეგზავნილი ადამიანების მეშვეობით მოხდეს გაუთვალისწინებელი ექსცესები, რომლის გადაზრდა სერიოზულ დაპირისპირებასა და კონფლიქტში, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

ხელისუფლებას ამგვარი პროვოკაციების მოწყობის დიდი გამოცდილება აქვს და ამ პროვოკაციების შემსრულებელი კონტიგენტის სიმცირესაც არ განიცდის.

გავიხსენოთ, რა ხდებოდა პარლამენტის წინ გამართულ მიტინგებზე, გავიხსენოთ, როგორ უტიფრად მოქმედებდნენ იქ საპროვოკაციოდ შეგზავნილი გადაცმული პირები, გავიხსენოთ როგორ უსწორდებოდნენ მიტინგების მონაწილეებს, თუ მათ მიტინგის გარეთ მოიხელთებდნენ.

ასე რომ პრეზენტაციის ორგანიზატორებს და პრეზენტაციაზე მისულ ადამიანებს დიდი სიფრთხილე, თავშეკავება და გონიერება მართებთ.

`qarTuli ocneba~ - saerTo ocneba mTeli saqarTvelosTvis!



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:

„დღეს ბევრს ლაპრაკობენ იმის შესახებ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს თუ არა? უნდა იყოს, რადგან ის ქართველია!

მე ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, ვინც სულით და ხორცით ქართველია, საქართველოში დაიბადა ის თუ უცხოეთში, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს“.

saqarTvelos eklesia, saqarTvelos moqalaqeebi moiTxoven:

_ daubrundes saqarTvelos moqalaqeoba saqarTvelosTvis Tavdadebul qarTvels _ biZina ivaniSvils!